შოთა ხეცურიანი

ეკოლოგიიდან ისტორიამდე

(ესეები, რომანი, ესსეები)

ქუთაისი 2017

შოთა ხეცურიანი

შოთა გრიგოლის ძე ხეცურიანი
(ავტობიოგრაფიული მონაცემები)

დაბადებული 1929 წლის 10 მაისს ცაგერის რაიონის სოფელ ლარჩვალში. აფხაზეთში საცხოვრებლად ჩემმა ბიძამ იასონ ხეცურიანმა და ბიცოლამ ჩამიყვანეს.

1944 წელს დავამთავრე ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერას საშუალო სკოლის 7 კლასი. იმავე წელს, როგორც წარჩინებულმა მოსწავლემ, სწავლა გავაგრძელე სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ტექნიკუმში, რომელიც დავამთავრე წარჩინებით 1947 წელს და მუშაობა დავიწყე სოფელ ცაგერაში კოლმეურნეობაში აგრონომად. ორი კვირის შემდეგ ამირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ. ერთი წლის შემდეგ ჩავერიცხე უგამოცდოდ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ქ. თბილისში.

1953 წელს წარჩინებით დავამთავრე აღნიშნული ინსტიტუტი და სამუშაოდ მიმავლინეს აფხაზეთში, სადაც მუშაობა დავიწყე ჯერ აგრონომის, ხოლო შემდგომ მთავარ ეკონომისტად კოლმეურნეობაში.

1946 წელს დავიცავი დისერტაცია და მომენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

პარალელურად მიწვეული ვიქენი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. აღნიშნულ უნივერსიტეტში პედაგოგიური საქმიანობის გზა გავნვლე მასწავლებლის, დოცენტის და პროფესორის რანგში.

1993 წლის 27 სექტემბერს უკრაინული გემით ჩავედი ბათუმში.

ბათუმში დევნილობაში ცხოვრების დროს მუშაობა დავიწყე ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგედ.

პარალელურად შეთავსებით ვმუშაობდი ქუთაისში ფუნქციონირებად საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის ეკონომკური თეორიის კათედრის გამგედ და ამავე სახელწოდების კათედრის დეკანად.

აღნიშნულ პერიოდში 1993 წლის 31 დეკემბერს არჩეული ვიყავი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ამ თანამდებობაზე ვაგრძელებ დღემდე მუშაობას.

ვარ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი.

გამოქვეყნებული მაქვს ასზე მეტი შრომა. ვარ ავტორი და თანაავტორი წიგნებისა და სამეცნიერო ნაშრომების.

დაუსწრებლად დავამთავრე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სრული კურსი.

I. ზოგი რამ აფხაზეთის შესახებ (რაც მეხსიერებაში შემომრჩა დღემდე) აფხაზეთში დამკვიდრება

მე პირადად მეათე წლის ასაკში მეოთხე კლასში სწავლის დროს ჩამიყვანეს ბიძაჩემმა (მამაჩემის ძმამ (იასონმა)) და მისმა რუსი ეროვნების (ხარკოველი) ცოლთან ერთად.

სკოლა მაშინ საერთოდ არ იყო ცაგერაში. იმხანად მხოლოდ სამი სახლის მშენებლობა იყო შედარებით დასრულებული. ეს იყო ვალიკო ნემსწვერიძის, იორამ ნემსწვერიძის და კიდევ ერთი სახლი.

რატომღაც სამიოდე წლის ასაკში გამამწესეს დედულეთში ბებია-ბაბუას იმედად მათ აღსაზრდელად „მიმაბარეს“ ალბათ.

მე დღესაც არ ვიცი რატომ გადაწყვიტა ასე ჩემმა მშობლებმა, თუმცა ასე კი მოხდა.

სკოლა დედულეთში ბაბუაჩემის ეზოში იყო (ეზოს ბოლო) და ბავშვებთან ვთამაშობდი ეზოში. სკოლის დირექტორმა - ნინო პირველმა (ამ ქალბატონის ფიზიკური სახე დღემდე ჩემი მეხსიერების არეში არის შემორჩენილი). მან როცა დაინახა, რომ სკოლის ზარის დარეკვის შემდეგ მე მარტო ვრჩებოდი და ბავშვები გაკვეთილზე გარბოდნენ, ნინო მასწავლებელმა სახლში მიაკითხა ბაბუაჩემს და სთხოვა, რომ ჩემთვის ნება დაერთო გალვეთილებზე დასწრებისათვის. დიახ, ეს ნებართვა მიღებული იქნა ბაბუაჩემის მხრიდან და მე სრულიად ბავშვურ 5 თუ 6 წლის ასაკში შემდეგ დავიწყე სკოლაში სწავლა. ეს იყო ასე დაფიქსირებული ოფიციალურად. ასე, რომ მე გავხდი მოსწავლე (ეს „უკანონობა“ დღემდე დარჩა ჩემს ისტორიას). ანუ შვიდწლედი დავამთავრე და ჩავერიცხე სოხუმში სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში, რომელიც სამი წლის შემდეგ დავამთავრე 1946 წელს ანუ მე ვიყავი არა 18 წლის წლის ამ დროს, არამედ 16-17 წლის ანუ არასრულწლოვანი ვიყავი ფაქტიურად, მაგრამ დავიწყე მუშაობა კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად (ცაგერაში) და ორ კვირაში თავმდჯომარის მოადგილედაც ამირჩიეს.

ერთი წლის მუშაობის შემდეგ ოჩამჩირის რაიკომის მითითებით და ტექნიკუმის დირექციის მოთხოვნით, როგორც წარჩინებით კურსდამთავრებული, მიმავლინეს თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სასწავლებლად. ჩავერიცხე უგამოცდოთ და წარჩინებითვე დავამთავრე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 1953 წლის მარტში.

დავუბრუნდეთ აფხაზეთში ცხოვრების საკითხს. 1939-1940 წწ. ლეჩხუმში სოფელ ლარჩვალში, სადაც მე დავიბადე საქართველოს მთავრობის „ემისრები“ ჩამოდიოდნენ და მოსახლეობას ურჩევდნენ აფხაზეთში ჩასახლების თაობაზე, ასევე ბოლნისში და სხვაგან.

აფხაზეთში როცა 10 წლის ასაკში და ჩავედით ცაგერაში მხოლოდ სამი სახლი იყო აშენებული.

სკოლა რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა. როცა თანდათან რამდენიმე ოჯახი ჩამოვიდა საცხოვრებლად ცაგერაში (მაშინ „ცაგერა“ - ასეთი სახელწოდება საერთოდ არ იყო). სკოლისთვის მეზობლად მყოფ ე.წ. ტუნგოს მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყვეს ერთი ოთახი ქართველი ბავშვებისთვის. ამ სკოლაში, სადაც მხოლოდ ორი ქალბატონი მასწავლებელი იყო მხოლოდ დავამთავრეთ მეოთხე კლასი და შემდგომში დავამთავრე 7 კლასიანი სკოლა - თავად ცაგერის ერთ-ერთ სახლში გაიხსნა სკოლა.

დიახ, ახლა კი იმის თაობაზე თუ როგორ დავიწყეთ დამკვიდრება ცაგერაში. იგივე ცაგრეას გაჩენამდე - მოსახლეობა მიაწერეს ტამიშის სასოფლო-სამეურნეო საბჭოში ანუ ცაგერადან 4-5 კმ დაშორებით. ტამიშის სოფლის საბჭოში. იმ დროს მდივნად მუშაობდა ცაგერას მეზობელი სოფლის „ცხენისწყალელი“ მკვიდრი - მუშნი რაცბა.

თავად სოფელ „ცხენისწყალში“ 80-მდე კომლი ცხოვრობდა. მათი გვარებიც კი მახსოვს ესენი იყვნენ: რაცბა, ახუბა, კვეკვესკირი, ტურავა, გაბელია, მირცხულავა, ბასარია და სხვა გვარისანი. აღნიშნულ აფხაზურ სოფელში არ არსებობდა უბრალოდ წისქვილი, ვთქვათ სამჭედლო, და სხვა მარტივი ობიექტები, რომელიც აუცილებელია სოფლისათვის.

ცაგერაში წყალი არ იყო, წყალს ადგილობრივი მოსახლის ეზოებიდან ვეზიდებოდით და უნდა ითქვას, რომ სულაც არ სიამოვნებდათ ამ

უცნობი ხალხის მიღება.

ცაგერამ მალე საკუთარი (სოფლის) წისქვილი ააშენა, გახსნა. სამჭედლო და სხვა, წვრილმანი მომსახურების სახელოსნოები.

გაიხსნა ვაზის სასათბურე მეურნეობა, ასევე ციტრუსების სანერგე და ა.შ.

„შრომამან შენმა წარმოგაჩინოს“ - ასეთი პრინციპით შეუდგა ახალმოსახლეობა თავისი კარმიდამოს დამუსავების საკითხს, ამას ისინი კარგად ანხორციელბდნენ.

რატომღაც მოხდა ისე, რომ თითოეულ კომლს გამოუყვეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 0,25 ჰა ფარგლებში ტერიტორია, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ტყე-ბუჩქნარებით იყო დაკავებული და მხოლოდ სახლის დასადგმელად მიჩნეული ადგილები იყო მონიშნული. მშენებლობის პარალელურად მოსახლეობა საკარმიდამო მიწების ათვისებას შეუდგა. ზოგმა ორ-სამ წლიანი ვაზისა და ხილის ნერგებიც კი ჩამოიტანეს თავიანთი ძველი საცხოვრისი ადგილებიდან და დაიწყეს დარგვა ჯერ კიდევ აუთვისებელ მიწებზე. ბევრმა ადგილობრივი ტყე-ბუჩქნარებიდან დაიწყეს პანტა ვაშლისა თუ მსხლის საძირეების გადმოტანა თავიანთ ეზოებში და მყნობის საშუალებით დაიწყეს ადგილობრივი ჯიშის ხეხილის გაშენება. ერთი სიტყვით ვის როგორ შეეძლო ისე აწყობდა თავის ბაღ-ბოსტნებს. ისე კაცმა რომ თქვას რაიმე სისტემური მიდგომა ამ საკითხებისადმი არ არსებობდა. ამიტომ ნახავდით მშვენივრად მოწყობილ ახალ კარმიდამოს, ზოგანაც თავისებურ ლანდშაფტებს და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა გლეხობა ცდილობდა ჩვეულებისამებრ ცოლიკაურის ჯიშის ვაზის მოშენებას. ამ პროცესმა თავის მხრივ ხელი შეუწყო სოფელში ვაზის სასათბურე მეურნეობის მოწყობას. აშენდა სასათბურე მეურნეობა ვაზის ნერგის გამოყვანის მიზნით. სოფლემა, ამჯერად უკვე კოლმეურნეობის ჩამოყალიბების კვალობაზე დაიწყეს ვაზის საძირეების გაშენება. ამ მიზნით გურიიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან შემოჰქონდათ საძირე მასალისათვის საჭირო ნერგები. სანამყენოდ კი იყენებდნენ გუდაუთიდან-ბომბორის მევენახეობის

საბჭოთა მეურნეობიდან ცოლიკაურის ყურძნის სანამყენე მასალას და ადგილზე სათბურში ამყნიდნენ ვაზს და იქვე სასათბურე მეურნეობაში სპეციალურ ყუთებში დატენიანებული ნახერხი მასალით ავსებულ ყუთებს ათავსებდნენ გარკვეულ ტემპერატურაზე, სადღეღამისო რეჟიმის პირობებში ვაზის ნერგის გამოზრდის მიზნით.

ყველაფერმა ამან საშუალება მისცა მეურნეობას მასიურად გამოეყვანათ ერთწლიანი ვაზის ნერგები პლანტაციაში გასაშენებლად. ამ პროცესმა იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივ აფხაზური სოფლის - „ცხენისწყლის“ მოსახლეობასაც ბიძგი მისცა თავის კარმიდამოში გაეშენებინათ ვაზის კულტურა. თუმცა ყველა როდი უყურებდა ამ საქმეს პერსპექტიულად. აქაო და, ჩვენ ადგილობრივი ყურძნისა და ხეხილის მეშვეობითაც ვიკმაყოფილებთ თავსო და რა თავსატეხად გვინდა დაბლარი ვენახების გაშენებაო, რომელიც საკმაოდ შრომატევადიცაა და ა.შ. თუმცა ენთუზიაზმიც გაუჩნდათ, ასე მაგალითად, ადგილობრივი მოსახლე ვალოდია ტურავა, ანდრუშკა ცვიჟბა და ზოგი სხვები საკმაოდ დაეწაფნენ უფრო ინტენსიური მეურნეობის მოწყობას და მშვენიერი ბაღ-ვენახებიც გააშენეს. რაც მთავარია ადგილობრივი და ე.წ. ჩამოსახლებული მოსახლეობა საკმაოდ კეთილგანწყობით ეცნობოდნენ ერთმანეთს და ერთმანეთს უზიარებდნენ სამეურნეო გამოცდილებას.

ცხადია იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, ალმაცერად შეჰყურებდნენ ახალმოსახლეებს, რომლებიც შეიძლება იტქვას „დახარბებულად“ მოევლინენ ამ ახალ გარემოს.

მახსოვს, როცა ტრაქტორი გამოჩნდა, რომელიც სასიმინდე მიწების დამუშავებას ახდენდა ადგილობრივმა ასაკოვანმა მოსახლემ გვარად ბებია, ჯოხითაც კი აედევნა ტრაქტორს და რას ჩადიხარო შერეულ მეგრულ-ქართულად დაუწყეს ტრაქტორისტს დავა - რას ჩადიხარ ასე ღრმად როგორ შეიძლება მიწის დამუშავება - სიღრმეში უნაყოფო ფენაა და მისი „არყევა“ არ შეიძლებაო და ა.შ.

დიახ, ასე ამგვარად მიმდინარეობდა ადაპტირება ახალ გარემოში და დასაწყისში გარკვეული რიდით, თუმცა მალე ნაცნობობა იმართებოდა

და ადამიანები რაღაც ნათლია - ნათლულობის ვარიანტებსაც კი პოულობდნენ ერთმანეთთან დაახლოების მიზნით.

ცხადია გამორიცხული არ იყო გარკვეული წინააღმდეგობებიც. განსაკუთრებით, ასე ვთქვათ, გახდა პირუტყვის მოშენება-მოვლა-პატრონომის საქმე. ჯერ იყო და მთიდან გადმოყვანილი პირუტყვი (ძირითადად ხარ-ძროხა) ვერ შეეგუა ადგილობრივ კლიმატს. აქ ხომ ზღვისპირა ზოლში ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი იყო, რამაც პირუტყვის დაავადება - რაღაც ციებ-ცხელება გამოიწვია და დაიწყო პირუტყვის მასობრივი დაავადება და დაცემა.

მოსახლეობამ შემდგომში შეწყვიტა მთის კლიმატს შეჩვეული პირუტყვის შემოყვანა და ადგილობრივი პირუტყვის მოშენებას მიჰყო ხელი.

თუმცა ყველა მოვლენას ახლავს პრობლემები, ზოგჯერ თითქოს წვრილმანი, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულიც. კეთილ ადამიანთა წრეში ჩნდებიან მრუდე თვალისა და ხელის ადამიანები, რომლებიც იოლ ცხოვრებას მიჩვეულნი ადვილად ვერ თმობენ ჩვეულ ქმედებებს. კერძოდ, ადგილობრივად შეძენილი პირუტყვი, როგორც კი საძოვარზე გავიდოდა, ცდილობდა თავის პირვანდელ პატრონისათვის მიეკითხა. ამ ვითარებაში გახშირდა პირუტყვის დაკარგვის და სხვა უკუღმართი მოვლენები, აღარ დავწვრილმანდები მაგრამ, ეს საკმაოდ პრობლემური გახდა.

იყო სხვა გამწვავებული ურთიერთობებიც. განსაკუთრებით მიწათსარგებლობის თვალსაზრისით. კერძოდ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც წესი პატარ-პატარა ჯგუფებად 3-5 კომლი სადღაც შემაღლებულ ადგილებში დაიდებდნენ ბინას, საკმაოდ გულუხვად შემორაგვავდნენ თავიანთ ეზო-კარს, ზოგჯერ განუსაზღვრელი მოცულობით. დაუწერელი კანონი, ვიმეორებ შიგნით „ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა“, ზოგი არხსაც შემოავლებდა თავის „კარმიდამოს“ ზოგი ამისთვისაც არ ხარჯავდა დროს და ძალისხმევას უბრალოდ შემოფარგლავდა თავისთვის საკმაოდ ვრცელ ადგილს - ტყე-ბუჩქნარსა და საძოვრებს და, როგორც იტყვიან რამდენიც სურდათ

იმდენს მოინიშნავდნენ თავისთვის ე.წ. დაუწერელი კანონის მიხედვით, არც არავინ შედიოდა ამ ფარგლებში, უფრო მეტიც, როგორც იტყვიან „ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა“ ფარგლებს შიგნით.

თავად გლეხობა, ჩვეულებრისამებრ სახლს ან თუნდაც ძველებურ ფაცხას აშენებდა და, ე.წ. ჭიშკრიდან საკმაოდ მოშორებით ისე, რომ სახლიდან ჭიშკრამდე საკმაოდ ბალახიანი მშვენიერი ლამაზი მინდორი არსებობდა - ნახევარ ჰექტრამდეც კი, რომელიც როგორც წესი ძუძუდან ახლად ასხლეტილი ხბოების საკუნტრუშოდ გამოიყენებოდა. ბევრიც იქვე ამ მინდორში წველიდა ძროხებს, უფრო მეტად ეს პროცედურა მამაკაცების საქმინობად ითვლებოდა რატომღაც.

ასეთ ვითარებაში ჩასახლებულ მოსახლეობას მხოლოდ 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი გამოუყვეს თითოეულს. ცხადია ჩასახლებული გლეხობა იძულებული იყო დამატებითი მოსავლის მიღების მიზნით თავისებური იჯარის ფორმით ამუშავებდა ადგილობრივი გლეხობის მიწებს, ან სანახევროდ ან კიდევ ერთი მეოთხედის თუ მეხუთედი მოსავლის ფასად და ა.შ.

მახსოვს ასეთი რამ: მამაჩემმა ადგილობრივი მოსახლიდან (გვარად ქობალია, აფხაზი ვარო კი იძახდა) ეზოს გარეთაც ჰქონდა ერთ ჰექტარამდე ფართის „სასიმინდე ნაკვეთი“, რომელიც იჯარით აიღო მოსავლის ნახევარი და ჩალა მთლიანად მასზე უნდა მიგვეცა. დიახ, ასეთი ფორმით ივსებდა მოსავალს ჩასახლებული მოსახლეობა.

მე იმ დროს 10 წლის ასაკში ვიყავი და ყველაფერს თვალყურს ვადევნებდი.

შრომა ძალიან მიყვარდა. მამაჩემს ზოგჯერ, როგორც იტყვიან „ფეხებში ვებლანდებოდი“, გვერდიდან არ ვშორდებოდი, სწავლასაც არ ვაკლებდი ხელს. პირველი კლასიდან დაწყებული ინსტიტუტით დამთავრებული ყველა საგნებში მხოლოდ ფრიადი შეფასებები მქონდა. ძალიან მიყვარდა სოფლის სამუშაოები. ალბათ ამან განაპირობა ის რომ მე სოფლის მეურნეობის (აგრარული სფეროს) სპეციალისტი გავხდი.

აფხაზეთშიაც მე დიდი ენთუზიაზმით დავამუშავე აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემები.

ეს თემა ჩემი სადისერტაციო თემა გახდა, რომელიც წარმატებით დავიცავი. ამის თაობაზე შემდეგ წარმოვაჩენ საკითხებს.

მახსოვს, როცა ბავშვური გულუბრყვილობით აღვიქვამდი ადგილობრივ ვითარებას, ეს იყო ტყე-ბუჩქნარები ზოგან ნამდვილი გაუვალი ადგილებიც ბევრი იყო. უმეტეს შემთხვევაში ტყეები მუხის, წიფელის და სხვა სასარგებლო ტყის ჯიშებით დაკავებული. ტყის კორომები იმდენად ხშირი ტყიანობით ხასიათდებოდა, რომ მაღალი ხეები მხოლოდ წვეროში იყო ოდნავ განტოტვილი, ხოლო ხის ტანი სწორი და მშენებლობის მიზნით გამოსაყენებლი ხეები ახალმოსახლობამ დაიწყეს სამზარეულოების (კუხნას რომ ეძახდნენ) მიზნით გამოიყენებოდა ე.წ. შუა ცეცხლის და ზოგიც კი ბუხრების კეთებასაც კი შეუდგნენ.

ყოველივე ამის აღნიშვნა იმიტომ მინდა, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იწყებოდა ხელუხლებელი ადგილების ცივილურ ფორმაში მოქცევა. ცხადია ეს ყველაფერი ცივილიზაციის „მოწოლას“ განაპირობებდა და ამდენად საკმაოდ გამაღიზიანებელი იყო ადგილობრივი, ალაგ-ალაგ ხუტორების ფორმით. ხუტორი კიდევ უკეთესია, ვიდრე 3-4 კომლის ძირითადად ნათესაური ნიშნით შექმნილი მოსახლეობის მიმოფანტვას ამ გაუვალ ტყე-ბუჩქნარებსა და ალაგ-ალაგ ზღვის სანაპირო ზოლში დაჭაობებულ ადგილებზე ლელიანი ტბებისა და ღელეღულეების სახით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ საშუალო და დიდი ზომის მდინარეების, მოქვის კოდორის, და ა.შ. უხვთევზიანობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

მახსოვს ვიღაც თავზეხელაღებულებმა ზღვის ახლოს, ღრმა მდორე ადგილებში რაღაც ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით, დახოცილ თევზებს აგროვდება მათ შორის ლოქო და სხვა სახის თევზები 50-60 კგ-ს რომ იწონიდა თითოეული. ჩვენ კი ბავშვები უფრო პატარა მდინარეებზე „ცხენისწყალი“, „შავი ღელე“ და ა.შ. ვირჩევდით სათევზაო ადგილებს ანკესებისა და ჩვენი ხელითვე დამზადებული (დაწნული) „ხვირების“ გამოყენებით ბევრ თევზს ვიჭერდით.

ადამიანთა მომრავლების, შესაბამისად არც თუ ნორმალური

მოქმედებებით იყვნენ დასაქმებული. ხშირად ეს ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. იჩეხებოდა სამწუხაროდ არა მხოლოდ დაბლარი ტყე-ბუჩქნარები, არამედ მაღალმერქნიანი წიფლარი და მუხნარი, ალაგ-ალაგ წაბლის ტყეებიც.

მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა იმ ვითარებამ რომ ვაზის სასათბურე და ციტრუსების სანერგე მეურნეობების (დახურულიკვალსათბურების და ა.შ.) მოწყობისათვის, გათბობისათვის იყენებდნენ მხოლოდ შეშას, რადგან არ არსებობდა გაზის და სხვა თანამედროვე თხევადი საწვავის გამოყენების შესაძლებლობა იმხანად.

ასე, რომ შეიქმნა ვითარება როცა თავის უარყოფით გავლენასაც მოიცავდა. აი ასე ამგვარად შეიქმნა ვითარება, რომელიც ჯერ კიდევ შემორჩენილი ფეოდალური ნიშნების მქონე სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა, ანუ ექსტენსიური მეურნეობრიობის სისტემას თანდათან ცვლიდა ინტენსიური მეურნეობისათვის დამახასიათებელი მიმდინარეობები.

ასე, რომ მე თანდათანობით წამოვიზარდე და აღმოვჩნდი ისეთ სიტუაციაში, რომ ჩემში ბუნებრივად ხდებოდა აგრარული მეურნეობისადმი მიდრეკილების (აზროვნების) ფორმირება.

II. სწავლის პროცესი და მასთან დაკავშირებული მოვლენები

სკოლა ყოველთვის მიზიდავდა. პირველი კლასიდან დაწყებული სულ ხუთებზე ვსწავლობდი.

არ იყო „თბილი“ დამოკიდებულება იმ მოსწავლეთა მხრიდან, რომელთანაც ჩვენ მიგვამაგრეს დროებით სასწავლებლად. მახლობლად ჩვენი სოფლიდან (ცაგერადან) 1 კილომეტრის დაშორებით ტუნგის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ რუსული სკოლის ერთ ოთახში გამოგვიყვეს სასწავლო ოთახი. ორი ქალბატონი მასწავლებელი გვასწავლიდა. მათ შორის ერთი დირექტორად ითვლებოდა. ეს ორი მასწავლებელი გვასწავლიდა თითქმის ყველა საგანს. „თითქმის“ იმიტომ ვამბობ, რომ მეოთხე კლასში უკვე რამდენიმე საგანი ისწავლებოდა, თუმცა სად იყო ჩვენთვის ამდენი მასწავლებელი.

კარგად მახსოვს, რომ ადგილობრივი მოსწავლეები ძირითადად რუსები და ორი თუ სამი აფხაზი ბავშვიც იყო სკოლაში, რომლებიც რუსულ სექტორზე სწავლობდნენ. როცა გაკვეთილებს მოვრჩებოდით ჩვენ სოფლამდე მასწავლებლები გვაცილებდნენ, რადგან გზადაგზა ადგილობრივი ანცი ბავშვები მოგვდევდნენ, ზოგიც ქვას გვესროდა, ზოგიც პირდაპირ ჩხუბს გვიწყებდა. ეს არ იყო, ასე ვთქვათ, რაიმე დაპირისპირებითი ფაქტი, არა, რა თქმა უნდა. ეს უბრალო ბავშვური ანცობა იყო, რადგან ახალ რეალობაში ჩნდებოდა რაღაც შეუთავსებლობის მომენტებიც.

მახსოვს ჩვენს სოფლის შემოსასვლელში საკირე ორმო იყო, სადაც მშენებლობისათვის კირს ალბობდნენ. წვიმიან ამინდში ეს საკირე ორმო წყლით აივსებოდა ხოლმე. აი, აქ გვხვდებოდნენ სოფლის აფხაზი ბავშვები და რადგანაც საკირე ორმოსთან გავივლიდით შორიდან ქვას აგდებდნენ და რამდენჯერმე კირიც შემოუსხამთ ჩვენთვის თვალებში და, ყოველნაირად გვაწიოკებდნენ.

ერთი აფხაზი ბიჭი დამამხსოვრდა განსაკუთრებთ, რომელსაც ცალი ფეხი ალბათ 10 სანტიმეტრით მოკლე ჰქონდა, მაგრამ ძალიან ჩხუბის

თავი იყო. ვინ იცის თავისი ბუნებრივი სიმახინჯე სულსაც არ უწამლავდა. ალბათ იგი ყველაზე მეტად აგრესიას იჩენდა ქართველი ბავშვების მიმართ. ის ბიჭი იმით დავიმახსოვრე, რომ როცა უკვე დავმკვიდრდით ცაგერაში, ამ ბიჭის ძმამ ცოლად წაიყვანა ჩემი ბიძაშვილი. ის ქალბატონი აფხაზურ სოფელ „ცხენისწყალში“ ცხოვრობდა აფხაზ ქმართან ერთად. იგი კარგად შეეგუა ადგილობრივ მოსახლეობას - ოჯახს. ორი ვაჟიშვილი გამოზარდა. ერთმა (უფროსმა ვაჟმა) თავადაც ცოლად შეირთო ცაგერელი ქართველი გოგო მასწავლებელი. მისი ქმარიც ამჯერად იურისტია. აფხაზეთში დატრიალებული საომარი ტრაგედიის დროს მის ძმასთან და სხვა ცხენისწყალელ ბიჭებთან ერთად ბრძოლაში ჩაება ცაგერლლების წინააღმდეგ. მათთვის სულაც არ შეუშლია ხელი იმას, რომ იარაღით ხელში შემოტევები განეხორციელებინათ იმ ცაგერელ ბიჭებთან, რომელთა შორის დედის მოგვარე ქართველები (ხეცურიანები) იყვნენ ჩაბმულნი ბრძოლის პროცესებში. როცა ქართველებს დაგვატოვებინეს იქაურობა ჩვენი სიძეები და მათი ქართველი ოჯახის წევრები არც კი დაინტერესებულან საით გადაიხვეწნენ მათი ცოლოურობა(მოყვრები), თავად კი ქართველ ქალბატონებთან და შვილებთან ერთად ცხენისწყალში დარჩნენ. ასეთი შერეული ოჯახები ცაგერელი გოგონები აფხაზ ბიჭებთან ამჯერად, მეუღლეებთან ერთად იქ დარჩნენ ათამდე ასეთი შერეული ოჯახი და ვინ იცის რასა ჩადიან, იქნებ და ვინ იცის ისინიც სოხუმში გადაბარგდნენ.

დავუბრუნდეთ ისევ სწავლის პროცესს: ასე იყო თუ ისე მეოთხე კლასი დავამთავრე ტუნგის მეურნეობის სკოლის ერთოთახიან კლასში.

გული მწყდება და უნდა ვთქვა, რომ დღესაც ვფიქრობ იმას, რომ დაწყებითი სკოლის შეფერხებები რაც გამოწვეული იყო აფხაზეთში გადასახლებასთან დაკავშირებით, საკმაოდ მძიმედ აისახა ჩემი სწავლის ხარისხზე ზოგადად. როგორც ჩანს, დაწყებითი სკოლის და საერთოდ საშუალო სკოლის განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანის ფორმირების საქმეში.აფხაზეთში ჩვენი ცხოვრება განსაკუთრებით დაამძიმა 1941 წლის მეორე მსოფლიო ომის პერიოდმა. მთელი სოფლის ჯანსაღი მოსახლეობა, მათ შორის, მეცხრე, მეათე კლასის

მოსწავლეებიც კი ჯარში გაიწვიეს. მთელი ახლადწამოწყებული სოფლის (ცაგერას) მშენებლობა მხოლოდ მოხუცების, ქალებისა და ბავშვების იმედად დარჩა. თუმცა მაინც მოხერხდა ცაგერაში 7 წლიანი (შვიდწლედი) სკოლის გახსნა. ცხადია ჯერჯერობით სკოლის შენობა სოფელს არ გააჩნდა, თუმცა ორი შენობა - ე.წ. ბერიასეული სახლი გამოყოფილ იქნა სკოლისათვის, ცოტაც მიშენება გააკეთეს და ამჯერად შვიდწლედი მეც დავამთავრე ჩვენს სოფელში.

უნდა ითქვას, რომ სკოლა განიცდიდა კადრების ნაკლებობას. ამასობაში სკოლას მოევლინა მეტად ახალგაზრდა გოგონა, მარიამ კოპალიანი, რომელიც იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ ლამის მოზრდილი ბიჭები მორიდებულად, მაგრამ „ქვეშქვეშად“ ახედავდნენ ხოლმე ახალგაზრდა დირექტორს. იგი ძალიან მარჯვე, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული აღმოჩნდა.

მოვლენას წინ გავუსწრებ და ვიტყვი იმასაც, რომ მან დიდი ამაგი დასდო ცაგერაში ახალი საშუალო სკოლის მშენებლობას და დაასრულა კიდეც. თუმცა სამწუხაროდ აფხაზეთის ტრაგედიამ ეს სკოლა, როგორც მთელი ცაგერა ფერფლად აქცია. თავად სკოლის დირექტორი, რომელიც ამ საერთო საქმეების გამო საკმაოდ გვიან გათხოვდა, თუმცა იგი შთამომავლის გარეშე გარდაიცვალა.

მოგვიანებით ცაგერას საშუალო სკოლის დირექტორი ცაგერელი კაცი - გივი მეშველიანი გახდა, რომელიც ცაგერას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

გივი მეშველიანთან, ისევე როგორც მის მამასთან ვლადიმერ მეშველიანთან, რაღაც განგებამ მეც მარგუნა მთავარ სპეციალისტად მემუშავა.

ამის თაობაზე საუბარს კვლავ მივუბრუნდები, ეხლა კი ჩემი სწავლის პროცესს მინდა დავუბრუნდე.

დავამთავრე რა ცაგერაში შვიდწლედი (წარჩინებით) მოხდა ისე რომ ზაფხულის თვეში (აგვისტოში) ჩვენს სოფელში (ცაგერაში) კოლმეურნეობის კანტორაში (ასე ეძახდნენ მაშინ) სტუმრად ჩამოვიდა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის

უფროსი, ოჩამჩირელელი აქვსენტი მარხულია. აღნიშნულ პიროვნებას კოლმეურნეობის კანტორაში შეხვედრა მოუწყვია (მოუწყვიას იმიტომ ვამბობ რომ მე ამ შეხვედრაზე ვერ მოვხვდი იმის გამო რომ ავად ვიყავი, სამწუხაროდ ამჯერად უკვე მეორედ შემეყარა საკმაოდ გავრცელებული ავადმყოფობა ციებ-ცხელება, რასაც ასე ეძახდნენ მაშინ) საშუალება არ მომეცა შევხვედროდი აქვსენტი მარხულიას. თუმცა ჩემი უფროსი ძმა, რომელმაც ასევე დაამთავრა შვიდი კლასი, მასთან ერთად მარხულიას შეახვედრეს ჩვენი სკოლადამთავრებული ათამდე მოსწავლე, თითქმის ყველა მათგანი მისაღები გამოცდების ჩაბარებით ჩაერიცხა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში.

ჩემი შვიდი კლასის დამთავრების მოწმობა უჩემოდ წაიღო სასწავლო ნაწილის უფროსმა აქვსენტი მარხულიამ და ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე ჩამრიცხა აღნიშნულ ტექნიკუმში.

აი, ასე აღმოვჩნდი ტექნიკუმის სტუდენტი, რომელიც დავამთავრე ასევე წარჩინებით 1944 წელს. ტექნიკუმში გამოსაშვები გამოცდები ჩატარდა მოგვიანებით აგვისტოს ბოლოს რის გამოც მე, როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული ვეღარ მოვხვდი პროფილის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ქ. თბილისში.

დრო რომ არ დამეკარგა ტექნიკუმის დირექტორმა მიმავლინა ჩემს სოფელში (ცაგერაში), სადაც მუშაობა დავიწყე ჩემი სოფლის კოლმეურნეობაში მთავარ აგრონომად. ორი კვირის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ მეშველიანმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე წარმადგინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და 17-18 წლის უკვე გავხდი თანამდებობის პირი კოლმეურნეობის მასშტაბით.

უნდა ავღნიშნო, რომ ეს იყო ჩემი პირველი, შემიძლია ვთქვა წარმატებული კარიერა სადაც პირველი ნათლობა მივიღე ისეთ გამოცდილ გლეხობასთან, როგორებიც იყვნენ თავად კოლმეურნეობის თავმჯდომარე(სხვათაშორის იგი წერა-კითხვის უცოდინარი გახლდათ, მაგალითად დოკუმენტებზე „ხელს აწერდა“ ჯვარის

რაღაც პლიუსით (+) აღნიშნავდა. თუმცა იგი საკმაოდ გამოცდილი, პრაქტიკოსი, გარკვეულწილად კარგი ორგანიზატორიც (მენეჯერი) იყო. მახსოვს ერთი ასეთი მომენტიც: ეს ის პერიოდია, როცა მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა და კოლმეურნეობას მხოლოდ თავისი კოლმეურნეობისათვის კი არა სამხედრო ნაწილისთვისაც კი აბარებდა მოსავლის გარკვეულ ნაწილს. ცხადია, გლეხობას საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდა პრაქტიკულად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობა მთელი წლის განმავლობაში (მხოლოდ შრომა-დღეები ერიცხებოდათ) მოსახლეობას მაინც ავალდებულებდნენ კოლმეურნეობაში მუშაობას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ასეთ ხერხს მიმართა კოლმეურნეობის სასიმინდეებიდან ნაწილი სათესლე სიმინდისა სოფლის წისქვილში დააფქვევინა (მეწისქვილეს) და რამდენიმე ასაკოვან კოლმეურნე ქალებს დაავალა გლეხურად (თონეში) გამოეცხოთ მჭადები. ჩააწყვეს ისინი დაწნულ ყუთებში თუ „სალასტოებში“ (ასე ეძახდნენ ამ თხილის წნელით დაწნულ დიდ კალათებს) და მინდორში, უფრო სწორად ჩაის პლანტაციებში სამუშაო ადგილზე (ბრიგადაში) გაიტანა ასეთი წესით გამომცხვარი მჭადები და ბრიგადირთან ერთად თვითონვე არიგებდა კოლმეურნეებზე. ვინც ადრე გამოვიდოდა სამუშაოზე და დღიურ ნორმას შეასრულებდა მთელ მჭადს მიიღებდა, სხვები კი გამომუშავების მიხედვით, ნახევარ თუ მეოთხედ მჭადს მიიღებდა და ა.შ. დიახ, დღევანდელი გადასახედიდან ასეთი რამ დღეს ცოტა იქნებ უცნაურადაც კი ჩანდეს, მაგრამ ცხოვრება (პრაგმატული მიდგომა) ასე ითხოვდა ამ „მჭადს“ მოხერხებულად იყენებდა გამოცდილი პრაქტიკოსი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. მეშველიანი, რომელთანაც კარგი პრაქტიკული ნათლობა გავიარე.

მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი იმასაც, რომ (არ ვიცი ბედის ირონია იყო თუ რა) შემდგომში როცა მე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დავამთავრე ვლადიმერ მეშველიანის შვილთან გივი მეშველიანთან მომიწია მუშაობა. ამჯერად უკვე განსხვავებულ (ცხენისწყლის კოლმეურნეობასთან გაერთიანებულ კოლმეურნეობაში)

მაშინ მთავარ აგრონომად მუშაობა (ამაზე ცოტა მოგვიანებით ვიტყვი რამდენიმე სიტყვას). ამჯერად კი მოკლედ შევეხები სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში (სოხუმში) სწავლის და ყოფაცხოვრების პერიოდს. ეს არ იყო იოლი და არა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომით გამოწვეული მძიმე პირობებით, არამედ ამ პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებთან დაკავშირებით, რომელიც მაშინ გადაიტანა მთელმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ. მოკლედ იმის შესახებ, თუ რა პირობებში გვიხდებოდა სწავლა და ყოფაცხოვრება ტექნიკუმში.

უპირველეს ყოვლისა, ბინის პრობლემა მოგვარდა იმით, რომ ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში გამოგვიყვეს ერთი დიდი ოთახი, სადაც ათამდე სტუდენტი ძირითადად ერთი სოფლის (ცაგერას) მაცხოვრებლები ვიყავით.

მხოლოდ რკინისა და ზოგიც ხის საწოლები გამოგვიყვეს, სხვა დანარჩენი კი სოფლიდან ჩავიტანეთ. შაბათ-კვირას სოფელში ვბრუნდებოდით, რათა მორიგი სანოვაგე წაგვეღო. ფქვილიც კი მიგვქონდა და ტექნიკუმის სასადილოში ვაბარებდით დეიდა პაშას (რუსი ქალბატონი) აცხობდა მჭადებს და ვინ იცის რამდენს გვაძლევდა ჩვენ გამომცხვარი სახით. ეს იყო და ეს რაღაც კერძს დღეში ერთხელ ფასგადახდით ვღებულობდით.

ყველაზე პრობლემური მგზავრობა იყო შაბათ-კვირის. ამ დროს ავტოტრანსპორტი საერთოდ არ არსებობდა ამდენად, ფეხით მივდიოდით ტამიშის რკინიგზის სადგურში, რომელიც ჩვენი სოფლიდან თითქმის 7-8 კმ იყო ფეხით სავლელი. გზის ნაწილი რკინიგზის ხაზის გავლით უნდა დაგვეფარა.

თუ კი რაიმე მიზეზით დავაგვიანებდით ბათუმიდან სოჭის მიმართულებით მიმავალ სამგზავრო მატარებელზე უკან ფეხით ვბრუნდებოდით და მეორე დღეს მივდიოდით კვლავ. ასეთ პირობებში, რაც კიდევ უფრო დამძიმებული იყო ომის პერიოდით გამოწვეული სიძნელეებით, კარგად ვსწავლობდით. ამას ხაზს ვუსვამ დღევანდელი ახალგაზრდების გასაგონად, რომლებიც სწავლის პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან მრავალგვარ დახმარებას ღებულობენ.

მძიმე პირობებშიაც (არ იყო სახელმძღვანელოები, არ იყო რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები) მაინც მოვახერხე ყველა საგნის ფრიადზე სწავლა და ტექნიკუმი წარჩინებით დავამთავრე.

იმავე წელს ტექნიკუმში სახელმწიფო გამოცდების გვიან აგვისტოს ბოლოს დამთავრების გამო, იმავე წელს ვეღარ გავაგრძელე სწავლა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც, როგორც წარჩინებით ტექნიკუმ დამთავრებულს უგამოცდოდ ჩარიცხვის უფლება მეძლეოდა. გამოცდების დაგვიანებით დამთავრების გამო იმავე წელს ვეღარ ჩავირიცხე ინსტიტუტში და ამდენად სამუშაოდ მიმავლინეს ჩემსავე სოფელში (ცაგერაში) მაშინ მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად და ორი კვირის შემდეგ კოლმეურნეობის საერთო კრებამ გამგეობის წარდგინებით კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეობა განმისაზღვრა.

ასე მოვევლინე „წარჩინებული“ სპეციალისტი კოლმეურნეობას, რომელიც საკმაოდ მრავალდარგოვანი იყო და საჭირო იყო ყველა დარგების ზედმიწევნით ცოდნა.

იმავე წელს გავაშენეთ 5 ჰექტარი ცოლიკაურის ვაზი, 35ჰა ჩაის პლანტაცია, ასევე ხეხილის ბაღი, მოგვყავდა ბაღჩა-ბოსტნეულის კულტურები და ა.შ.

ვერ ვიტყვი, რომ ყველა კულტურის აგროტექნიკას ზედმიწევნით ვფლობდი, თუმცა ჩემი პრაქტიკული გამოცდილება რამდენადმე მიღებული მქონდა მამაჩემიდან.

მამაჩემი (გრიგოლ ხეცურიანი) სოფელში ერთ-ერთი ფრიად გამოცდილი მევენახე გახლდათ. იგი სოფლის გამოცდილ გლეხებთან პავლე თუთისანთან, ნიკო საღინაძესთან და სხვებთან ერთად, მაპატიონ თუ ყველას ვერ ჩამოვთვლი, დიდ პრაქტიკულ სამუშაოებს ასრულებდა ვაზის ნერგის გამოყვანის, მოშენებისა და მოვლა-მოყვანის საქმეში.

მახსოვს ერთი ასეთი მოვლენა, რომელიც დღემდე არ მავიწყდება. ამ პერიოდში დიდი დეფიციტი იყო ვაზისათვის სამკურნალო და მავნებლებთან საბრძოლო საშუალებები, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ვაზის სანერგე მეურნეობაში სათბურიდან გადარგული

ვაზის ნერგები უნდა გამოგვეზარდა და ერთი და ორწლიანი ნერგების სახით. საერგეში ახალშენ უკვე შეფოთლილ ნერგებს მასიურად შეესია საკმაოდ დიდი ზომის მუხლუხოები, რომლებიც რამდენიმე დღეში უფოთლოდ ტოვებდა ახალ ვაზს და ნერგებს. მართალი გითხრათ ვერაფერი ვუშველე. სადღაც ე.წ. დუსტი ვიშოვე (ddt) სამწუხაროდ ამანაც ვერ უშველა საქმეს იმდენად მასიურად მოედო „ფოთოლჭამიები“ ყველგან.

ერთ დილით დაღონებული საკმაოდ ადრე ჩავედი სანერგეში და რას ვხედავ: მთელი სანერგე თითქმის ავსებულია ინდაურებით(მამალი ინდაურები ხმამაღლა ყიყლიყობენ) ვიფიქრე რა მოხდა მეთქი დიდი ჯოხით დავედევნე ინდაურებს და ამ დროს წამოდგა საკმაოდ მაღალ-მაღალი კაცი და იცინის თან მეუბნება მოიცა აცადე ამ ინდაურებს და ნახავ, რომ არცერთი მატლი აღარ დარჩება ამ სანერგეში. თურმე ეს პიროვნება გახლდათ მამაჩემის მეგობარი პავლე თუთისანი, რომელიც მამაჩემთან ერთად მუშაობდნენ ვაზის ნამყენების სათბურში გამოზრდაზე და შემდგომ სწორედ ასეთი ნერგები გადაგვქონდა მინდვრად სანერგეში გასაშენებლად და ერთწლიანი ნერგების გამოსაყვანად.

აი ამ გამოცდილმა გლეხმა მოიფიქრა, რომ თავისი და მეზობლის ინდაურები ჩაეყვანა დილაადრიანად სანერგეში, რათა სანერგეში გავრცელებული ვაზის ნერგის მავნებლები „მოეშორებინა“ თავიდან ინდაურების მეშვეობით. აი, ასე გადავურჩით ვაზის სანერგის განადგურებას.

ეს მომენტები გავიხსენე იმიტომ, რომ სოფლებში არიან საკმაოდ გამოცდილი გლეხები, რომელთაც ყველაზე რთულ ვითარებაშიაც ძალუძთ გამოსავლის პოვნა.

ამასობაში გავიდა წელი და დადგა ინსტიტუტში ჩარიცხვის პერიოდი. მე უკვე შევეჩვიე მუშაობას და მართალი გითხრათ მამაჩემიც აღარ ცდილობდა ჩემს გაგზავნას უმაღლეს სასწავლებელში. თუმცა ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელმა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა დაავალა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თქვენი

აგრონომი მიავლინეთ თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლადო.

დიახ, ასე გადაწყდა ჩემი ინსტიტუტში სწავლის გაგრძელების საკითხი.

მახსოვს დიდი ფანერის ჩემოდნით მივდიოდი ოჩამჩირის რკინიგზის სადგურზე, როცა ჩემი ყოფილი მასწავლებელი - ლადო სილაგაძე შემომხვდა. მკითხა სად მიდიხარო - თბილისში სასწავლებლად მეთქი, მან ჯიბეები მოიქექა მაგრამ ფული არ აღმოაჩნდა.

III. ახალმოსახლეთა ადაპტირების პროცესი ახალ გარემოში

აფხაზეთში ჩასახლებულ ქართველებს რთული ადაპტაციის პროცესი დასჭირდათ არა მხოლოდ მთიანი რეგიონის კლიმატის პირობებიდან, შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული ტენიანი კლიმატის პირობებისადმი - არამედ, საჭირო გახდა სრულიად ახალი კულტურების, ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკის, მათი მოვლა-მოყვანის წესების ათვისების თვალსაზრისით არამედ, სრულიად განსხვავებული ლანდშაფტის მიმართ შეგუებაც იყო საჭირო.

ლეჩხუმის მთიან სოფლებში მოსახლეობა დასაქმებული იყო მეცხოველეობის დარგების განვითარებით. ასევე თესავდნენ მარცვლეულ კულტურებს, ძირითადად სიმინდის, ალაგ-ალაგ ადგილობრივ ხორბლის ჯიშების თესვასაც და შედარებით მცირე მოსავლის მიღებით კმაყოფილდებოდნენ. ადგილობრივი ხორბლის ჯიშები (ზანდური, ხულუგო და ა.შ.). ძირითად გლეხობას კოლმეურნეობაშიაც კი ყოველგვარი ტექნიკის გამოყენებით მოჰყავდათ, ცხადია მოსავლიანობაც მწირი იყო. მახსოვს პურეულის გალეწვა პატარა კალოებზე ხდებოდა ცხენებშებმული ან ხარებშებმული კევრის მეშვეობით. იქვე ხის ნიჩბებით ანიავებდნენ გალეწილ მარცვალს და ა.შ. აფხაზეთში როცა ჩაასახლეს გლეხობას სრულიად ახალ გარემოში მოუხდა ახალ -ახალი კულტურების მოვლა-მოყვანაზე მუშაობა. მთიან სოფელში მართალია მარცვლეული კულტურები უხვი მოსავლით არ გამოირჩეოდა სამაგიეროდ ადგილმდებარეობას კარგად იყო ადაპტირებული მსხვილფეხა, პირუტყვი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყო ცხვარი და თხა.

ვაზის კულტურა აქ ძირითადად ცოლიკაურის ჯიშის იყო გავრცელებული. ღვინის წარმოება აქ ქვევრებში მიმდინარეობდა.

ერთი სიტყვით მოსახლეობა აქ როგორც იტყვიან არ წუწუნებდა საკმაოდ კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი ბედით.

თუმცა ახალ გარემოში, ამ შემთხვევაში აფხაზეთში მათი ჩასახლება, მაინც კომუნისტური პროპაგანდის შედეგად მიმდინარეობდა

უმეტესწილად. თუმცა იყვნენ ცალკეული ენთუზიაზისტები, რომლებსაც პროპაგანდისათვის იყენებდა ადგილობრივი კომუნისტური ხელმძღვანელობა.

მახსოვს, როცა მთიანი სოფლის მოსახლეობას იმ ხანად თითო კომლს მხოლოდ ერთ მანქანას აძლევდნენ ე.წ. „პალუტორკებს“, რომელიც მობილიზებული იყო სპეციალურად გადასახლებას დაქვემდებარებული ოჯახებისათვის.

მე ამ მასობრივ გადასახლებამდე რამდენიმე თვით ადრე ბიძაჩემმა და ბიცოლამ წამიყვანეს აფხაზეთში. იმ ხანად მხოლოდ დაწყებული იყო ცაგერას სოფლის მშენებლობა. მხოლოდ სამი სახლის მშენებლობა იყო დასრულებული.

სოფელი ცაგერა გაშენდა ტყე-ბუჩქნარებით დაკავებულ ტერიტორიაზე. აქაური ნიადაგი საკმაოდ მწირი, ეწერის ტიპის ე.წ. მელიჭვლიანი (გაუვალი ფენით მოფენილი იყო, რომლის დაშლას მხოლოდ მძიმე ტექნიკა ესაჭირეობდა, რომელიც ძალზე დეფიციტური იყო იმ პერიოდისათვის).

გლეხები თავიანთ საკარმიდამო მიწებზე ბარითა და წერაქვით ანგრევდნენ მელიჭვილიან ფენას და ახერხებდნენ 36-35- და მეტი სიღრმის ფენის დაშლა-დამუშავებას, სადაც ვაზისა და ციტრუსების დარგვას ახერხებდნენ საკმაო მძიმე ხელის შრომის გამოყენებით.

უკეთეს მიწებზე, რომელსაც პირველ რიგში ასათისებელ მიწებს აკუთვნებდნენ, აშენებდნენ ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს, საბჭოთა მეურნეობებისათვის გამოყოფილ მიწებზე. ხოლო დარჩენილი, ჯერ კიდევ აუთვისებელი მიწები გამოყოფილი იქნა ახლად ჩასახლებული მოსახლეობის ბაზაზე შექმნილი კოლმეურნეობების მიერ. რა თქმა უნდა ასეთ ტერიტორიაზე გაშენებული პლანტაციები სხვა თანაბარ პირობებში, შედარებით ნაკლებ ეფექტური იყო ანუ მეორე-მესამე რიგის მიწები გახლდათ.

ცაგერისათვის გამოყოფილი მიწები დაბალ ნაყოფიერებაზე ისიც მიანიშნებდა, რომ ამ ადგილას ფაქტიურად არ ცხოვრობდა ადგილობრივი მოსახლეობა. სოფლის განაპირა ადგილებში (სოფლის

ბოლოს და სოფლის განაპირა (პირობითად)) მხოლოდ რამდენიმე კომლი ცხოვრობდა. მათ შორის სოფლის ბოლოს ორი კომლი მეგრელები (ქართველები) უფრო სწორად შერეული ოჯახები იყო. ძირითადად მამაკაცები მეგრელები (ქართველები), ხოლო მეუღლეები კი აფხაზი ქალბატონები იყვნენ, ხოლო პირობითად სოფლის თავში აფხაზები ცხოვრობდნენ, რამდენიმე კომლი (განაპირა ადგილას) ცხოვრობდნენ, გვარად ისინი ხალვაში და ხეციას გვარისანი იყვნენ, ასევე ორი ოჯახი იყო შარმატის გვარის. მდინარე ცხენისწყლის პირას ცაგერას მხარეზე ცხოვრობდნენ სამი ოჯახი ბებია-ს გვარისანი. იყო მათ შორის ორი ძმა ბებია, ერთი პასპორტით ქართველი იყო, ხოლო მეორე კი აფხაზი. ალბათ იმიტომ, რომ მისი მეუღლე აფხაზი გახლდათ.

ეს ასე ვთქვათ, ადგილობრივი ოჯახები დასაწყისში გაერთიანებული იყვნენ „ცხენისწყლის“ აფხაზურ მოსახლეობასთან კოლმეურნეობაში. შემდგომ ეტაპზე აფხაზური სოფელი მთელი კოლმეურნეობის სახით, გაერთიანდა ცაგერას კოლმეურნეობასთან და უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ, შეიძლება ითქვას შეხმატკბილებულად მუშაობდნენ. თუმცა როცა ამ სოფელშიაც მიეღწია „აიდგილარას“ ემისრებმა დაიწყეს ურთიერთდაპირისპირების მოვლენები. თუმცა ერთ პერიოდში ცხენისწყალი და ცაგერა გაერთიანდა კოჩარის კოლმეურნეობასთან.

ვილიამსის თეორიას თუ გავიზიარებთ ცუდი მიწები არ არსებობს - ამბობდა იგი, არამედ არსებობენ ცუდი მეურნენიო. დიახ, ამ თეორიაში თეორიულად არსებობს ჭეშმარიტება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ „ცუდ“ მიწებზე გაცილებით მეტი დანახარჯები უნდა გაიღოს მეურნემ, რომ ასეთი მიწის საწყისი ეფექტურობა გაუტოლდეს კარგი მიწების ნაყოფიერების დონეს. კონკურენციულ პირობებში ცხადია ამ ვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუ ისტორიულ გამოცხადებას მივაყურადებთ ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორია დაკავშირებულია ადამიანის, შეიძლება ითქვას შეუცვლელი საარსებო საშუალების - მიწის ფლობის შესაძლებლობის მოპოვება ყოველთვის იყო, დღემდე რჩებოდა მომავალშიაც ასე გაგრძელდება, - ადამიანთა მოდგმის დავის თუ ბრძოლის ასპარეზი.

უფრო მეტიც ერის ცნება არ არსებობს ტერიტორიის (მიწის) გარეშე.

საქართველო ოდითგანვე, ისტორიულად მცირე მიწიან ქვეყანას განეკუთვნება. თუნდაც ბოლო წლების მონაცემებით. ომარ ქეშელაშვილი „მიწა ეროვნული სიმდიდრე“ - ამ პატარა (მოცულობით) ბროშურით გვამცნობს, რომ სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძნელად ასათვისებელი რეგიონია აქ ზღვის დონიდან 500 მეტრამდე, განლაგებულია მთელი ტერიტორიის 26,7%. 500-დან 1000 მეტრამდე - 21,7%; 1000-დან 1500 მეტრამდე 19,1%; 1500-დან 3000 მეტრამდე - 31,0%; 3000-ზე ზევით - 1,5%. ამის შედეგად, მთელი ტერიტორიის 54% მთებს უკავია, 33% მთისწინებს, ხოლო მხოლოდ 13% დაბლობ ადგილებს. თუ ამ ჩანაწერებს გავაგრძელებთ - „მთიანი რელიეფის გავლენით მეტისმეტად შეზღუდულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. სოფლის მეურნეობის მიერ გამოყენება მთელი ტერიტორიის მხოლოდ 4%“.

ასეთ ვითარებაში ცხადია არ შეიძლება აუთვისებელი დარჩეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწები.

მართალია არ იყო ადვილი მთიანი ზონის რთულ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრება მათთვის ასევე ძნელი იყო ახალი - მათთვის უცნობი მხარის პირობებში გადასვლისა და ფაქტიურად, სრულიად ახალ გარემოში ადაპტირება, თუმცა იმდროინდელმა მთავრობამ იგულისხმება საქართველოს მთავრობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პირობებში კარგად აპრობირებული აგიტაცია - პროპაგანდის მეთოდების ამოქმედებით შეძლო მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური გავლენა და დაარწმუნა ისინი ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში. მეთოდური პროპაგანდისტული მუშაობა დაიწყო და მიმდინარეობდა უპირველესად ყოვლისა სოფლის კომუნისტური აქტივის მობილობით, ასევე მოლაპარაკებები განვითარდა შედარებით იმ დროის პირობებისათვის ქონებრივად არც თუ ისე ღარიბი ფენის მიმართ არამედ, უფრო შეძლებულ ფენაზე. რამაც ზეგავლენა მოახდინა სოფლის მოსახლეობის ფართო ფენებზე.

ასე, რომ ურთიერთ შეგონების გზით დაიძრა მოსახლეობა ახალი მომავლისაკენ სწრაფვის მიმართულებით.

საყურადღებო იყო ის, რომ ახალ ადგილზე ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს - აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე ახალ შენებისთვის ადგილი ძირითადად შერჩეული იქნა თითქმის დაუსახლებელი ტყე-ბუჩქნარებით და იმ დროისათვის გამოუყენებლი ადგილები. მაგალითისათვის შეიძლება აღინიშნოს ოჩამჩირის რაიონის აუთვისებელი მიწები - შემდგომში ახალდაბის ახალი კინდღის, ცაგერას და ა.შ. სოფლების მშენებლობა. ეს პროცესი 1939-1940-იან წლებში დაიწყო და, რამდენამდე შეფერხდა მეორე მსოფლიო ომის გამო, ომის დამთავრებისთანავე გაგრძელდა ეს მშენბლობა. თუმცა ომის პერიოდშიაც მეტ-ნაკლებად მაინც მიმდინარეობდა ახალი სოფლების მშენებლობა.

უფრო მოგვიანებით - ომის შემდგომ პერიოდში ახალი სოფლების დამკვიდრება განახლდა და დაიწყო ე.წ. მეორე ტალღა 1949-1950-იან წლების პერიოდში. ამ პერიოდში შედარებით უკეთეს პირობებში გაგრძელდა აღნიშნული საქმიანობა იმ გაგებით, რომ ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის (ბერძნების) გასახლების ხარჯზე განხორციელდა. ამდენად ამ გზით ახალი მოსახლეობა საკმაოდ უკეთეს პირობებში დამკვიდრდა და არსებული ბაღებისა და სავარგული მიწების გამოყენებით იოლი გზით წავიდა მათი ამ გარემოში ადაპტირება.

იმავე ოჩამჩირის რეგიონში ამ დროისათვის გაგრძელდა აუთვისებელი მიწების ათვისება. ასე მაგალითად ახალი კინდღის საზღვარზე სრულიად გამოუყენებელ ტერიტორიაზე სადაც ადგილობრივი მონადირეები მხოლოდ მწყერზე ნადირობას თუ ახერხებდნენ ამჯერად აშენდა მეფრინველეობის უზარმაზარი ფაბრიკა, რომლის სიმძლავრე წლიურად 800 მილიონი ფრთა კვერცხმდებელი ფრინველის გაშენებას ითვალისწინებდა. აღნიშნული ფაბრიკის სიმძლავრე სრულიად იქნა ათვისებული 1960-90-იანი წლებისთვის. მაშინ, ამ თანამედროვე ტიპის მსხვილი საწამოს, დირექტორად აფხაზი კაცი - რაულ ეშბა ხელმძღვანელობდა. ეს ის პიროვნება იყო, რომელიც, დიდად

სამწუხაროდ, აფხაზეთში დატრიალებული საომარი მოქმედებების დროს სოხუმის ცენტრში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობაში ამ ცნობილ პიროვნებასთან და სხვებთან ერთად, ჟიული შარტავასთან და მის თანამებრძოლებთან ერთად დახვრიტეს აფხაზმა და, ათასზგზის შემოსულმა მათმა მხარდამჭერებმა. დიახ, ეს სამწუხარო მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ ამეღნიშნა თუ რაოდენ გამრუდებული აღმოჩნდა აფხაზეთში და თუნდაც სრულიად საქართველოში მიმდინარე აღმშენბლობითი საქმიანობა.

ახალი კინდღის ტერიტორიაზე ასევე სრულიად აუთვისებელ მიწებზე დაფუძნდა მებოსტნეობის მეურნეობა, სრულიად თანამედროვე ტექნოლოგიის საფუძველზე. იგი დახურული ტიპის სასათბურე მეურნეობა გახლდათ და (პომიდორისა და კიტრის) ზამთარ-ზაფხულში მოქმედი ციკლით მუშაობდა.

ახლოს ამ ტერიტორიის მიმდებარედ ჩამოყალიბდა მეხილეობა, მევენახეობის ახალი ტიპის მეურნეობა და ა.შ.

ფართო მაშტაბის სამუშაოები იქნა დაწყებული ოხურეის გრუნტის თბილი წყლების ბაზაზე - სასათბურე მეურნეობის მშენებლობისა, გაგრძელდა თბილი გრუნტის წყლების და ჭაბურღილების მოწყობა არადუსა და ცაგერას საზღვარზე, რომლის მშენებლობა შეჩერებული იქნა აფხაზეთში საომარი მოქმედებების გამო.

ჩასახლებულმა მოსახლეობამ უპირველეს ყოვლისა ხელი მიჰყვეს ვაზის კულტურის გაშენებას და ქართული ტრადიციების შესაბამისად, ქვევრის ღვინის წარმოებას. ცაგერაში შექმნეს ე.წ. გლეხური ჭურ-მარანი, სადაც ქვევრის ღვინოს ამზადებდნენ და ადგილზევე აწარმოებდნენ არაყის გამოხდას და ა.შ.

ახალი კინდღის ტერიტორიაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივლიანე ჭაბუკიანმა, სრულიად გამოუყენებელ მიწებზე გააშენა ცოლიკაურის ჯიშის ვენახი. თუმცა მალე რაიონის მესვეურთა დავალებით შეცვლილი იქნა ვაზის გამრავლება ჩაის პლანტაციების გაშენების მიმართულებით.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ეწერი ტიპის მიწები

შეესაბამებოდა უფრო მეტად ჩაის პლანტაციების გაშენების პირობებს, თუმცა მიწის ვარგისიანი ფენა მეტად „დამძიმებული“ იყო ე.წ. „მელიჭვილის“ წყალგაუმტარი ფენით. ამ „შეცემენტებული“ ფენის დაშლა მოითხოვდა ღრმა ე.წ. პლანტაცჟის წესით დამუშავებას. თუმცა იმ დროისათვის ამ ტიპის სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ტექნიკა ჯერ კიდევ არ არსებობდა. მხოლოდ მოგვიანებით შეიქმნა სპეციალური სამელიორაციო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სპეციფიკური სამუშაოების შესრულებას.

ასე, რომ ფაქტობრივად დაიწყო აფხაზეთის ახლად ათვისებულ ტერიტორიებზე ჩაის, ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული კულტურების მშენებლობა. ანუ დაიწყო აქაური მიწების ინტენსიური გზით ათვისება და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო წამროების ინტენსიფიკაციის მიმართულებით განვითარება.

გამახსენდა და არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ მოვლენას, რასაც ჰქვია აფხაზებისა და ქართველების ურთიერთშეგუების თუ გნებავთ, შეჩვევის თუ, ზოგადად კეთილმეზობლური ურთიერთობის პროცესს. ამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ავღნიშნოთ აფხაზურ სოფელში, კოდორის პირა კოლმეურნეობაში მთავარი აგრონომის იპოლიტე ინალიფასა და ეკონომისტის ვალერი ხეცურიანის, მე ვიტყოდი მამაშვილურ (ასაკის მიხედვით) ურთიერთობა. იპოლიტ ინალიფა გახლდათ ცნობილი აფხაზი მწერლის - საზოგადო მოღვაწის შალვა ინალიფას ძმა. თვით იპოლიტ ინალიფა ამ კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი იყო, ხოლო ვალერიან ხეცურიანი ამ კოლმეურნეობაში მუშაობდა კოლმეურნეობის მთავარ ეკონომისტად. სხვათა შორის ეს ის პერიოდია, როცა ის ის იყო, რომ აფხაზეთში საომარი მოქმედება დაიწყო.

სამწუხაროა, რომ უახლოეს პერიოდში უშუალო მეზობლები-აფხაზები (აძუბჟა) და ქართველები (ახალდაბა) აფხაზეთის ომის დროს ერთმანეთს დაუნდობლად ეკვეთნენ და საბოლოო ჯამში ახალდაბა მიწისაგან პირისა აღგავეს.

ახალდაბა დაუსახლებელ ტერიტორიაზე დამკვიდრდა 1939-1940-იან

წლებში და ერთ-ერთი მაღალ განვითარებულ სოფლად წარმოჩინდა. ძნელია აღწერა იმ მოვლენებისა, რაც ამ მდინარე კოდორის მარცხენა მხარეს მდებარე შემკული სოფელი განადგურდა. ამბობენ, რამ მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი ჭებშიაც კი ჩაყარეს (ასეთი ხმები გავრცელდა მაშინ).

ახლადჩასახლებულმა სოფლებმა - ახალდაბამ, ახალმა კინდღმა, ცაგერამ, არადუმ და სხვებმა კონკურენციის პირობებში მთელი ოჩამჩირის აგრარული ბაზარი დაიკავა.

მახსოვს, რომ აღნიშნულ სოფლებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, აფხაზურ სოფლებთან. თუმცა, მოხდა ის რაც მოხდა. დღეს იქ გაურკვეველი ვითარებაა დიდად სამწუხაროდ.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და მთავრობის შემდეგ (1953 წელს) სხვა 19 კურსდამთავრებულთან ერთად საქართველოს მთავრობამ - პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგვანაწილა და მე მათ შორის ოჩამჩირის II მტს-ში მოვხვდი. დავინიშნე უბნის უფროსად. II მტს-ის დირექტორი მაშინ, ჩემთვის კარგად ცნობილი სოხუმის სუბტროპიკული ტექნიკუმის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე - ოჩამჩირელი აქვსენტი მარხულია გახლდათ, რომელმაც ძალზე გაიხარა, როცა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროში შევხვდი, ამჯერად როგორც ინსტიტუტ დამთავრებული სპეციალისტი. იმ დღესვე ჩამიყვანა სოფელ ტამიშის ტერიტორიაზე განლაგებულ მტს-ის დირექციაში და იმ საღამოსვე ბრძანებით გამამწესა იმ უბანში, რომელშიაც შედიოდა: ახალდაბა, ახალი კინდღი, ცაგერა, არადუ და ა.შ. კოლმეურნეობები.

ეს ის პერიოდია, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვი მოევლინა საბჭოთა კავშირის, როგორც პირველი პირი. ხრუშჩოვმა განსაკუთრებით დაიწყო „რეფორმები“, რომლის შესაბამისად მალე მტს-ებში მომუშავე სპეციალისტები გადაგვიყვანეს უშუალოდ კოლმეურნეობებში იმ პირობით, რომ სპეციალისტებს დაგვევალა უახლოეს 2-3 წელიწადში უნდა დაგვეყენებინა ფეხზე კოლმეურნეობა და შესაბამისად მივიღებდით მაღალ ანაზღაურებას. მანამდე კი მხოლოდ 30 მანეთს

მივიღებდით. პირადად ჩემთვის ეს პროცესი უაღრესად მძიმე გამოდგა, რადგან ეს იმ დროს მოხდა, უფრო სწორად ჩემი ოჯახისთვის რთულად დასაძლევი გახდა. ეს ასე ვთქვათ, რეფორმა, რადგან სწორედ ამ პერიოდში დავიწყე ჩემი ოჯახის ფორმირება. შეიძლება თავიც კი შეგაწყინეთ ჩემი ოჯახის შექმნისა და ფორმირების აღწერით, მაგრამ თავს უფლებას მივცემ ზოგი, რამ გავავრცო - რადგან მინდა ერთგვარად შთავაგონო ახალგაზრდობას, რომ ოჯახის შექმნა გარკვეულწილად დაკავშირებულია, რაღაც გამბედაობასთან, რისკთან. ეკონომიკური ვითარება ამ დროს გარკვეულწილად განმსაზღვრელია.

მე ამჯერად შევწყვეტ საუბარს ჩემი ოჯახის შექმნით და შემდგომი განვითარების პროცესზე და ამ საკითხს ცალკე გამოვყოფ, ამჯერად დავასრულებ ახალ გარემოში ადამიანთა ადაპტირების პროცესს ზოგადად, თუმცა ამ პროცესზე გავლენას თავისთავდ ახდენს ოჯახური მდგომარეობა. უფრო მეტიც ადაპტირების პროცესმა თავის მხრივ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ოჯახების ფორმირებაზე.

ადაპტირების პროცესის მკაფიოდ ჩამოყალიბების მიზნით დავიწყებ იმით, თუ როგორ წარიმართა ეს პროცესი ჩემი სოფლის ცაგერას მოსახლეობისათვის.

ავღნიშნე და გავიმეორებ, რომ ახალ მშენებარე სოფლის ტერიტორიაზე არ არსებობდა სასმელი წყალი. წყალი, რომელიც შეიძლება ითქვას უაღრესად აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისათვის. ბიოლოგიურად ადამიანს საკვების მიღების გარეშე რამდენიმე დღეს შეუძლია სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, მაშინ, როცა უწყლობა ხელის ტითებზე ჩამოთვლილი დღეების განმავლობაშიც ვერ შეძლებს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას.

ვერ ვიტყვი, რომ ახალი სოფლის წყლით უზრუნველყოფის საკითხზე არავინ ზრუნავდა. დიახ, პირველი სახლის მშენებლობის დაწყებისთანავე დაიწყო ადგილზე წყლის მოძება. გადაწყდა, რომ ჩვეულებრივად გრუნტის წყლების გამოყენების მიზნით დაწყებული ჭების მოწყობა; საერთოდ ჭის სიმაღლე აქ 10-12 მეტრისა იყო, რადგან სოფელი გარკვეულ ზეგანზე იყო განლაგებული. მიუხედავად ასეთი

სიღრმიდან, მიღებული წყლისა მალე გაირკვა, რომ უვარგისი აღმოჩნდა. იგი თვალით დასანახავი ჭიებით და ცხადია უხილავი მიკრობებით აღმოჩნდა დაბინძურებული.

ასეთ ვითარებაში, რომელ ადაპტირებაზე შეიძლება საუბარი.

მთავრობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და მოძიებული იქნა მაღალი ხარისხის წყაროს წყალი მეზობელ (10 კმ სიშორეში) სოფელში, რომელიც გამოყვანილი იქნა სპეციალური მილებით. ასე რომ ეს პროცესი მოგვარდა თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა ჩანდეს ახალი სოფლის მშენებლობის დაწყების დროს რატომღაც არ იყო გათვალისწინებული სოფლის ელექტროფიცირების საკითხი, ალბათ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ცენტრალური, მეტიც სტრატეგიული თბილისი სოჭის მიმართულების ტრასაზე (მარჯვნივ და მარცხნივ) განლაგებული სოფელი საერთოდ ელექტროფიცირების გარეშე დარჩა თითქმის 1960-იან წლებამდე. ცხადია სოფლის სტრატეგიული განვითარების თვალსაზრისით ეს მოვლენა მნიშვნელოვან უარყოფით მოქმედებას განაპირობებდა. სწორედ ასეთმა მიდგომამ განაპირობა, რომ ახლადაშენებული სოფელი, რომელიც თითქმის მთელი აფხაზეთის მაშტაბით აწარმოებდა ცოლიკაურის ვაზის გამოყვანას - ამ მიზნით აქ აშენდა ვაზის სასათბურე მეურნეობა, ასევე დაფუძნდა სასათბურე მეურნეობა. ორთავე ეს ობიექტი ელექტროენერგიის, რომ აღარაფერი ვთქვათ, თუნდაც შორეულ პერსპექტივაში გაზის გამოყენებაზე - მხოლოდ და მხოლოდ შეშის გამოყენებაზე დაფუძნდა. ამ ვითარებამ გამოიწვია ადგილობრივი ტყეების მასიური გამოყენება შეშის მასალად. რომ აღარაფერი ვთქვათ თავისთავად ტყე-ბუჩქნარების გადაყვანაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა კატეგორიაში.

თუ ობიექტურად მივუდგებით საკითხს, (სხვანაირად კი არც შეიძლება) ყოველივე ამ ჩამოთვლილმა ვითარებამ, რბილად რომ ვთქვათ გამაღიზიანებლად იმოქმედა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

როდესაც საუბარია ახალმოსახლეობის ადაპტირების საკითხი ახალ გარემოში, ცხადია რთული დასაძლევი ხდება არა მხოლოდ

ფსიქოლოგიურად, არამედ ნოსტალგია წლების განმავლობაში მრავალი თაობის საცხოვრისის, მამა-პაპისეული სასაფლაოების მიტოვება და ა.შ.

მახსოვს ბაბუაჩემმა (მამაჩემის მამამ) ჩვენი გადასახლების სირთულეები ვერ გადაიტანა და მოულოდნელად გარდაიცვალა მაშინ, როცა ჭურ-მარანი მოინახულა.

ძნელია მაინც დარწმუნება ადგილობრივი მოსახლეობისა, რომ ახალმოსახლეობა ეს არის ქვეყნის (სრულიად) საქართველოს მომავლის გაუმჯობესება და ა.შ. ცხადია გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საკმაოდ ლაღად გრძნობდა თავს ჩამოსახლებულ ასე ვთქვათ, თავისუფალ გარემოში, სადაც ფაქტიურად შრომის, არც თუ ისე დაძაბვის პირობებში ხელი მიუწვდებოდათ ბუნებრივი ტყე-ბუჩქნარებისა და საერთოდ მთელი ბუნებრივი გარემოს, მდინარეთა უხვთევზიანობა და ა.შ. უხვად (ღვთისკურთხეულ) არსებულ სიკეთეებზე.

აქვე შეიძლება ავღნიშნოთ, რომ არც ჩასახლებული და არც ადგილობრივი მოსახლეობა ყველა ჩამოთვლილ და (ჩამოუთვლელ) მოვლენებთან დაკავშირებით იურიდიული ტერმინი რომ ვიხმაროთ დანაშაული არ ჩაუდენიათ. ეს ყველაფერი ხომ მთავრობის ხელისუფლების, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების საფუძველზე ხორციელდებოდა. ამიტომ ვამბობთ, რომ რა დააშავა აფხაზეთში ჩასახლებულმა ქართველებმა (ქართულმა სოფლებმა) იმ სოფლებმა, როგორიც იყო (დიახ იყო და დღეს იქ ნასოფლარებია მხოლოდ) ცაგერა, არადუ, კოჩარის, ბესლახუბის, ახალდაბა, (ოჩამჩირის რაიონში) ასევე გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის, გაგრის ახალმოსახლეოებბი იქნებ მეტიც სოფლის ცივილიზაციის პროცესია „დამნაშავე“ და არა რომელიმე პიროვნული სუბიექტი?

განა მუდმივად დარჩებოდა აუთვისებელი (გამოყენებული) ის ბუნებრივი ლანდშაფტები, ტყე-კორომები თუ ჭაობებიც კი. რა თქმა უნდა არა დღეს არა ხვალ ცივილიზაცია (უბრალოდ განვითარების

პროცესები) ყველას და ყველაფერს „აღგავდა მიწისაგან პირისა“, განა მხარზე შემომჯდარი ზარიანი ქორის სანავარდოდ დარჩები და კინდღის თუ ნებისმიერი სხვა „სამწყერე“ ადგილები, ზღვის დაჭაობებულ ტერიტორიაზე. მახოვს კარგად რა უზარმაზარი ზომის თევზის „საცავები“ სამუდამოდ შერჩებოდა ასე „გულუხვ“ მდინარეებს? ორი კაცი თუ შეუდგებოდა დიდ თევზებს და ისე მიაქანებდნენ თავიანთი სახლებისაკენ ადგილობრივი მცხოვრებლები - ანკესებითა თუ რაღაც „ხვირებით“ თუ სხვა ხელნაკეთი სამარქვებით თევზაობდნენ და ნადირობდნენ ბუნებრივ წყალსატევებსა თუ ღელე-ღულეებში, შემდეგ კი თანდათან მომრავლდა ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ელექტრომოწყობილობები თუ სხვა „ცივილიზაციის სიკეთეები“, რომ გამოიყენებოდა იმისათვის, რომ მუსრი გაევლოთ ბუნების „ნაშენ-ნალოლიავების“ საქვეყნო სიმდიდრეები!

არ მინდა „ვუსაყვედურო“ ადგილობრივ მცხოვრებლებს, იმისათვის, რომ ასე ხარბად „რომ გადაფარებოდნენ“ ბუნების ნამოღვაწარს: მრავალნაირ ნობათს, წყალუხვ და თევზუხვ მდინარეებსა და ტბორებს თუ მდინარის შესართავებში, რომ მოეყარათ თავი ასე მრავლად. მხარზე შემჯდარი ზარიანი ქორების ნაცვლად ცივილიზაციამ უკვე თოფიარაღით აღჭურვა ადამიანი. ტყე-ბუჩქნარებსა და ბუნებრივ საძოვარ-ბუჩქნარებში, რომ მრავლობდნენ ადგილობრივი ჯიშის, (უფრო უჯიშო) საქონლის იმედად, ერთ-ორ ლიტრა რძეს თუ ჩამოწველიდნენ უმეტეს წილად მამაკაცები თავიანთ ეზო-წინეთში დიდი მოლი რომ ჰქონდათ თითოეულ ოჯახს მკვიდრ მოსახლეთაგან. დიახ, გულსატკენია, ის რომ ასეთ უხვ-ბუნებრივ დოვლათიან ქვეყანაში ასე, რომ ნებივრობდნენ ცხენზე ამხედრებულნი თუ ფეხოსნები კვირაობით, რომ ეახლებოდნენ ერთი რაიონიდან მეორეში მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე აქა-იქ გაბნეულ მეჩხერად განსახლებულ ადგილობრივებს დიახ! ადგილობრივებს, თუმცა ასე რომ ავიწყდებოდათ რომ ეს სიმდიდრეები ბუნების ნაბოძები იყო ყველა იმ ადამიანთათვის, რომლებიც სრულიად საქართველოს, მისი ყველა კუთხის, განსხვავებული თუნდაც რელიგიური, კონფესიური თუ სხვა ადათ-ჩვევებისა მაგრამ, საერთო-

ეროვნულ, მეზობლურ - ნათესაური ჯილაგისა და სხვა თუნდაც ზოგადკაცობრიული მთლიანობის შემქმნელ ამა ქვეყნის მოწილე ადამიანების კუთვნილებას, რომ წარმოადგენდა ბოლოს და ბოლოს ან თუნდაც ხომ დასრულდა ის ბატონ-ყმური, გნებავთ ფეოდალური წარსულს მიდევნებული კუთხურ-განკერძოებული ურთიერთობები.

თუმცა არის ის სირთულეები, რომელიც დაკავშირებულია ადამიანთა მოდგმის მრავლობასთან. განა არ უნდა ვირწმუნოთ, რომ საყოველთაო მოვლენაა კაცთა მრავლობა ამ ქვეყანაზე, იზრდება არა მხოლოდ უბრალოდ რიცხოვნობა ადამიანთა, ცხოველთა და სხვა და სხვა მომხარებელთა ამა ბუნებისა, ასე ვთქვათ, პროგრესულად მათემატიკური პროგრესით, მაშინ როცა ამ მრავლებულთა მოხმარების საგნების, ნივთებისა თუ სხვა სიკეთეთა მრავლობა (ზრდა) კი არითმეტიკული პროგრესიით „მისდევს“ მხოლოდ ამ მრავლობას ანუ ერთი შეხედვით მდგომარეობა გამოუვალი ხდება იმის გამო, რომ არ იზრდება ეს ისედაც მცირე ზომის „დედამიწა - სარჩენ-საბადებელი ადამიანისა“. მაშ რა ვქნათ? არის ასეთი გამოსავალი უთუოდ ასე არის არსებული ბუნებრივი სიმდიდრეებით, გნებავთ მიწისა და ა.შ. გამოყენება ინტენსიური გზით, მთავრდება ეპოქა ექსტენსიური გამოყენებისა და იწყება ინტენსიური გამოყენების-ინტენსიფიკაციის აუცილებლობა. ასეთია კანონი განვითარებისა ზოგადად.

დიახ, სწორედ ამიტომაც არის საჭირო ადაპტირება ზოგადად ყველასათვის და არა მხოლოდ ახალმოსახლეთათვის ახალ გარემოებების ურთულეს გზაზე. ეს კარგად უნდა ესმოდეს ადამიანთა მოდგმას. ამისათვის არის საჭირო მეტი გონიერება უბრალოდ ცოდნა და ნიჭიერება ადამიანთა მოდგმისა, რომ ისწავლოს ადაპტირება ურთულეს გარემოში, რომელიც მომავალში კიდევ და კიდევ მეტ ნიჭიერებას მოითხოვს ადამიანისაგან. საჭიროა ყოველი გოჯი მიწის სხვა სიმდიდრეების, მათ შორის განსაკუთრებით გამოლევადი სიმდიდრეების ეფექტურად გამოყენებაა საჭირო უპირველესად ყოვლისა იქ სადაც ერთი ადამიანია, თუ მეორე მიემატება შესაბამისად შემცირდება გარემო ორჯერადად ან იქნებ მეტადაც. უფრო მარტივად, რომ ვთქვათ ადამიანების მოუწევთ

უფრო მიჯრით ცხოვრება, ისე კი არა ერთ 0,25 ჰა, ან კიდევ უფრო მცირე ეკუთვნოდეს, ხოლო მეორეს ვინც არ უნდა იყოს ის, ათჯერ თუ კიდევ უფრო მეტი უნდა ჰქონდეს იგივე ის საწყისი ქონება, რომელიც ბუნებას უბოძებია ამა ქვეყნის მკვიდრთათვის. კიდევ უფრო გამოკვეთილად თუ ვიტყვით მორჩა ის დრო როცა ასე ფრთაგაშლილი, რომ დავთარეშობდით ამ ბუნების სანახებში. მიიწიე ცოტა - „გაჩოჩდი“ და მეტი მომეცი ამ ქვეყანაზე საარსებო.

მახსოვს მწარედ და უნდა ვთქვა ერთი ასეთი რამ: როცა „აირია მონასტერი“ აფხაზეთში ომისწინა პერიოდში სოფელში ვარ და ერთ-ერთი აფხაზი მოსახლე - სპეციალისტი მეუბნება ხელის გაშვერით - ის მიწები ცაგერის ტერიტორიისკენ იშვერს ხელს - „ცხენისყალს“ გადაეცითო. ამ დროს ჩვეულებრივი გლეხი - აფხაზი ქალბატონი ეუბნება აფხაზურად: - „ხაშაროს ვარა“, და მე რომ გამეგო მეგრულად ამბობს: „ათე ჩქინ მოსავალს საქონელ ჭკომუნს და სხვაშ ნათესებს ვაუჯინათო თქვა“. დიახ, დიახ, თავის კუთვნილს მოუარეთო, ვიდრე სხვის ნალოლიავებს უყურებთო, ასე ხარბი თვალებით. ასეა დიახ, ასე საჭირო ადამიანო გაიგე კარგად.

დიახ, ნამდვილად მოხდა ადაპტირება, უფრო მეტიც, მშვენივრად შეეჩვია ადამიანები ერთმანეთს. დასაწყისში რიგითი ურთიერთობა შეიცვალა და ადამიანები ამჯერად უკვე კეთილმეზობლობით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ნათლია-ნათლულობანი დაიწყეს ადგილობრივ და ახალდასახლებულთა შორის.

დაიწყო ახალი მიწების ათვისება, ბუნებრივი ლანდშაფტების ადგილი ახალმა ბაღ-ვენახებმა, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებმა, ვენახებმა დაიკავა. მევენახე - სპეციალისტები ერთგვარ სრულიად უანგარო კონსულტაციებს ატარებდნენ ცოლიკაურის ჯიშის ვაზის ნარგავების მოვლა-მოყვანის საქმეში, სამაგიეროდ ადგილობრივი მოსახლეობიდან ითვისებდნენ თამბაქოს, ევგენოლური რეჰანის, გერანისა და სხვა „ახალი“ კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიას. შეიქმნა მეცხოველეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის ფერმები. აშენდა სხვადასხვა სახელოსნოები, წისქვილი, სამჭედლო და ა.შ. ახალაშენებულ

სოფელ ცაგერაში ამან, თავისთავად მიიზიდა ადგილობრივი მოსახლეობა და ა.შ.

სამწუხაროდ ასეთი „სიამ-ტკბილობა“ დიდხანს როდის გაგრძელდა. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, მოსახლეობა უპირველეს ყოვლისა ახალფეხმოდგმული ადამიანები - ახალგაზრდები, საშუალო სკოლის ბოლო ათწლედის დამთავრებული უწვერ-ულვაშო ბიჭებიც კი ჯარში გაიწვიეს: რატომღაც ამ მხრივაც იყო გარკვეული „უთანაბრობები“ ჯარში გაწვევის დროს. ასე, რომ დაიცალა სოფელი ვაჟკაცებისაგან. მთელი ავან-ჩავანი მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს დააწვა მხრებზე.

მახსოვს, ჩვენი სოფლის საუკეთესო ახალგარზდების თვალცრემლიანი გაცილების პროცესები.

მე მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და მამაკაცი მასწავლებლების ადგილზე ქალი მასწავლებლები ჩაენაცვლენ.

IV. ცაგერა მეორე მსოფლიო ომის დროს

დასაწყისშივე ავღნიშნავ, რომ ამჯერად მე არ ვაპირებ ჩემი სოფლის (ცაგერას) შესახებ რაიმე მონოგრაფიული ტიპის აღწერას ეს მე ცალკე მაქვს დაწყებული და თუ მოვასწარი გავაგრძელებ ამ მიმართულებით მუშაობას. ამჯერად კი ზოგადად შევეხები მეორე მსოფლიო ომის გავლენას ახალმოსახლე სოფლების მშენებლობაზე და ზოგადად ამ პროცესთან დაკავშირებულ მოვლენებს ანუ თუ როგორ შეძლო ახალსოფლებმა ფეხზე წამოდგომა ომის შედეგების გავლენის შემდეგ. გავიმეორებ, რომ სოფელ ცაგერაზეა საუბარი. იგი განზოგადებული მახასიათებელია ზოგადად აფხაზეთში ახლადჩასახლებული სოფლების განვითარების არსებობისა და ადაპტირებას ახალ გარემოში. ამით იმის თქმა მინდა, რომ შთავაგონო ადგილობრივ მოსახლეობას, რომ ჯერ ერთი ახალჩასახლებულნი არც თუ ისე ენთუზიაზმით წავიდნენ ახალ გარემოში შესაჩვევად, როცა მთელი საუკუნეების მანძილზე ნალოლიავები ნაამაგარი გარემო დატოვეს და მიაშურეს სრულიად უცნობ გარემოში, თუმცა ერთი წუთითაც არ უნდა დავუშვათ იმის გააზრებაც კი, რომ ეს არ არის ჩვენი ქვეყნის სრულიად საქართველოს განუყოფელი ნაწილი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, რომელიც ისტორიულად, ყოველ შემთხვევაში, სრულიად მცირე გამონაკლისისა, ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ტერიტორიას წარმოადგენდა. ამდენად, არ ვიცი რა იყო ჩვენთვის დასაყვედრი ვინმესგან. ახალმოსახლეობამ ცხადია, ძველმოსახლეობასთან ერთად, თუმცა ძნელია განისაზღვროს რა თანაფარდობით, მაგრამ ერთად დიახ, ერთად შევძელით ამ, მეტი რომ არ ვთქვათ ნახევრად ხელუხლებელი გარემოს გაკეთილშობილება. დიახ, გაკეთილშობილება შეიძლება ეწოდოს ამ ბაღ-ბოსტნებს, მინდორ-ველებს, ვაზის, ციტრუსების, ჩაის და სხვა სუბტროპიკული კულტურების ახალ ზვარ-სანაშენებს რომ წარმოადგენდა ისე მოკლეს დროში და დიდად სამწუხაროდ ასე რომ აიხდინეს ოცნება ადგილობრივ მოსახლეობამ ეს ნათქვამი იქნებ გადაჭარბებულიც იყოს და ყველას არ ეკუთვნის, თუმცა ბოლოს მაინც

თითქმის ცოტა თუ ვინმე დარჩა იმათგან ვინც ე.წ. „პრიშლეტებიო“ რომ ეძახდნენ ახალ მოსახლეობას, რომლებმაც კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ადგილობრივებთან ერთად შრომით რომ გააკეთილშობილეს ეს მარადიული თვალმარგალიტი, აფხაზეთის „რივერას“ რომ ეძახდნენ გადამთიელები და რომელთა საჯირითო, რომ გახდა ეს საოცნებო „რივერა“.

დიახ, ამჯერად უნდა ვთქვათ და ღმერთმა ქნას, რომ ისე წასულიყოს ჩვენი ქვეყნის, სრულიად საქართველოს, მისი ჩრდილო-დასავლეთის - აფხაზეთის საქმე რომ სრულიად დაგვვიწყებოდეს ასეთი ჩანაწერები. ამინ!!! ასე მოხდეს.

მაშ ასე, მიმძიმს, მაგრამ ამჯერად მაინც იძულებული ვარ ის დავწერო, რაც ჩემს ცხოვრებაში მწარედ გადავიტანე და პირადად მეტს არაფერს ვიტყვი, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ცაგერა ჩემი დღესაც აღარ ცაგერობს - იგი მიწასთან არის გასწორებული, ამჯერად გავიხსენებ ერთ ჩემთვის საგულისხმო ჩანაწერს, რომელიც ჩემს არქივში ინახება.

გამახსენდა და მინდა გითხრათ ერთი ასეთი რამ მე სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში კვალიფიკაციის ამაღლების კურსებთან ვატარებდი ლექციებს და ამდენად მათი სწავლების ისეთ მეთოდებს ვიყენებდით, როგორიც არის წარმოებაში დამკვიდრებული გამოცდილების აზრთა ურთიერთ გაზიარებას ვანვითარებდით და ერთ-ერთი პრაქტიკული მეცადინეობით ჩავატარე. მსმენელები მიგვყავდა გუდაუთაში ერთ-ერთ მეჩაიეობის მსხვილ საწარმოში (კოლმეურნეობაში) რომლის მეთაური გახლდათ გამოცდილი მეურნე სოციალისტური შრომის გმირი. აიბა აქვე არაოფიციალური ტრადიციისამებრ ყოველთვის მონაწილეობდა მეზობელი, ასევე წარმატებული (საწარმოს) მეჩაიეობის მიმართულების კოლმეურნეობის, რომლის თავმჯდომარე ასე წარმატებული პიროვნება გახლდათ თარკილი. აგრეთვე პიროვნება აფხაზი ეროვნებისანნი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ აფხაზეთში, სრულიად საქართველოში და საბჭოთა კავშირში.

ჩემი მსმენელები გარკვეული მოწონებით ისმენდნენ ამ მეურნეობის ბაზაზე ჩატარებულ გამოცდილებას და იზიარებდნენ

კიდეც იმდენად, რომ ცდილობდნენ თავიანთ მეურნეობებშიც კი რამდენადმე გამოეყენებინათ აქაური გამოცდილება.

დიახ, გავიხსენე ეს პიროვნებები და მეურნეობები, რომელთანაც სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივს უაღრესად ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. თუმცა ბოლო წლებში მოხდა ისე, რომ ეს ურთიერთობა, მეტი რომ არ ვთქვათ, რაღაც საჩოთირო გახდა მახსენდება ფაქტიურად ჩვენი მსმენელების ბოლო მეცადინეობა, როცა დაძაბულობა გამოწვეული „ლიხნის წერილის“ გამოქვეყნების შემდეგ ფაქტიურად ჩაიშალა, თუმცა ჩვენმა მასპინძელმა აიბამ აფხაზური პეწის გათვალისწინებით ყოველნაირად შეეცადა მსმენელებს შეურაცხყოფა არ ეგრძნოთ, მაგრამ, სამწუხაროდ მცდელობა ფაქტიურად ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდა და ჩვენც იძულებულნი გავხდით დავბრუნებულიყავით ქ. სოხუმში ინსტიტუტში. ასე, რომ ამის შემდეგ ჩვენ მსგავსი მეცადინეობები პრაქტიკულად შევწყვიტეთ და მაშინ სამწუხაროდ მოხდა ის, რაც მოხდა. დაიწყო მკვეთრი დაპირისპირება და საბოლოოდ დიდად სამწუხაროდ, ვითარება საომარ მოქმედებებში გადაიზარდა, რომელიც დასრულდა ქართველებისა და აფხაზების ურთიერთგანშორებით, თუ ასეთი შეფასება შეიძლება, საკმარისი გახდეს იმ ვითარების აღწერისათვის, რაც აფხაზეთში განვითარდა.

ეს ისე გავიხსენე - ერთ-ერთი მწვავე ეპიზოდი. ამჯერად დავუბრუნდეთ მეორე მსოფლიო ომის მოვლენას და ამ ფონზე ახლადჩასახლებული სოფლების მდგომარეობას ამ მძიმე (ყველასათვის) პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში რაღაც გარკვეული თავისებური ვითარება შეიქმნა იმდენად, რამდენადაც ახალდასახლებები. მათ შორის ცაგერა სტრატეგიულ ტრასაზე იყო განსახლებული. ზუსტად შუაზე იყო გაყოფილი სოფელი, თუმცა სოფლის პირობითად ზედა ნაწილი უფრო ადრე აშენდა და ამდენად ამ მხრივ აღმოჩნდა მეტი ობიექტები, ვთქვათ საშენი მასალების საწყობი. სხვათაშორის ბიძაჩემმა ამ საწყობში დაიწყო საწყობის გამგედ მუშაობა. იგი მართალია მნიშვნელოვანი კლასიკური განათლებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მუშაობდა

სხვადასხვა ადგილზე, ჯერ ქვემოსვანეთში ღვინის სარდაფში, სადაც მამაჩემმა დაასაქმა იქ. ასევე მუშაობდა გურიაში (სუფსაში), ასე რომ ანგარიშგება და დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ მენეჯერული ურთიერთობა საკმაოდ კარგად ესმოდა.

სამშენებლო საწყობის გვერდით თავისი სახლის მშენებლობაც დაიწყო ბიძაჩემმა და მალე იქ გადავედით საცხოვრებლად.

სხვათაშორის ეს ადგილი მთელი სოფლის ცენტრად წარმოჩინდა. იქვე ბიძაჩემის წინადადებით არსებული პატარა სასაფლაოს მოწესრიგება დაიწყეს. აქ ამ დროისათვის მხოლოდ სამიოდე საფლავი იყო ადგილობრივი (მეგრელი - ქართველი მოსახლეობისა). მათი პატრონები მოშორებით მდ. ცხენისწყლის პირას ცხოვრობდნენ გვარად ბებია - სულ ხუთი კომლი ცხოვრობდა.

მახსოვს, ამ პატარა სასაფლაოს განაპირა საკმაოდ დიდი რცხილა იდგა, რომელიც იმდენად ძველი იყო, რომ უზარმაზარი ღრუ ჰქონდა, სადაც ბავშვები ვთამაშობდით და წვიმაში თავს ვაფარებდით, იქვე მინდორში ძროხებს ვაძოვებდით.

მეორე მსოფლიო ომი იმდენად გაძლიერდა, რომ უკვე კავკასიის ქედზეც კი შემოდგა ფეხი გერმანელმა ფაშისტებმა (ასე ეძახდნენ მაშინ გერმანელ ჯარისკაცებს). კერძოდ გადმოაბიჯეს სოფელ ფსხუს მიდამოებში, სადაც სვანი მოსახლეობა საკუთარი ძალებით შეებრძოლნენ, თუმცა აქა-იქ მაინც ახერხებდნენ შემოსვლას.

მახსოვს, სოხუმი ორჯერ დაიბომბა გერმანელების თვითმფრინავებით. ერთმა გერმანელმა ბომბდამშენმა სოხუმიდან საკმაოდ შორს 50-60კმ-ზე გამოიწია. როცა ცაში სადღაც შორს თვალსაწიერ სიმაღლეზე აწარმოებდა დაზვერვით ფრენას, რაღაც ვარსკვლავივით ფეთქებადი ბომბები გაისროლა ჰაერში. მე მაშინ მარტო ვიყავი (ძროხას ვაძოვებდი) და რაღაც ფუტკრის ბზუილის მაგვარი მკვეთრი ხმა მომესმა ჰაერიდან და ის იყო შიშისაგან სწორედ ხის ფუღუროში შევხტი ინსტიქტურად, ის იყო, რომ რაღაც წამით მოვასწარი გადახტომა და ხის ფუღუროში შევაფარე თავი. ამ დროს სწორედ იქ, სადაც ერთი წამის წინ ვიდექი, რაღაც ჩაერჭო მიწაში და ბოლი ამოვარდა ჰაერში. მე შიშმა ამიტანა,

მეგონა რომ ბომბი დაეცა და აი ეხლა აფეთქდება მეთქი ვიფიქრე და ხმამაღალი ყვირილი მოვრთე. სამალავიდან არ გამოვდივარ, თუმცა შიშმა ამიტანა - აი ეხლა აფეთქდება მეთქი.

საიდან სადაო და, (იქნებ ღმერთმა გადმომხედა) მინდვრის ბოლოს ახლადაშენებულ სოფლის სამჭედლოდან მჭედელი არჩილ ბენდელიანი გამორბოდა, რომელსაც ხელში ჯერ კიდევ გავარვარებული რკინის მაშა ეჭირა და რომ დამინახა აქ რა გინდოდაო მკითხა. მეც ვანიშნე, ის ადგილი, საიდანაც ბოლი ამოდიოდა მიწიდან. მან იმწამსვე გახურებული რკინის სამარჯვით ამოაძრო ის გავარვარებული რკინის ნაჭერი, რომელიც ის იყო თვითმფრინავმა ჩამოაგდო. პატარა რკინის ნაჭერს რაღაც ციფრებიც ჰქონდა ჩაბეჭდილი.

დიახ, ასე დავმშვიდდი და გამოვედი სამალავიდან.

არ ვიცი, ბედის ირონიაა თუ რა დამთხვევა იყო, ის ხე, რომელსაც თავი შევაფარე მალე სიძველის გამო წაიქცა და შემდეგ წაიღო ვიღაცამ. სწორედ ხის ადგილზე შემდეგში დედაჩემი დავასაფლავეთ, შემდგომში კი იქვე მამაჩემი, ბიძაჩემი და ბიცოლაჩემი დავასაფლავეთ, ეს მოგვიანებით იყო, როცა აღნიშნული მინდორი საერთოდ ცაგერას სოფლის სასაფლაოდ იქცა. ვფიქრობ, ის ხეც რაღაც სიმბოლური იყო, რომ აღნიშნული სასაფლაო აფხაზეთის ომის დროს ქართველთა და აფხაზთა საომარი მოქმედების არეალად გადაიქცა.

სამწუხაროდ ამ სასაფლაოზე ჩემი ორი ვაჟიშვილის საფლავიც არის. დიახ, არის გავერანებული, გაძარცული, გადათელილი და იავარქმნილი.

დიახ, დიახ, აღნიშნული სასაფლაო ბრძოლის ასპარეზად იქცა და მოხდა ის, რასაც არავინ მოელოდა: სასაფლაოზე მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედებები დროდადრო მძაფრდებოდა, მოსახლეობა მაინც ხშირად იყრიდა აქ თავს და თავის მიცვალებულებს პატივს მიაგებდნენ ტრადიციისამებრ.

სამწუხაროდ აღნიშნულ სასაფლაოზე უკვე საბრძოლო მოქმედებების დროს პირველი ახალგაზრდა კუხალაშვილი დაკრძალეს. იგი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა კოჩარა-ცაგერა-ცხენისწყლის (აფხაზური სოფლის) გზაჯვარედინზე ტყე-ბუჩქნარიან მაღლობზე. ამ სამწუხარო

მდგომარეობაზე ბრძოლის ხაზიდან მე დამირეკა მეომარმა ტრისტან დარახველიძემ. მან, როგორც ჩანს არ ენდო სახელდახელო შტაბში არსებულ ე.წ. აღმოსავლეთ ფრონტის ფაქტიურ ხელმძღვანელს ჯაბა იოსელიანს, აქვე იმყოფებოდნენ აფხაზეთის მინისტრი გოგა ხაინდრავა და სხვები. მათ შორის იყვნენ ძმები ვაშაკიძეები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ აფხაზეთში. მებრძოლი ჯგუფის ხელმძღვანელმა ცაგერელმა ტრისტან დარახველიძემ რაციით პირადად მე დამიკავშირდა და მოითხოვა დამატებითი საბრძოლო ძალები მიგვევლინებინა მათ დასახმარებლად. არ იყო ადვილი საქმე, რადგან სოფლის პირველი მსხვერპლის შემდეგ საკმაოდ დიდი პანიკა შეიქმნა, რადგან რაოდენ გასაკვირი უნდა იყოს, ფრონტის ხაზზე გადიოდნენ არა მხოლოდ უშუალოდ მებრძოლები, არამედ ფაქტიურად მთელი სოფელი ჩართული იყო ბრძოლებში - დედები შვილებს ამარაგებდნენ სურსათით, ტყვია-წამალსაც აწვდიდა და ა.შ.

პატიებას ვითხოვ მკითხველისაგან იმისათვის, მეორე მსოფლიო ომის საკითხებზე საუბრიდან „გავიწიეთ“ აფხაზეთის საომარი მოქმედებების ამბებისაკენ, მაგრამ ეს გამოიწვია იმ ვითარებამ, რომ მეორე მსოფლიო ომის რაღაც ეპიზოდს შეეხო იმ სასაფლაოს ტერიტორიას, რომელიც აფხაზეთის ტრაგიკული ომის ვითარებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

მივუბრუნდეთ მეორე მსოფლიო ომს, რამაც უაღრესად მძიმე გავლენა მოახდინა ახალმოსახლე სოფლებზე, როგორც პირდაპირი, ისე საერთო გარემოებების შესაბამისად. თუმცა ამჯერად მინდა ის მოვლენა წარმოვაჩინო, რომელიც მოხდა სწორედ სოფლის სასაფლაოზე, კერძოდ სასაფლაოზე აფხაზეთის ომის დროს დაღუპული ცაგერელი ახალგაზრდის ტრადიციული ორმოცზე, როცა აფხაზური სოფლის (ცხენისწყალი) ქვემეხის პირდაპირი დაბომბებით დაღუპული მებრძოლის კუხალაშვილის ნათესავები და გულშემატკივრები ააფეთქეს, როცა კაცი დაიღუპა, დაიღუპა ასევე კუხალაშვილის მეზობლების ოჯახის წევრები.

როცა მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებს ვიხსენებთ, უნდა აღინიშნოს, რომ ცაგერას გავლით აღმოსავლეთ საქართველოს და

საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა შეიარაღებული მეომრები და სამხედრო აღჭურვილობა, რომელიც მიდიოდა ქლუხორის მხრიდან შემოჭრილი ფაშისტების შესაკავებლად. კავკასიის ფრონტად წოდებულ ამ ბრძოლებს, როგორც ცნობილია უშუალოდ ბერია ხელმძღვანელობდა. საომარი მოქმედებებს ამ მიმართულებებით უმეტესწილად ქართველი მეომრები და მხედართმთავრები იბრძოდნენ.

ომის დროს სოფელს ფაქტიურად არ შეუწყვეტია პროდუქტების წარმოება, ასაკოვანი 50 წელს გადაცილებული მამაკაცები ადგილზე დაასაქმა ხელისუფლებამ, კერძოდ, შექმნეს ბრიგადა ომისათვის, რომ აეთვისებინათ შავი ზღვის სანაპიროს ზოლში ჯერ კიდევ აუთვისებელი მეტწილად დაჭაობებული ტყე-ბუჩქნარები, სადაც ძირითადად სიმინდის და ბაღჩა-ბოსტნეულის თესვა-მოყვანას აწარმოებდნენ. ამ გზით ათვისებულ მიწებს „ბრონის ყანებს“ უწოდებდნენ, რადგან ამ მიწებზე მიღებულ მოსავალს ჯარის ნაწილების მომარაგებისთვისაც იყენებდნენ. ამ ფორმით ფაქტიურად ათვისებულ იქნა შავი ზღვის სანაპიროს ზოლი, რომელიც შემდგომ კოლმეურნეობას გადაეცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიწები მეტად უხვმოსავლიანი აღმოჩნდა, რადგან აქაური მიწები ბუნებრივი პროცესების შესაბამისად მდიდარი, ნეშომპალა ჰუმუსით იყო გამდიდრებული და ადრე დამუშავებულ მიწებთან შედარებით 4-5-ჯერ მეტ მოსავალს იძლეოდა.

თავის მხრივ, მიწების ამ წესით ათვისებამ ხელი შეუწყო ზღვისპირა ზოლის, ასე ვთქვათ, გაკეთილშობილებას იმ მხრივაც, რომ ადრე ეს ტერიტორია ფაქტიურად მალარიის ბუდეს რომ წარმოადგენდა, თავისთავად გაკეთილშობილდა ათვისება-ამოშრობის მეშვეობით. ამ ზოლში დამატებით ტარდებოდა აგრეთვე მელიორაციული სამუშაოები, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ომის დამთავრების შემდეგ. ასევე ამ ზოლში ტარდებოდა კოლოების გამრავლების საწინააღმდეგო ქიმიური ღონისძიებები.

თუმცა შავიზღვისპირა თითქმის სამკილომეტრიანი ზოლი

ხელშეუხებელ ზონად აქცია ე.წ. საკავშირო მთავრობამ და აკრძალა ამ ზონაში ყოველგვარი მშენებლობა, განსაკუთრებით მოსახლეობის ჩასახლების პროცესი. ძნელია თქმა იმისა, თუ რა იყო ამის მიზეზი.

ომის პერიოდში სოფელში, რომელიც ტრასაზე იყო განლაგებული თითქმის ყოველდღიურად შემოდიოდა სამხედრო საზიდრები(უმეტესწილად ცხენის საზიდრები), რომელთაც არალეგალურად შემოჰქონდათ სოფელში ქერისა და შვრიის მარცვლეულით სავსე ტომრები და მოსახლეობას უცვლიდნენ ძირითადად არაყისა და ღვინის სანაცვლოდ. ამ ვითარებამ კარგი სამსახური გაუწია მოსახლეობას დამატებითი შედარებით იაფი სურსათით მომარაგების საქმეში. თითქმის ყველა ოჯახმა გაიმართა ხელითსაფქვავი მოწყობილობანი და ამ გზით პურის (გამომცხვარი) მაგივრობას რომ ასრულებდა. თუმცა ჩვეულებრივი ხორბლის პურის არარსებობამ, რომელსაც მთლიანად ცვლიდა და სიმინდის ფქვილით გამომცხვარმა მჭადმა მოსახლეობაში სპეციფიკური კანის დაავადება გამოიწვია.

სოფელში მწვავე დანაკლისს განიცდიდნენ ასევე ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სახით.

ნათქვამია ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ განსხვავდება ცხოველისაგან აზროვნების გამოყენებით ანუ ვითარების შესაბამისად სოფელში სამხედროების მიერ შემოტანილ შინელის მატერიას იყენებდნენ ტანსაცმლისათვის. სოფელში ერთ-ერთმა თერძმა (ასე ეძახდნენ სოფელში) დაიწყო ე.წ. გალიფი შარვლებისა და სამხედრო კიტელის ტანსაცმლის დამზადება. თითქმის მთელი სოფელი ამ სახით ახერხებდა შემოსვას. ერთ-ერთმა ჩვეულებრივმა გლეხმა ფეხსაცმლის შეკერვა დაიწყო მოძველებული მანქანების საბურავებისაგან. დიახ, თუ გონიერება ამოქმედდება გამოსავალი შეიძლება გამოჩნდეს სამწუხაროდ მოკლე ხანში „აღმოაჩინეს“ ეს ასე ვთქვათ „არალეგალური“ მოხელეები და ლამის გადაურჩნენ სამხედრო ტრიბუნალს.

დიახ, ძნელია ვინმე დაადანაშაულო ისეთ რთულ ვითარებაში,

როცა საომარი მოქმედებები მტყუან-მართალს აღარ ანსხვავებს ერთმანეთისაგან და ყველაფერი სიცოცხლის გადარჩენის ინსტიქტს ექვემდებარება მხოლოდ.

მეორე მსოფლიო ომმა პროცენტული შეფარდების მიხედვით ქართველი ჯარისკაცების დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ქართველთა მეტი ნაწილი ქერჩის მიმართულებით იბრძოდა.

ომიდან მხოლოდ მცირე ნაწილი დაბრუნდა. მათ შორის დაბრუნდნენ ცაგერადან გაწვეული მებრძოლები. ლიპარტელიანის გვარის ერთი ოჯახის სამი მეომრიდან მხოლოდ ერთი დაბრუნდა - კაკო ლიპარტელიანი. ხეიბარი დაბრუნდა გედეონ კობერიძე. დაბრუნდა ნოე თუთისანი, ძმები სევერიან და სერაპიონ ხურცილავები, საღ-სალამათი დაბრუნდა გერონტი ყურაშვილი. ყველას ვეღარ ჩამოვთვლი და პატიებას ვითხოვ იმათგან ვინც ვერ გავიხსენე.

ჯარიდან დაბრუნებულთათვის ცაგერას კლუბის ეზოში მოეწყო მემორიალი. ჯარიდან დაბრუნებულ ომის ვეტერანებისათვის ცაგერას კლუბში ხშირად ეწყობოდა კონცერტები და სხვა ღონისძიებები.

ომის შემდგომ პერიოდში ცაგერას მოსახლეობა ახალი ენერგიით შეუდგა აღმშენებლობით მუშაობას. სოფლის კეთილმოწყობის სამუსაოებთან ერთად ფართოდ გაიშალა ახალი პლანტაციების გაშენების პროცესი. დიდი მუშაობა ჩატარდა სოფლის ინფრასტრუქტურის სამუშაოების მიმართულებით და რაც მთავარია დაიწყო მასიურად ქარსაფარი ზოლების მშენებლობა ციტრუსების და სხვა პლანტაციების ირგვლივ და შიდა გზების გასწვრივ. დიდი მუშაობა ჩატარდა ევკალიპტის კორომების გაშენებისა და დაჭაობებულ მიწებზე ევკალიპტის ჯგუფური ნარგავების მასიურად გაშენების მიმართულებით რამაც კლიმატის გაჯანსაღება და ზედმეტი ტენიანობის შემცირება განაპირობა საერთო ჯამში, ფაქტიურად, თითქმის საბოლოოდ აღმოიფხვრა მალარიის კერები.

მოსახლეობამ დაიწყო საცხოვრებელი სახლების ე.წ. ბერიას სახლების ნაცვლად ახალი ორსართულიანი სახლების მშენებლობა. თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უკეთესი ეზო-კარის მოწყობისა

და სხვა დამხმარე ნაგებობის ეზოების დამშვენების მიმართულებით.

არ დარჩენილა ოჯახი, რომელსაც მოწყობილი არ ჰქონდა ჭურ-მარანი, დაიწყეს სპეციალური სათავსოების კეთილმოწყობა და ა.შ.

სოფელში სხვადასხვა ტიპის სახელოსნოების მომრავლებამ, სავაჭრო ჯიხურების და სხვა ღონისძიებებმა განაპირობა მეზობელ აფხაზურ სოფლებთან ურთიერთობის გამყარება. დაიწყო სკოლის მშენებლობა, რომლის ინიციატივა ადგილობრივ პედაგოგს მარო კოპალიანს ეკუთვნოდა.

ასე, რომ შეიქმნა ყველა პირობა სოფლის აღმშენებლობის, ახალ-ახალი ბაღ-ვენახის, ჩაისა და ციტრუსებისა პლანტაციების ფართო მასშტაბით გაშენების სამუშაოები. ასე და ამგვარად დღის წესრიგში დადგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის აუცილებლობა. ასევე ცნობილია ინდენსიფიკაციის აუცილებლობისა და მისი შესაძლებლობის ერთიანობაში განხილვის პრობლემატიკა.

ასე, რომ მოსახლეობის ზრდის კვალობაზე გაჩნდა როგორც ინდენსიფიკაციის აუცილებლობა შესაბამისად თანდათან შეიქმნა ინტენსიფიკაციის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ფაქტორები.

V. აფხაზეთის ა/რ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემები

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემები, ჩემი დისერტაციის სათაურად იქნა გამოყენებული. ცხადია ეს თემა შემთხვევით არ იყო შერჩეული. იგი ჩემი ცხოვრებისეული დაკვირვების კვალობაზე წარმოჩინდა. ჯერ ერთი მე როცა სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმი დავამთავრე 17-18 წლის ასაკში საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი ვიყავი და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა შემითავსეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბავშვობის ასაკიდან შევუდექი სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებების შესწავლას არა მხოლოდ თეორიულად არამედ, პრაქტიკულად წარმოების გაძღოლის მეთოდების ათვისებით.

მახსენდება ერთი ასეთი მომენტი, კოლმეურნეობაში მოგვცეს დავალება ციტრუსების გაშენების თაობაზე. როცა ციტრუსების პლანტაციის გასაშენებლად მანდარინის ნერგი გადაგვქონდა სატვირთო (მანქანაში, კაბინაში თავმჯდომარის გვერდით ვზივარ მეც) მეუბნება: შენ ხომ იცნობ ჩვენს სოფელში პ.ჩ. ცხოვრობსო (არ მინდა გვარ სახელი გავშიფრო) კი მეთქი - ვუპასუხე - ხო და მის ეზოში ხომ არაფერი არის დარგული - მითხრა კი მეთქი - ვუპასუხე მაშინ აიღე ერთი კონა მანდარინის ნერგი (თითოეულ კონაში ოცი ძირი მანდარინი იყო შეკრული) და წაიყვანე ორი კაცი და დარგეთ ეს ნერგები და მერე მეც წამოვალ და წავიდეთ კოლმეურნეობის პლანტაციის გაშენების სამუშაოებზეო - თქვა და მეც დავუძახე ახალგაზრდა ბიჭებს და მართლაც დავრგეთ ეს ნერგები ისე, რომ ოჯახის არც კი გაუგია - არავინ იყო სახლში. იმხანად კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი ვლადიმერის ძე მეშველიანი იყო.

ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ აფხაზეთში ძალიან ბევრ ვინმეს ნახავდით, რომ არც ერთი ხე არ იყო დარგული, მოსახლეობა კმაყოფილდებოდა ტყეში ბუნებრივად გავრცელებული ხილ-კენკრა

მცენარეების ასე ვთქვათ „მუქთად“ მოწეული ნაყოფით.

ბევრი რომ არ გამიგრძელდეს მაშინ აფხაზეთში ბევრი აუთვისებელი მიწები იყო. ამ კურთხეულ რეგიონში არსებული ნოყიერი მიწები, ხელსაყრელი კლიმატური პირობები რატომ უნდა ყოფილიყო გამოუყენებელი? ასე დაიბადა დიდი სურვილი აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გზით განვითარების თაობაზე.

ვიდრე უშუალოდ ინტენსიფიკაციის თემას შევეხებოდეთ, საჭირო იქნება ზოგადად აგრარული ურთიერთობის საკითხი იქნას განხილული.

როგორც მეურნეობის დარგს სოფლის მეურნეობას ახასიათებს რიგი თავისებურებები, კერძოდ:

1) სოფლის მეურნეობის დარგში მჭიდროდაა გადაჯაჭვული ეკონომიკური და ბუნებრივი პროცესები. ამდენად სოფლის მეურნეობის წარმოება ვითარდება როგორც ობიექტური ეკონომიკური კანონების, ასევე ცოცხალი ორგანიზმების (მცენარეთა და ცხოველთა) განვითარების ბიოლოგიური კანონზომიერებებით. ამდენად სოფლის მეურნეობის წარმოების შედეგობრივი მაჩვენებლები ხდება მათი მნიშვნელოვანი ზეგავლენით. აქვე ვუპასუხოთ, რომ აფხაზეთში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არსებობს უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებასთან. თუ ეკონომიკურ ასპექტსაც განვიხილავთ აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელსაყრელ პირობებთან (ნიადაგი, კლიმატი და ა.შ.) არსებობს ყველა პირობა ამ კუთხეში ტურიზმისა და საკურორტო დარგების განვითარების ყველა შესაძლებლობანი საჭიროა ამ მიმართულებათა მხოლოდ ეფექტური შეთანაწყობა.

2) სოფლის მეურნეობის დარგში წარმოების მთავარ, ერთგვარად შეუცვლელ საშუალებად წარმოდგენილია მიწა (ნიადაგი). იგი სხვა ბუნებრივ ფაქტორთან როგორებიც არიან (წყალი, მინერალური ნედლეული, თბოენერგეტიკული საჰაერო აუზები, მზის ენერგია და ბუნებრივ თბური პოტენციალი) გვევლინება აგროსამრეწველო

კომპლექსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოტენციალად. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მიწის რესურსები გამოყენებულ უნდა იქნას ზემოთ აღნიშნულ მრავალფეროვან რესურსებთან ერთობლიობაში, რომ მაღალეფექტური იყოს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება.

3) სოფლის მეურნეობაში სამუშაო პერიოდი არ ემთხვევა დროში წამოების პერიოდს, რაც თავის მხრივ დარგის სეზონურობას განაპირობებს. ამ თავისებურების შესაბამისად საფიქრალია საერთო წარმოების ისე წარმართვა, რომ აღმოიფხვრას წყვეტილება ადამიანთა მოთხოვნილების სისტემატიურად დაკმაყოფილების საქმეში, რაც თავის მხრივ წარმოების უწყვეტილობისაკენ სწრაფვას განაპირობებს, იგი იმავდროულად დაკავშირებულია წლის განმავლობაში ორი-სამი და მეტი მოსავლის მიღებასთან და ა.შ.

4) სოფლის მეურნეობის დარგის ტერიტორიული განფენილობა ქმნის თავისებურ სირთულეებს წარმოების მაშტაბის კონცენტრაციისათვის, რაც, თავის მხრივ გავლენას ახდენს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ფორმებზე. აღნიშნული თავისებურებანი დღის წესრიგში აყენებს ერთობლივი შრომის და წარმოების საშუალებების გამოყენების აუცილებლობას, შესაბამისად ჩნდება აუცილებლობა კოოპერირებული შრომის ფორმების გამოყენების თვალსაზრისით.

5) როგორც წესი ისტორიულად სოფლის მეურნეობის დარგში ვითარდებოდა მიწისა და სხვა რესურსების საკუთრების, ფლობისა და გამოყენების საკითხი. შესაბამისად აგრარულ ურთიერთობათა განვითარება ეტაპობრივად განიცდიდა ცვლილებას. მეჯოგეობისა და მიწათმოქმედების გზაზე, ისტორიულად განვითარდა მონათმფლობელური ტიპის სოფლის მეურნეობა. შემდგომში ვითარდება ფეოდალური საკუთრება მიწაზე და ყმა-გლეხური ურთიერთობა. ფეოდალური ტიპის გადმონაშთები საკმაოდ შემორჩა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში ფეოდალური ტიპის წარმოება შემორჩა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდში და უფრო მოგვიანებითაც.

მახსოვს როცა აფხაზეთში აღმოვჩნდი 1940 წლის გაზაფხულზე,

ახალმოსახლეობას 0,25 ჰა მიწის ნაკვეთი გამოუყვეს მიჯრილად, ქალაქისებურად დაგეგმარებულ სოფელში, მაშინ როცა 0,25-0,5 ჰექტარამდე მიწა, ასე ვთქვათ ძუძუდან ახლად ასხლეტილი ხბოებისათვის ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობის დიდ ნაწილს, განსაკუთრებით მთიან და მაღალმთიანი ზონის სოფლებში, რომ აღარაფერი ვთქვათ 10 და მეტი ჰექტარი მიწის ფლობაზე, რომელიც მართალია არაოფიციალურად, არამედ ე.წ. დაუწერელი კანონით ჰქონდა გლეხობის მეტ ნაწილს ადგილობრივ მოსახლეობაში. ცხადია ჩვენს შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვინმეს შეშურდეს სხვისი ქონება მათ შორის მიწა, მაგრამ ცხოვრება, მით უმეტეს გლობალური, ინტეგრირებული ეკონომიკური სისტემის ფარგლებში ცხადია დიდხანს ვერ შენარჩუნდება, მით უმეტეს ვერ შენარჩუნდება ისეთი მიწების არსებობა, რომელიც ფაქტიურად ჯერ კიდევ მხოლოდ ბუნებრივი ტყე-ბუჩქნარებისა და ჭაობ-ლელქაშების პერიოდის ნიშნების მატარებელია.

ფეოდალური სისტემის წიაღში შობილი მიწათმოქმედების და საერთოდ წარმოების კაპიტალისტურ სისტემის პირობებში ძნელია შენარჩუნდეს ფეოდალური ტიპის წარმოება თუნდაციმიტომ, რომ იგი მეტად არაეფექტურია და ცხოვრების ამჟამინდელი და მითუმეტეს მომავლის განვითარების ტემპებს ვერაფრით ვერ უწყობს ფეხს.

ისტორიულად ფეოდალიზმის წიაღში იშვა წარმოების კაპიტალისტური სისტემა. გინდა არ გინდა უნდა აუბა ფეხი ახალ მოვლენებს, განვითარების ახალ მიმართულებებს. თუ კაპიტალიზმი შემოიჭრა საზოგადოებაში, უნდა იფიქრო, რომ დღეს არა ხვალ, მოგიწევს ანგარიშის გაწევა ამ მოვლენებისადმი. სანამ შეიძლება ჩაიკეტო შენს „ეზოში“? თუმცა იგი საკმაოდ ვრცელია, მაგრამ განვითარება „მოგაწვება“ ისე, რომ გაიძულებს გამოხვიდე გარეთ, გაიხედავ და რა ხდება? ხდება ის, რომ შენი კარჩაკეტილობა შენვე გაყენებს ზიანს. თვალი უნდა გაახილო თორემ „ჭაობში“ აღმოჩნდები. „ჭაობში“, რომელიც დამყაყების ფაზაში გადადის და გაუვალ გარემოს შექმნას დაიწყებს შენი ფეოდალური, მოდი ასე ვთქვათ შემოგარენის ირგვლივ. ვითარება ჯერ რიდით მოაწვება შენს ფეოდალურ „კედლებს“

შემდეგ კი, „აკაფავს“ შენს ირგვლივ ყველაფერს.

მახსოვს, პირუტყვს ვაძოვებდით ბავშვები და რომელიღაცა „ხელუკულმართმა“ ბავშვმა კვესაბედს გაჰკრა პატარა ფოლადის ნაჭერი და ნაპერწკალი გაჩნდა, ნაპერწაკლი, რომელიც „შეძვრა“ ფეოდალის შემორაგვულ ბუჩქნარებში, სადაც ხმელი ღეროების არეში ცეცხლის პატარა ალი აინთო. აინთო და გაღვივდა იმდენად, რომ ღობე-ყორეს მოედო და მთლიანად წაეკიდა ცეცხლის ალი იმ ტყე-ბუჩქნარებს, რომლის შიგნით თურმე ვიღაც აფხაზი გლეხი ყოფილა ჩასახლებული. ერთ-ერთმა ადგილობრივმა პიროვნებამ, რომელმაც კარგად არც აფხაზური იცოდა და არც მეგრული (ქართული) ამ ნოყიერ ადგილზე თამბაქოს სანერგე მოაწყო და მშვენიერი თამბაქოს ჩითილების გამოყვანას შეუდგა ხუსეინ სოფოღლი.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ფაქტიურად დაიწყო ინტენსიური მეურნეობა. დიახ, დიახ, ინტენსიური ანუ ინტენსიფიკაცია გარდაუვალ მოვლენად წარმოჩინდა თავისთავად.

ამასობაში მე უკვე თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი გავხდი. საბედნიეროდ მე წარჩინებული მოსწავლე ვიყავი და ყველგან უგამოცდოდ მიღებდნენ. ეხ!!! რას იზამ არავინ მყავდა მრჩეველი რომ სადმე უფრო პრესტიჟულ სასწავლებელში მესწავლა. ჩემი მრჩეველი ამ დროს ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი აღმოჩნდა გვარად გვილავა. მან თავის კაბინეტში მიხმო (მე მაშინ კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად და თავმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი). მდივანთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ცენტრალური კომიტეტიდან გეგმა მოსულა ორი ახალგაზრდა გამოგზავნეთ უმაღლეს სასწავლებელშიო. ერთი სოფლის მეურნეობის ხაზით, ხოლო მეორე-სამედიცინო ინსტიტუტისათვის. ხედავთ სამედიცინო ინსტიტუტში ცეკას გეგმის მიხედვით ხდებოდა სტუდენტთა ჩარიცხვა.

ცხადია რაიკომის მდივანთან გასაუბრების დროს „მირჩიეს“ სოფლის მეურნეობის ხაზით გამეგრძელებინა სწავლა. ვერაფერს ვიტყოდი მე ხომ სოფლის მეურნეობის კადრი ვიყავი და მითხრა კიდეც რაიკომის მდივანმა - რად გინდა სამედიცინო, მინდვრად მუშაობას რა სჯობიაო.

არ მინდა გავაგრძელო. ასე აღმოვჩნდი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი (უგამოცდოთ).

დიახ, იყო ამაში რაღაც კანონზომიერება. მეორე კურსის სტუდენტი როცა გავხდი, ორმა კათედრამ მიმიწვია, ერთი კათედრა გახლდათ მიწათმოქმედების, ხოლო მეორე - მემცენარეობის კათედრა. ერთი კათედრის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი გიორგი რცხილაძე, ხოლო მეორე კათედრის - პროფესორი გიორგი ქეშელაშვილი.

აი ასე დაიწყო ჩემი საქმიანობა ამ კათედრების ხელმძღვანელობით და მათმაც არ დააყოვნეს და ორთავემ გადაწყვიტეს სტაციონალური მინდვრის ცდები დაგვეწყო აფხაზეთში (ცაგერაში - ოჩამჩირის რაიონში) წლიურად ორი-სამი მოსავლის მიღების მიზნით, როგორც ერთწლიანი მარცვლეული კულტურის (ძირითადად სიმინდის) და სხვა მინდვრის საკვები კულტურების, მათ შორის ბახჩეულ-ბოსტნეული კულტურების დარგში.

დიახ, პირველსავე გაზაფხულზე დავიწყეთ ამ ცდების გამოყენება ცაგერას კოლმეურნეობის ბაზაზე. რომ არ გამიგრძელდეს თხრობა ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ კარგი შედეგი მივიღეთ პირველსავე წელს, პარალელურად ვამუშავებდით სარეველა მცენარეების წინააღმდეგ ბრძოლის აგროტექნიკურ ღონისძებებს.

მინდვრის ცდებმა ისე თვალსაჩინო შედეგები გამოიღო, რომ მთელი გლეხობის, მათ შორის ახალგაზრდების ყურადღება მიიპყრო, არ დაგიმალავთ იმასაც, რომ ისეთ ასაკში ვიყავი რომ რატომაც არა - ბევრი ახალგაზრდა განსაკუთრებით სოფლის მშვენიერი მოგონებები მომრავლდა ჩემი საცდელი ნაკვეთების ირგვლივ. დასაწყისში გარკვეული რიდით მაგრამ შემდგომში „ნადურის“ ფორმით ჩემს ნაკვეთებში ბევრი ახალგაზრდა დასაქმდა.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ თანდათან გაჩნდა უფრო ფართო მაშტაბის იდეები ანუ აფხაზეთის მაშტაბით სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პრობლემაზე მუშაობის დაწყებაზე დავიწყე ფიქრი.

ამ საქმეს და საერთოდ ჩემი საცდელი ნაკვეთისადმი დიდი ინტერესი

მას შემდეგ გაჩნდა, როცა ჩემი ნაკვეთებისა შედეგებისადმი ინტერესი გამოიჩინა ერთ-ერთმა ჩემმა ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი რცხილაძემ. მინდა ამ ვითარებაში ავღნიშნო ის, რომ იმ დროისათვის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში უაღრესად ერუდირებული მეცნიერები კითხულობდნენ ლექციებს და მე განსაკუთრებით მათი ყურადღების სფეროში აღმოვჩნდი თუნდაც იმიტომ, რომ მე ასაკითაც და ფიზიკურადაც პატარა ვიყავი და ამასთან ერთად ნებიერა, განსაკუთრებით თბილისელი სტუდენტების ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი იმითაც, რომ მათ ყველა გამოცდების დროს ისინი ჩემთან მეგობრობას ცდილობდნენ (კონსულტაციის მიზნით ალბათ).

რა დამავიწყებს ინსტიტუტის პროფესურას, მათ შორის დეკანს პროფესორ კოლია ლაჭყეპიანს, პეტრე ჟღენტს და სხვებს, რომლებიც საკუთარი შვილივით მეფერებოდნენ.

დიახ, მათზე საუბარს რა მომაწყენს, თუმცა ამჯერად საუბრის კონტექსტში მინდა გავიხსენო ჩემი ცდების ხელმძღვანელი გიორგი რცხილაძე, რომელიც გაზაფხულის არდადეგების დროს ჩემთან - ცაგერაში ჩამოვიდა ვითარების გასარკვევად. მას ამ დროს ახლდა კაცი აფხაზეთის საოლქო კომიტეტიდან (სოხუმიდან) და როცა ცაგერაში ჩამოვიდნენ მე მაშინ მომიკითხა პირველად და კოლმეურნეობაში უთხრეს მათ, რომ მე ზაფხულის არდადეგების დროს კოლმეურნეობამ დამავალა თამბაქოს დახურული გრუნტის სანერგე მეურნეობის ხელმძღვანელობა შეთავსებით და შრომა დღეებსაც მირიცხავდნენ. ასე, რომ უჩემოდ მოუხდა ჩემს ხელმძღვანელ ბატონ გიორგი რცხილაძეს და მის თანმხლებ პირს, ჩემი ცდების მონახულება. მათ კარგი შთაბეჭდილება დარჩათ და ეს ამბავი მხოლოდ თბილისში სწავლის გაგრძელების დროს მითხრა პროფესორმა გიორგი რცხილაძემ.

მე გული დამწყვიტა იმან, რომ ამ პერიოდში მე დედა გარდამეცვალა და ვერ მოვახერხე ასეთი შორიდან მოსული ძვირფასი სტუმრების გამასპინძლება. დიახ, დიახ, მიუხედავად ამისა მე როცა დედის გარდაცვალების გამო უარი ვთქვი სწავლის გაგრძელებაზე, სწორედ დეკანმა პროფესორმა ნიკოლოზ ლაჭყეპიანმა და პროფესორმა

გიორგი რცხილაძემ და გიორგი ქეშელაშვილმა, სტუდენტების ჯგუფი გამოგზავნეს ჩემთან სოფელში და როგორც მათგან დავალებული ჰქონდათ, პირდაპირ წამიყვანეს და ასე გავაგრძელე სწავლა და დავამთავრე ინსტიტუტი წარჩინებით და აფხაზეთში განაწილებით მოვხვდი სამუშაოდ ოჩამჩირის II მტს-ში. ანუ ფაქტიურად დავბრუნდი აფხაზეთში სოფლის მეურნეობის დარგში სამუშაოდ. ასე, რომ ბუნებრივად, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარიმართა ჩემი მუშაობა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პრობლემატიკაზე, თუმცა ვხედავდი, რომ კიდევ მეტი ცოდნა იყო საჭირო თუნდაც თეორიული თვალსაზრისით საქმეში ჩაღრმავების თვალსაზრისით, ამდენად გაჩნდა სურვილი სწავლის კვლავ გაგრძელებისათვის. ამჯერად შეიქმნა ამის პირობებიც იმ მხრივ, რომ თბილისში გაიხსნა სოფლის მეურნეობის აკადემია, (რომელმაც სამწუხაროდ მხოლოდ რამდენიმე წელი იარსება) სადაც გამოცხადდა კონკურსი დაუსწრებელ სწავლების ფორმით. მეც უაღრესად რთული კონკურსის პირობებში ჩავერიცხე აღნიშნული აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების ხაზით და შესაბამისად გადავერთე ეკონომიკური მიმართულებით და სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ჩემი სამეცნიერო-კვლევითი თემა უნდა ყოფილიყო აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემა. თემის ხელმძღვანელად გამოყვეს უაღრესად ერუდირებული, კეთილი ბუნების ადამიანი პეტრე ჟღენტი, რომელიც იმ ხანად დანიშნეს სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიკის და ორგანიზაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის დირექტორად. დიახ, ასე აეწყო - ჩემი საქმიანობა და ყველა პირობა შეიქმნა ჩემთვის შერჩეული სამეცნიერო-კვლევით თემად აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები. ეს თემა დავამუშავე ცხადია აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაგალითზე და ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, დავიცავი დისერტაცია აგრარული ეკონომიკის დარგში 1964 წელს. მალევე სამუშაოდ გამამწესეს ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარ ეკონომისტად. დიახ, ამჯერად

უკვე მთავარი მიმართულება ჩემთვის გახდა აგრარული ეკონომიკა. ამ მიმართულებითვე 1968 წლის სექტემბრის თვიდან სამუშაოდ მიმიწვიეს შეთავსებით, ჯერ საათური ანაზღაურების ფორმით, ხოლო 1971 წლის სექტემბრიდან უკვე ასისტენტის, ხოლო მალევე მასწავლებლის სტატუსით დავიწყე მუშაობა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე.

დიახ, თითქოს ყველაფერი ლოგიკურად მიმდინარეობს. მახსოვს, კოჩარაში სამეცნერო-კონფერენცია ჩაატარა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორატმა სადაც თითქმის ინსტიტუტის ყველა წამყვანი კათედრა მონაწილეობდა მათ შორის აქ სტუმრობდა ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი კათედრა - სელექცია - მეთესლეობის კათედრა პროფესორ ფილიპე მამფორიას ხელმძღვანელობით. აქვე ესწრებოდა ინსტიტუტის პრორექტორი კვალიფიკაციის ამაღლების დარგში რაჟდენ ფაჩულია (ნათელი მის ხსოვნას). ეს ის რაჟდენ ფაჩულია გახლდათ, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო სუბტროპიკულ ინსტიტუტში.

მე ამ კონფერენციაზე სიტყვით გამოვედი და პროფესორმა ფილიპე მამფორიამ მაშინვე აღიდგინა მეხსიერებაში ჩემი სტუდენტობის პერიოდი თბილისში მდებარე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირის მაშტაბით, უფრო მეტიც მსოფლიოს მაშტაბით მიმდინარეობდა მეცნიერული პოლემიკა. უაღრესად მწვავე ფორმით, შეიძლება ითქვას დაუნდობლად ებრძოდა ერთმანეთს მენდელ-მორგანიზმი, რომელიც აღიარებდა გენების არსებობას და სწორედ, რომ გენები განაგებდნენ (მათი აზრით) ცოცხალი ორგანიზმის განვითარების პროცესს. ამ ფორმულას ეწინააღმდეგებოდა გარემო ფაქტორების განმსაზღვრელი როლი ცოცხალი ორგანიზმის მართვის პროცესში.

ამ ორი მიმართულების შესაბამისად მთელი მსოფლიოს მაშტაბით დაჯგუფდა მეცნიერთა მთელი პლეადა. აღნიშნული მიმდინარეობის შესაბამისად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ცნობილი მეცნიერებიც ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. ერთნი,

რომლის წამყვანი ლიდერი პროფესორი ფილიპე მამფორია გახლდათ, ხოლო პირობითად მეორე ჯგუფის ლიდერი გახლდათ ინსტიტუტის მეცხოველეობის კათედრის გამგე აღლაძე. მინდა ისიც გავიხსენო, რომ ჩვენს ინსტიტუტში მაშინ ჩემთან ერთად სწავლობდა სტუდენტი გოგოთურ აღლაძე.

ალფავიტის შესაბამისად აღლაძე გოგოთური ა ჯგუფში ირიცხებოდა, მე კი ჩემი გვარის წყალობით მეორე - ბ ჯგუფში აღმოვჩნდი.

პირველი სემესტრის გამოცდების დროს უკვე გამოიკვეთა, რომ აღლაძე გოგოთური იყო წარჩინებული სტუდენტი, ხოლო ბ ჯგუფში მე ვიყავი მისი კონკურენტი.

ეხ!!! რას იზამ მე უბრალო გლეხური წრიდან ის კი მეცნიერული წრიდან ძალიან ძლიერი ფაქტორი გახლდათ. ცხადია ამ ფაქტორმაც იმოქმედა, თუმცა გოგოთური პიროვნულად არ იყო ასე ვთქვათ „გაზულუქებული“ პიროვნება. თუმცა ოჯახურმა წრემ განაპირობა მისი წარმატება. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი ასპირანტურაში ჩარიცხეს. მე კი 19 კურსდამთავრებულთან ერთად აფხაზეთში მიმავლინეს სამუშაოდ.

გოგოთურ აღლაძემ მალე დაიცვა დისერტაცია და მიაღწია იმას, რომ იგი გახდა საქართველოს ზოოვეტერინალური ინსტიტუტის რექტორი გახდა აკადემიკოსი და ა.შ.

მეც შევეცადე, თუმცა გაცილებით მძიმე გზით გავედი მეცნიერების გზაზე, თუმცა მივაღწიე პროფესორის წოდებამდე, გავხდი სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, ეკონომიკისა და მართვის (მენეჯმენტის) კათედრის გამგე, დამნიშნეს იმავე სახელწოდების ფაკულტეტის დეკანად და ა.შ. მოგვიანებით მომიწია პოლიტიკაში ჩართვა, გავხდი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ა.შ.

დიახ, თუ იმ თეორიის საფუძველზე წარვმართავთ საუბარს ანუ, გენეტიკური ნიშნებით მეც წარჩინებული აღმოვჩნდი, მაგრამ თუ მეორე მეცნიერულ მიმართულებას გავიზიარებთ, ჩემთვის გარემო ფაქტორები არ იყო ისე ხელსაყრელი, როგორც გოგოთურ აღლაძისათვის.

მიუხედავად ამისა ჩვენ საკმაოდ ახლოს ვიყავით ერთმანეთთან

მეცნიერული კვლევის მიმართულებით. იგი მთელი ცხოვრება მეცხოველეობისათვის საკვებ წარმოების პრობლემებზე. მე ცოტათი გადავუხვიე მეცნიერებაში სხვა მიმართულებით და მთელი ჩემი მეცნიერული მუშაობა მაინც აგრარული სფეროს შესწავლას მივუძღვენი კერძოდ აფხაზეთის მაშტაბით.

ცოტა გამიგრძელდა მაგრამ არ შემიძლია არ ვთქვა ის, რომ ადამიანის ფორმირებაში უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სოციალური გარემო ზოგადად, არამედ შეიძლება ითქვას გადამწყვეტიც კია ოჯახური გარემო გნებავთ ცენზი და ა.შ.

სამწუხაროდ მე ამ მიმართულებით, როგორც იტყვიან ცხოვრებამ არ გამიმართლა. კერძოდ ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტს დედა გარდამეცვალა, რამაც დაამძიმა ჩვენი ოჯახის მდგომარეობა. მამაჩემს 5 შვილი ვყავდით და პატიოსანი გლეხის პირობაზე არაუშავდა, მაგრამ როგორც კი ტექნიკუმი დავამთავრე და საკმაოდ წარმატებულადაც, ვმუშაობდი კოლმეურნეობაში. მამაჩემს გაუჩნდა ცდუნება, რომ დავრჩენილიყავი ჩემი განათლების დონეზე, თუმცა ჩემს მიერ ტექნიკუმის წარჩინებით დამთავრებამ განაპირობა ჩემთვის სწავლის გაგრძელება, შემდეგაც ისე განვითარდა მოვლენა რომ როცა ინსტიტუტი დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ჩემი ძმა იყო ასაკით უფროსი, მე შევქმენი ოჯახი, რამაც განაპირობა ჩემი ცალკე ოჯახად ფორმირება და ამის გამო ჩემსავე სოფელში შევიძნეთ სახლი და ჩემს მეუღლესთან ერთად დავიწყეთ ცალკე ოჯახის შენება.

VI. ოჯახი ადამიანის ფორმირების გზაზე

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ეს სათაური სრულიად შეესაბამება ჩემი ცხოვრების დიახ, გნებავთ ოჯახური ცხოვრების ისტორიას.

სხვათაშორის დიდი ფიქრი და მსჯელობა არ მქონია თუნდაც, ჩემი თავისადმი დასაწყისში ყველაფერი რაღაც ინსტიქტურად ხორციელდებოდა. ასეთი ვითარება მეტადრე მას შემდეგ შეიქმნა ჩვენს ოჯახში, როცა ოჯახს დედაჩემი გამოაკლდა. მე ამ დროს მეორე კურსზე ვსწავლობდი უმაღლეს სასწავლებელში და მოხდა ისე, რომ მამაჩემი პატიოსანი მშრომელი კაცი იმდენად დაიბნა უარი განაცხადა ჩემი სწავლი გაგრძელებაზე, თუმცა ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ფაქტიურად ამის ფიქრის უფლებაც კი არ მისცა მამაჩემს. ჩამოვიდა დელეგაცია და წამიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად (ამაზე უკვე გეუბნებოდით). ასე გავაგრძელე სწავლა, სხვათაშორის წარჩინებული სტუდენტისათვის დაწესებული მაღალი სტიპენდია და საერთო საცხოვრებელში ცხოვრება მაძლევდა ამის საშუალებას.

პირველად ვაკეში სტუდქალაქის მე-8 კორპუსში 8 სტუდენტთან ერთად ვცხოვრობდი ერთ ოთახში. მახსოვს, როცა საკვები შემოგვაკლდებოდა ჯოკია მეშველიანი, რომელიც შემდგომში საუკეთესო ლოტბარი გახდა ქვემო სვანეთში - მოშიებულ სტუდენტებს სიმღერას გვასწავლიდა და ამით გაგვყავდა დრო. საბედნიეროდ ფაკულტეტის დეკანმა კოლია ლაჭყებიანმა გამომიძახა და მითხრა ორადგილიან ბინაში უნდა გადაგიყვანოო. მე გამიკვირდა, თუმცა როცა ბინის ორდერი გადმომცა მაშინ დავრწმუნდი, რომ იგი სრულიად არ ხუმრობდა.

მე გადამიყვანეს აჭარელ სტუდენტთან ალია ფუტკარაძესთან, ჩემსავით წარჩინებულ სტუდენტთან. შემდგომში როცა სამუშაოზე გაგვანაწილეს ალია ფუტკარაძე აჭარაში მიავლინეს სამუშაოდ და მან ჩემი პატივისცემის გამოსახატავად სახელი ალია შეიცვალა და იგი დღეს შოთა ფუტკარაძეა.

ბედის ირონია იყო ალბათ, რომ აფხაზეთიდან ჩვენი დევნილობაში განდევნის დროს ბათუმში ჩავედი ოჯახთან ერთად 1993 წლის 27

სექტემბერს და აი საოცრება: მოვიკითხე ალია ფუტკარაძე და მითხრეს რომ ფუტკარაძე არის ბათუმში, მაგრამ არა ალია, არამედ შოთა გახლავს მისი სახელიო. იგი კერძო ინსტიტუტის რექტორი გახდა მის მიერვე დაარსებულ გონიოს კოოპერაციულ ინსტიტუტში და ძალიან გავიხარეთ ორთავემ, როცა ერთმანეთს შევხვდით და მე მისივე წინადადებით ეკონომიკის ფაკულტეტზე ეკონომიკური თეორიის კათედრა ჩამოვაყალიბეთ, რომლის გამგეც მე გავხდი და უნდა ვთქვა, რომ გამიმართლა და კათედრაზე ყველა ახალი კადრი ბათუმელი (აჭარელი) ახალგაზრდებიდან ავარჩიე. ათი მათგანი ასპირანტურაში ჩაირიცხა თბილისში აგრარულ უნივერსიტეტში და ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ყოფილი რექტორის პროფესორ ნაპოლეონ ქარქაშაძის მხარდაჭერით რამდენიმე აჭარელმა ახალგაზრდამ ასპირანტურა დაამთავრა და ხარისხიც დაიცვა, მათ შორის ედუარდ ფუტკარაძემ. წლების განმავლობაში აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრად და ვაშალომიძის პირველ მოადგილედ იმუშავა.

ბევრი სიკეთე მახსოვს ბათუმელი კოლეგების მხრიდან და არა მარტო მათი მხრიდან.

მახსოვს, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა არა მხოლოდ იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელები და სტუდენტები, არამედ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ ბათუმში ჩვენი დევნილობის დროს გაცნობილი ბათუმელები: ვაშალომიძე, რეზო ჯაბნიძე (განმარტებისათვის - ბათუმელი ვაშალომიძე - ეს პიროვნება იმხანად აჭარის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი, ხოლო მისი მიადგილე რეზო ჯაბნიძე იყო), ძმები პაპუნიძეები ზურაბ მიქელაძე, რომელმაც თავისი ეზო-კარი დაგვითმო დევნილობაში.

დიახ, ეს წიაღსვლა იმიტომ მოვიტანე, რომ თავიდან არანაირი მხარდაჭერა არ მქონდა ოჯახიდან, რადგან არ იყო ამის შესაძლებლობა და მიუხედავად ამისა, როგორღაც ვახერხებდი წინსვლას ნაბიჯ-ნაბიჯ. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, როგორღაც ვიჩქარე და დავასწარი უფროს ძმას და ოჯახი შევქმენი. პირველი რაც ოჯახის შექმნას მოყვა ეს იყო ცალკე გასვლა და მშობლიური ოჯახისაგან დამოუკიდებლად

ცალკე დამკვიდრება გადავწყვიტე. ძალიან მძიმე იყო ეს ყველაფერი. ჩემი მეუღლე ცხრა და-ძმის უფროსი და გახლდათ და წარმოიდგინეთ, რომ პატიოსანი მშრომელი გლეხი ძლივსღა ახერხებდა ცხრა შვილის მოვლა-აღზრდის საქმეს და ამჯერაც უკვე მორალურად დამეკისრა მათზე ზრუნვა. ამ საქმესაც მე გავუმკლავდი და არ მიმაჩნია საჭიროდ ყველა დეტალის დაწვრილებით აღწერა. თუმცა ავღნიშნავ იმას, რომ მეუღლის ყველა და-ძმას ფაქტიურად ხელი მივაწვდინე, რომ გარკვეული სწავლა მიეღოთ ზოგს საშუალო დონეზე, ზოგსაც უმაღლესი განათლების მიღების საქმეშიც გავუმართე ხელი. დეტალებს ამჯერადაც აღარ ვეხები.

გავკადნიერდები და მეტ დროს დავუთმობ ჩემი ოჯახის ფორმირების ისტორიას, რითაც მინდა ახალგაზრდების საყურადღებოდ შევეხო ყველა იმ სირთულეს, რაც ოჯახის ჩამოყალიბების დროს გადაგვხდა თავს მე და ჩემს მეუღლეს ისე, რომ ფაქტიურად ჩვენი უშუალო ხელშემწყობი თითქმის არავინ იყო, ყველა სიძნელე მე და ჩემი მეუღლის მხრებზე გადადიოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა აქტიური ნაბიჯი ამ მიმართულებით მეუღლის ინიციატივით და მისი ძალისხმევით შევძელით და გადავდგით.

ეზო-კარი დავამუშავეთ, მოვაწყვეთ დახურული სათბური ბოსტნეულისა და ყვავილის მოსაშენებლად. ყვავილს ბაზარზე კარგი ფასი ჰქონდა და იმდენად მაღალი ხარისხის იყო ჩვენი ყვავილი, რომ კონკურენციაში ყველას ვჯობნიდით. მოხდა ისე, რომ უკვე ადგილზე მოდიოდნენ კლიენტები და გადამყიდველები. ასე, რომ დღე და ღამე გაერთიანებული გვქონდა და თითქმის ყველა ძველ მოსახლეს დავეწიეთ.

როგორც ცოტა დავლაგდით, მეუღლემ აიჩემა გააგრძელე კვლევითი საქმიანობა და იქნებ წინ წაიწიოო და უკვე ბავშვები გვყავდა და ყველა პრობლემის დაძლევით გზაზე აღარავის არ ჩამოვრჩებოდით. მოვაშენეთ მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

ის იყო, რომ კონკურსი გამოცხადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, უფრო სწორად ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო აკადემია, რომელმაც სამწუხაროდ რამდენიმე წელი იარსება. მე ძალიან

მაწყობდა აღნიშნული აკადემიის დაუსწრებელ სწავლებაზე ჩარიცხვა. ძალიან დიდ კონკურსში გავიმარჯვე და ჩავირიცხე მიწათმოქმედების განყოფილებაზე, რომლის ბაზა (ოფისი) საგურამოში არსებობდა, რომელსაც ჰქონდა ეკონომიკური განყოფილება. დიახ, ამ სექტორზე ჩავირიცხე და დავამთავრე წარჩინებით. ეკონომიკის განყოფილებამ მეცნიერ-ხელმძღვანელად გამოგვიყო, ჩემთვის სტუდენტობის დროს კარგად ნაცნობი მეცნიერი - პროფესორი პეტრე ჟღენტი, რომლის ინიციატივით შერჩეული იქნა სამეცნიერო თემა - აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდენსიფიკაციის საკითხებზე.

აღნიშნული თემის დამუშავების მიზნით ძირეულად შევისწავლე აფხაზეთის თითქმის ყველა რეგიონი, თუმცა აქცენტირება გავაკეთე ოჩამჩირის რეგიონზე, სადაც ყველა პირობა არსებობდა თემის მიმართულებით.

საინტერესო ის იყო, რომ უამრავი საარქივო მასალის საფუძველზე ჩამოვაყალიბე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდენსიფიკაციის სტრატეგია. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ჩემი ოჯახი საკმაოდ ხელმოკლედ იყო, თუმცა მეუღლე მაინც მამხნევებდა და, რაც მთავარია, პრაქტიკულად მეხმარებოდა ცხრილების დამუშავების დროს. მაგიდაც კი არ გვქონდა, მაგრამ იატაკზე ვშლიდით საარქივო მასალების დამუშავების მაჩვენებლებს. ამ საქმეშიაც ჩემი დამხმარე პრაქტიკულად ჩემი მეუღლე იყო.

პარალელურად სამი ვაჟიშვილი აღვზარდეთ. წესიერად ვზრდიდით მათ ყოველგვარი გამონაკლისი მათთვის გამორიცხული იყო, როგორც სწავლაში ასევე სხვა (გნებავთ თამაშის დროს) რათა ისინი შეჩვეულიყვნენ შრომას და წესიერებას.

სამივე ჩემი შვილი ისე ჩაირიცხა ინსტიტუტში არავისათვის არაფერი გვითხოვია და წარჩინებითაც დაამთავრა ყველა მათგანმა.

ჩვენ არანაირი პრივილეგია არ მოგვითხოვია შვილების სამხედრო სამსახურში გაწვევის დროსაც.

ჩემი შვილები ერთი საშუალო ასაკის საზღვაო ნაწილებში მოხვდა განაწილებით, ამ კატეგორიის სამსახურში ქართველები ნაკლებად

ხვდებოდნენ, რადგან იგი სამწლიანი სამსახური იყო. ეს ვაჟიშვილი მე გავაცილე სევასტოპოლში, სადაც სამი წელი იმსახურა. ჩემმა შვილმა სამწუხაროდ დამთავრების დროს ტრავმა მიიღო, რომელიც სახლში დაბრუნების შემდეგ გაურთულდა და ონკოლოგიური სიმსივნე განვითარდა. ოპერაციის შემდეგ იგი მიავლინეს მოსკოვში ონკოლოგიურ ცენტრში ე.წ. „კაშირკაზე“. ორი წლის მკურნალობის შემდეგ, რაც უშედეგო აღმოჩნდა - იგი 26 წლის ასაკში მეოთხე კურსის საინჟინრო ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი გარდაიცვალა და აფხაზეთში (ცაგერაში) დავკრძალეთ.

დიდად სამწუხაროდ, ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილი, ცოლშვილიანი (ორი ქალიშვილით) აფხაზეთის ტრაგედიის დროს დაიღუპა და ისიც მისი ძმის გვერდით დავასაფლავეთ. დღემდე იქ განისვენებს (ცაგერაში) ოჩამჩირის რაიონში 25 წელია უკვე გასული.

დიახ, მეორე ვაჟიშვილი (უმცროსი) ჯარში გაიწვიეს და მდინარე ამურის სანაპიროზე მსახურობდა. შემდგომ გადაიყვანეს უფრო შორს სატანკო ნაწილებში - ხაბაროვსკში.

მესამე კი სარაკეტო ნაწილში მსახურობდა. უფროსი ვაჟიშვილი იგი ჯარიდან ოფიცრის მუნდირით დაბრუნდა, თუმცა აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების წინა დღეებში იგი ტურბაზის (სოხუმის კომკავშირის ტურბაზის) წინ ვინმე არძინბამ (ლიხნიდან) ავტომანქანა ვოლგით გაიტანა და ლამის სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მაშინდელი ტრამვების გამო უკვე ონკოლოგიური ოპერაციით მკურნალობდა და ფაქტიურად ინვალიდი გახდა, რამდენიმე წლის შემდეგ იგი ტანჯვა-წამებით გარდაიცვალა.

დიახ, ასე და ამგვარად შვილებით, როგორც იტყვიან, ვერ გავიხარე. მათზე დარდით ჩემი მეუღლე დაავადდა და თითქმის სამი წლის განმავლობაში სისტემატური მკურნალობის ქვეშ გალია ცხოვრების ბოლო დღეები.

იგი თითქოს სიმბოლურად ახალი წლის (პირველ იანვარს) დღეს გარდაიცვალა და იცით რა თქვა ბოლო ამოსუნთქვის დროს?!

„შოთა მე მივდივარ უკვე ჩემ შვილებთან შენ კი რა გეშველებაო“

ეს წარმოთქვა და სული დალია. იმასაც ვერ ეღირსა, რომ მთელი ოცდახუთი წლის წინ გარდაცვლილი ორი ვაჟიშვილის საფლავებზე შესულიყო, მიუხედავად დიდი მცდელობისა.

დიახ, სპეციალურად ჩამოვაყალიბეთ მეუღლის ინიციატივით და ხელმძღვანელობით არასამთავრობო ორგანიზაცია შვილმკვდარი დედების კავშირი „ნოსტალგია“, რომელიც ძირითადად მუშაობდა ქართველ და აფხაზ შვილმკვდარი დედების დაახლოვებაზე და ურთიერთშენდობის მიმართულებით.

ამ ორგანიზაციას დიდი დახმარება გაუწია ნინო ბურჯანაძემ, რომელიც იმ დროს პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ.

ბურჯანაძეს მივმართეთ, რათა დაგვხმარებოდა აფხაზეთში საფლავების მონახულებაზე აფხაზეთის ომის დროს დაღუპული შვილებისა.

ნინო ბურჯანაძის ძალისხმევით მიღწეული იქნა შეთანხმება აფხაზეთში დაღუპული შვილების საფლავებზე 14 შვილდაღუპული დედის შეყვანის მიზნით.

ბურჯანაძის მითითებით ამ პროცესს ხელმძღვანელობდა ვახტანგ ყოლბაია.

ამ საქმის ორგანიზებაში ჩართული იყო ალუ გამახარია და გავემგზავრეთ სპეციალურად აღდგომა დღისათვის, რათა ამ დღეს მოგვენახულებინა აფხაზეთში დაღუპული შვილების საფლავები.

სამწუხაროდ მიღწეული შეთანხმება დარღვეული იქნა აფხაზეთის მხარის მიერ და ღონისძიება ჩაიშალა.

შემდგომში ამ მუშაობაზე მცდელობა აღარ შედგა მეუღლის ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის გამო.

არ შეიძლება არ გაიხსენოს კაცმა ის ამბავი, როცა სამივე შვილი სამხედროში გაიწვიეს. არანაირი ჩარევა ამ საქმეში მშობლებს არ გვიცდია. მეუღლესთან ერთად გავაცილეთ ისინი თბილისში, ხოლო თბილისში გამანაწილებელ პუნქტში შვილები გაანაწილეს სხვადასხვა მიმართულებით, უფროსი ვაჟიშვილი სიმფოროპოლში სარაკეტო ჯარების სამსახურში გაამწესეს, მეორე კი საზღვაოზე მოხვდა

განაწილებით და იგი გავაცილეთ სევასტოპოლში საზღვაო სამსახურში, სადაც სამი წელი გაატარა.

სამსახურის დამთავრების ბოლოს მან ტრავმა მიიღო, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. ტრავმის შედეგად განუვითარდა ავთვისებიანი სიმსივნე რის გამოც გაუკეთეს რთული ოპერაცია და მიავლინეს იგი მოსკოვში ონკოლოგიურ ცენტრში ე.წ. „კაშირკაზე“ სადაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში გადიოდა მკურნალობის ქიმიო თერაპიის კურსს.

მე და მეუღლე თან ვახლდით მოსკოვში ვიქირავეთ ბინა და იქ გავატარეთ წელიწადზე მეტი დრო.

მკურნალობამ ვერ იხსნა იგი და გარდაიცვალა 26 წლის ასაკში, როდესაც მეოთხე კურსი დახურა საინჟინრო ფაკულტეტისა.

უფროსი ვაჟიშვილი დაბრუნდა სამხედრო სამსახურიდან ოფიცრის სტატუსით და წლების განმავლობაში იგი მუშაობდა აფხაზეთში მთავარი ეკონომისტის თანამდებობაზე ოჩამჩირის, გულრიფშის და სოხუმის რაიონის კოლმეურნეობებში.

ბოლო ხანებში იგი მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სასწავლო მეურნეობის მთავარ ეკონომისტად ჯერ, სოხუმის რაიონის ეშერის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, რომელიც შემდგომში გადაეცა სუბტროპიკულ ინსტიტუტს და შეუერთდა ინსტიტუტის კელასურის სასწავლო მეურნეობას. ამ პერიოდიდან იგი მუშაობდა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში დაქვემდებარებულ სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყების წინა პერიოდში ჩემი უფროსი შვილი სოხუმის ტურბაზასთან მოხვდა ავარიაში სწორედ მას ფეხით მიმავალს დაეჯახა ტრასაზე ავტომანქანა, რომელსაც ვინმე გვარად არძინბა მართავდა (ლიხნიდან). ავტომანქანა კი ეკუთვნოდა გუდაუთის რაიკომის პირველ მდივანს.

ტრავმის შედეგად ჩემი შვილი განიკურნა და ჩართული აღმოჩნდა აფხაზეთში საომარ მოქმედებებში, რის შედეგადაც მას გაურთულდა ტრავმა და მივავლინეთ იგი მოსკოვში სამკურნალოდ.

განკურნების შემდეგ იგი დარჩა რუსეთში სამუშაოდ. მოაწყო თავის რესურსებით სავაჭრო ცენტრი, თუმცა მოსკოვიდან იგი იძულებით იქნა წამოსული და ყველა ფასეულობანი სრულად დაკარგა და „ცარიელ-ტარიელი“ დაბრუნდა საქართველოში.

ამ ბოლო ხანებში მას განუვითარდა მძიმე დაავადება და ისიც გარდაიცვალა.

მესამე უმცროსი ვაჟიშვილი ჯარში სამსახურში გაიწვიეს და მსახურობდა მდინარე ამურის სანაპიროზე, შემდგომ იგი გადაიყვანეს ხაბაროვსკში სატანკო ნაწილებში, სადაც თითების მოყინვის გამო ორწლიანი სამხედრო სამსახურიდან ერთი თვით ადრე გაანთავისუფლეს. დაბრუნდა სახლში, შექმნა ოჯახი, ყავდა ორი ქალიშვილი და დიდად სამწუხაროდ, აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების დროს დაიღუპა. იგი დავკრძალეთ მისი ძმის გვერდით აფხაზეთში. დიახ, მისი ძმის გვერდით დავასაფლავეთ ჩემთვის განკუთვნილ სასაფლაოზე (ძმის გვერდით). დღემდე 25 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მე და ჩემი მეუღლე ყოველმხრივ ვცდილობდით, რომ მათ საფლავებთან მივსულიყავით ცაგერაში, მაგრამ ვერა და ვერ მოხერხდა. მეუღლეს შვილების საფლავების ნატვრაში ამოხდა სული და დავკრძალეთ ქუთაისში (ავანგარდში). აი, ასეთი მძიმე და გაუსაძლისი აღმოჩნდა ჩვენი ოჯახის ისტორია.

დიახ, ოჯახი იყო ბურჯი ჩვენი შვილების აღზრდის დროს და შემდგომაც. თუმცა რას იზამ, თუ ცხოვრება გიმუხთლებს.

ჩემი მეუღლე ცხრა დედმამიშვილს შორის ყველაზე უფროსი იყო და როცა დავოჯახდით არავინ იყო ჩვენი დამხმარე, რადგან მშობლები, რომელნიც 9 შვილს ზრდიან ცხადია, კოლმეურნე გლეხის პირობებში არ გააჩნდებოდა დანაზოგი ჩვენ რომ დაგვხმარებოდნენ. ძალიან პატიოსანი ხალხი იყო, მაგრამ არ ჰქონდათ და რა ექნათ. პირიქით, მე და ჩემი მეუღლე წლების განმავლობაში ვეხმარებოდით მათ სწავლის დროს და შემდგომშიაც. როგორც იტყვიან ცალი ხელი მათკენ ჰქონდა ჩემს მეუღლეს და რითაც შეგვეძლო ხელს ვუწყობდით. ცხადია ისინიც არ გვაკლებდნენ ყურადღებას რითაც კი შეეძლოთ.

რასაც მივაღწიეთ: სოფელში სახლი ვიყიდეთ, ეზო-კარი გავაშენეთ, დღისით ორთავენი სამსახურში მივდიოდით, საღამოს და გვიან ღამით ეზოში ვმუშაობდით ვაზი, ციტრუსები და სხვა ხეხილი გავაშენეთ, დახურული გრუნტი მოვაწყვეთ ბოსტნეულისათვის, ასევე მოვაწყვეთ ყვავილნარი და ა.შ. ყველაფერ ამის ინიციატორი ჩემი მეუღლე გახლდათ. მის რეალიზაციასაც თავად ახდენდა ადგილობრივ ბაზრებზე და რუსეთშიაც ხშირად გადიოდა.

უნდა ავღნიშნო ისიც, რომ როცა ოჯახი შევქმენით მე და მეუღლე ცხადია, არავისგან ხელშეწყობაზე არ ვფიქრობდით, რადგან ასეთი შესაძლებლობა არც ერთი მხრიდან, არც ჩემი მშობლების და არც მეუღლის მშობლების მხრიდან არ არსებობდა, ამდენად, თავიდანვე განვეწყვეთ იმ მიმართებით, რომ ყველაფერი ჩვენს თავზე უნდა აგვეღო. სხვათაშორის მე იმ დროს ჯერ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ვმუშაობდი და ხელფასიც მქონდა, თუმცა ნიკიტა ხრუშჩოვის განკარგულებით მტს-დან მოკლედ ჩვენი მომსახურების კოლმეურნეობაში მიგვავლინეს. მე პირადად ყველაზე ღარიბ ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობაში მიმავლინეს, სადაც სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 30 მანეთს მაძლევდნენ ხელფასს, შემდგომ ისიც მოგვიხსნეს და გვითხრეს რომ წამოაყენეთ ფეხზე „ჩამორჩენილი კოლმეურნეობა“ და კოლმეურნეობის შემოსავლიდან მიიღეთ ხელფასიო. დიახ, მიდგომა, ერთი შეხედვით თეორიულად სწორია მაგრამ რეალურად ამის მიღწევა სულაც არ იყო დამოკიდებული, ასე ვთქვათ სპეციალისტებზე, მაშინ, როცა დიქტატორული მმართველობა იყო გაბატონებული.

რას იზამ, უნდა დაჯერდე იმას, რასაც მოგცემენ - ასეთი იყო დირექტივა. ამ პერიოდში მეუღლე სოფელში კლუბის გამგედ მუშაობდა, მცირეოდენი ფულადი შემოსავალი აქედან მოდიოდა, მთავარი კი ჩვენი ეზო-კარი და ჩვენი მარჯვენა იყო მთავარი. კიდევ უფრო მთავარი ის იყო, რომ მეუღლე ახერხებდა მეტად მკაცრ გარემოში რაღაც ბიზნესურ საქმიანობას, რომელსაც მაშინ წვრილმან ვაჭრობას ეძახდნენ. ყველაფერს ვყიდდით ოჩამჩირისა და ზუგდიდის ბაზარზე - დაწყებული ბოსტნეულის ჩითილებიდან ყვავილებით, ოჯახის წვრილფეხა

პირუტყვის გამრავლებით (მეღორეობის, მეფრინველეობის) და ა.შ.

საუკეთესო ჯიშის ღორებს ვზრდიდით და ყველა კარგი ჯიშის გამო სახლში მოდიოდა და რიგდებოდნენ რათა ჩვენგან ეყიდათ საჯისე პირუტყვი. გავამრავლეთ მსხილფეხა პირუტყვიც, პირობები ხელსაყრელი იყო, თითქმის არ იყო საჭირო მწყემსვა (საძოვრები ზღვისპირას გვქონდა). საცხოვრებელი სახლის ფული გავისტუმრეთ, სახლი გავაფართოეთ, ბევრი დამხმარე სადგომებიც მოვაწყვეთ.

ჩვენი პრინციპი იყო კონკურენციაში გამარჯვება ჩვენ ბაზარზე ყოველთვის ნაკლებ ფასად ვყიდდით და გასაყიდის ხარისხით ყველას ვჯობდით.

ერთი სიტყვით, ასე და ამგვარად ავაყვავეთ ჩვენი ეზო-კარი. სამი ვაჟიშვილი ე.წ. „დაჩქარებული“ ტემპით აღვზარდეთ ანუ შვილები ერთმანეთისაგან მხოლოდ თითო წლით უსწრებდნენ ერთმანეთს, ამდენად შემჭიდროებულ ვადებში შვილები აღვზარდეთ და უმაღლესი განათლება მივეცით ყოველგვარი კორუფციული და სხვა მახინჯი ფორმების გამოყენების გარეშე გავზარდეთ და აღვზარდეთ ისინი, ჯარშიც გავუშვით და დავაჟკაცებულნი დაგვიბრუნდნენ. თუმცა შუათანა სამი წლით საზღვაო სამსახურიდან დაბრუნებისთანავე მძიმე ავადმყოფობით დაიღუპა. ორი ვაჟიშვილი კი დაოჯახდა, შვილები აღზარდეს და სამწუხაროდ უმცროსი, როგორც აღვნიშნეთ, აფხაზეთის ტრაგედიას შეეწირა. იგი ყველა სიტუაციაში გაიძახოდა, რომ აფხაზები ჩვენი მეზობლებია და ჩვენთან ერთად გაზრდილნი არიან და რა გვაქვს მათთან გასაყოფიო იძახდა, მაგრამ იგი დაიღუპა აფხაზეთში და დაკრძალულია მის ძმასთან (ცაგერაში), სამწუხაროდ 25 წელი გავიდა მას შემდეგ და არაფერი ვიცით მათზე.

მეორე უფროსი ვაჟიშვილი მძიმე მკურნალობის რეჟიმში იმყოფებოდა და ისიც გარდაიცვალა, ხანგრძლივი მკურნალობის პირობებში ტანჯვა-წამებით.

არ შემიძლია არ ავღნიშნო ისიც, რომ მეუღლე იყო ინიციატორი იმისა, რომ მე სწავლა გამეგრძელებინა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. როგორც კი გამოცხადდა მისაღები გამოცდები

ჩემმა მეუღლემ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება მოიტანა სახლში (ის ხომ კლუბის გამგე იყო და ბიბლიოთეკასაც განაგებდა და გაზეთები ხომ მის ხელში გადიოდა).

მართალი გითხრათ მე უკვე ინსტიტუტში გამიწვიეს სამუშაოდ და მაინცდამაინც აღარ ვცდილობდი სწავლის გაგრძელებას, მაგრამ მეუღლემ იცით რა მითხრა: „სამი ვაჟიშვილი გვყავს და მათაც გამოადგები თუ წინ წაიწევ და ხარისხს დაიცავო“.

დიახ, ჩავირიცხე ასპირანტურაში სასწავლებლად მწვავე კონკურსის პირობებში და დავიწყე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდენსიფიკაციის საკითხებზე.

დიახ, მქონდა წინაპირობა იმით, რომ სტუდენტობის დროს აფხაზეთში (ცაგერაში) მქონდა მინდვრის ცდები, რომლის მონაცემები გამომადგა შემდგომი კვლევითი მუშაობისთვის.

მთელი სამეცნიერო მნიშვნელობის ცხრილებს მე და მეუღლე ერთად ვამუშავებდით და ვაზუსტებდით. ასე, რომ ერთად „დავიცავით“ დისერტაცია. მეუღლემ დიდი როლი შეასრულა აფხაზეთიდან დევნილობაში ყოფნის დროს, განსაკუთრებით ბათუმში ცხოვრების დროს.

მეუღლემ იქ მცირე ბიზნესი შექმნა და ამ გზით ვზრდიდით შვილიშვილებს და შვილების ოჯახებს. მახსოვს, მე ბათუმში კათედრის გამგე ვიყავი და ბაზარზე მეუღლესთან ერთად რომ დავდგებოდი ჩემი სამუშაოს გამო. მერიდებოდა ბათუმში ცენტრალური ბაზრიდან წამოღებულ ტვირთს ლერმონტოვის ქუჩის ბაზარზე ვყიდდით იქ ჩემი სტუდენტები როცა გამოივლიდნენ მე გვერდზე ვდგებოდი (რათა მათ დავმალვოდი). ერთ-ერთმა ალქაჯმა სტუდენტმა შემნიშნა და იცით რა მითხრა? - ჩვენ გვინდა თქვენი საქონელი გავასაღოთ და თქვენ რატომ გვარიდებ თვალსო. დიახ, მეც შევეჩვიე და თამამად მეც ვედექი გვერდით მეუღლეს.

დიახ, პარალელურად საღამოობით, გვიან ღამემდე ვუკავშირდებოდით დევნილებს, რომლებიც ბევრნი იყვნენ ბათუმში (აჭარაში)ეს ე.წ. კომპაქტურ სახლებში ცხოვრობდნენ და მათ ვამხნევებდით და

ვცდილობდით დევნილებიც დაგვესაქმებინა მცირე ბიზნესში, მეუღლე ასწავლიდა ვაჭრობას იმ დევნილებს, რომლებიც მორცხვობდნენ „რადგან დევნილობამდე ისინი ასეთი“ საქმით არ იყვნენ დაკავებულნი.

დევნილებთან ურთიერთობის დროს ჩვენთან ერთად ჟურნალისტი ციალა კოპალიანი მონაწილეობდა.

ჩვენ ვმუშაობდით ასევე ბათუმში მცხოვრებ აფხაზებთან (მოჰაჯირებთან) და აქტიურ პროპაგანდას ვეწეოდით ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის აღდგენის მიმართულებით. განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობდით აფხაზეთში შვილდაღუპულ ოჯახებთან.

და ბოლოს, მინდა ვთქვა ისიც, რომ ჩემი მუშაობის პერიოდში მქონდა დიდი შესაძლებლობა ასე ვთქვათ, საკმაოდ „დიდი ფულის შოვნისა“. თუნდაც უაღრესად მდიდარ კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად მუშაობის პერიოდში.

მახსოვს ერთ-ერთმა რაიკომის მდივანმა ოჩამჩირეში მითხრა ასეთი რამ: შოთა რატომ ხდება, რომ შენ ყოველდღე კოჩარის მოსახვევში (ეს ის ადგილია საიდანაც ავტობუსი ე.წ. „პაზი“ კი გადიოდა კოჩარის მიმართულებით, სადაც მე ვმუშაობდი მთავარ ეკონომისტად. დიახ, მე ვუპასუხე მდივანს. ბატონო მდივანო, მე ყოველდღე მივდივარ სამუშაოზე აბა როგორ უნდა მოვიქცე მეთქი. რატომ გეუბნები იცი? მითხრა მდივანმა, იმიტომ, რომ საკუთარი მანქანა უნდა გყავდეს. მე სადა მაქვს მანქანის საყიდელი ფული მეთქი. ეხ! რას ამბობ, არა გცხვენია რომ ამ დიდ კოლმეურნეობაში სამუშაო ადგილს აფუჭებო მითხრა ხუმრობით.

გავიდა სულ ცოტა დრო და იმ კოლმეურნეობაში, სადაც ბევრი ფულის „შოვნა“ შეიძლებოდა, რამდენიმე წელი რევიზია მიმდინარეობდა და ცხადია დარღვევებიც გამოვლინდა, რაც „ზემოდან დაშვებული გეგმების“ შესრულებასთან იყო დაკავშირებული.

ეს მომენტი იმიტომ გავიხსენე, რომ საბედნიეროდ, მე ოჯახშიც არავინ არ მეუბნებოდა, უფრო მეტიც არ მიმანიშნებდა, რომ რატომ ბევრი ფული არ მოგაქვსო, შენი თანამდებობის პატრონსო. მახსოვს ასეთი მომენტიც - ჩემი სამსახურის სფერო საკმაოდ სერიოზულმა

შემმოწმებელმაც კი დამემუქრენ რომ ჩემს მუშაობასაც ძირფესვიანად შევამოწმებთო მითხრეს და იმის გამოც, რომ ჩემი პატიოსნება ამ თვალსაზრისით შეემოწმებინათ ოჯახშიც კი შეგვამოწმეს, თუმცა რაიმე ხელშესახები ვერაფერი ნახეს.

მინდა გავიხსენო, რომ როცა აფხაზეთის ომის დროს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის, ქართველები, თითქმის მთლიანად განდევნეს მე მაშინ მხოლოდ ერთი ქოლგა (საწვიმარი) გამოვაყოლე ხელს და ბინის გასაღებები, რასაც დღემდე ვინახავ ბინაში, თუმცა ბინაც არ მაქვს შესაფერისი დევნილობაში რომელიც მოგვიანებით მივიღე.

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში დევნილობის პერიოდში სასტუმრო „მესხეთში“ ვცხოვრობდით ჩემი და ჩემი შვილების ოჯახები, სამი ბინა გვქონდა დაკავებული და 21000 დოლარი შეგვეძლო მიგვეღო, მაგრამ ერთი თეთრიც არ მიგვიღია და დღემდე ვცხოვრობ სუბტროპიკული უნივერსიტეტის (ყოფილ) საერთო საცხოვრებელში და მეტი არაფერი გვაბადია. თუმცა ვიმეორებ, რომ ჩემიანები საყვედურს არ მეუბნებიან იმიტომ, რომ იციან ჩემი ხასიათი და თვისება. რა ვქნა? არაფერი გამაჩნია, მაგრამ მაინც ძალიან მდიდარი ვარ. დიდად სამწუხაროდ ორი ვაჟიშვილი საფლავებიანად „დავკარგე“ ანუ აფხაზეთში დავტოვე და სამაგიეროდ მყავს ოთხი შვილიშვილი და ხუთი შვილთაშვილი , კიდევ იმრავლებენ არა? აი, ეს არის სიმდიდრე ჩემი.

ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ ჩვენი ოჯახი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში შეგვასახლეს. რექტორმა პროფესორმა ვახტანგ ფრუიძემ თავიდანვე შეგვპირდა, რომ სამ ბინას მოგვცემდა. უფროსი ვაჟიშვილი (თავისი ოჯახით) ამ ხანებში რუსეთში (ტულაში) ცხოვრობდა. ამისი მიზეზი ის გახლდათ, რომ იგი (ვალერი) სოხუმში ავარიის დროს მძიმედ დაშავდა. თუმცა გამოჯანმრთელების შემდეგ აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების დროს ტრავმირებული, თირკმლის უკმარისობით მძიმე ტკივილების გამო იძულებული გავხდით რუსეთში გაგვეგზავნა. თუმცა საომარი მოქმედებების დროს მივაკითხეთ გულრიფშის საავადმყოფოში, სადაც გენო ადამიას ვაჟიშვილი მთავარ ქირურგად

მუშაობდა. მან განაცხადა, რომ მარჯვენა თირკმელი იმდენად დაზიანებულია, რომ საჭიროა მისი ამპუტაცია, სხვანაირად შესაძლოა მძიმე ვითარება შეექმნასო.

მართალი გითხრათ, მე ვერ გადავწყვიტე აღნიშნული საავადმყოფოში ასეთი მძიმე ოპერაციის გაკეთება, თანაც იმ დროს მოსალოდნელი იყო ამ საავადმყოფოს დაბომბვაც კი.

ერთი სიტყვით, იმის გამო, რომ ჩემმა ბიძაშვილებმაც, რომლებიც იმ დროისათვის რუსეთში ცხოვრობდნენ აიჩემეს, რომ ჩვენ წავიყვანთ ვალერის და ჩვენვე მივიყვანთ მოსკოვში ქირურგთან და ა.შ. ამგვარად გადავწყვიტეთ მოსკოვში გაგზავნა.

პრაქტიკულად ავადმყოფის რუსეთში გაგზავნა გადავწყვიტეთ ბათუმიდან აფხაზეთში საომარი მოქმედებების გამწვავების გამო.

მადლიერებით მინდა გავიხსენო ბათუმის აეროპორტის დირექტორი ბერიძე, რომელმაც ყოველგვარი ფასგადახდის გარეშე გაგზავნა ჩემი შვილი თვითმფრინავით მოსკოვში.

ბარემ ავღნიშნავ იმასაც, რომ მოსკოვში უარი თქვა პროფესორმა თირკმლის ამპუტაციაზე და ხანგრძლივი მკურნალობით გამოაჯანმრთელა ოპერაციის გარეშე.

მოხდა ისე, რომ ჩემი ბიძაშვილები ქ. ტულაში ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ ბიზნესს, სადაც გამოჯანმრთელების შემდეგ ჩართეს ვალერიც, მოხდა ისე, რომ იგი ჩაერთო მათთან ერთად ბიზნესში და მოგვიანებით მისი ცოლ-შვილიც გაემგზავრა ტულაში.

დანარჩენი ჩემი ოჯახი და ჩემი ამჯერად სამწუხაროდ ომში დაღუპული ჩემი შვილის (სოსოს) ოჯახი დარჩა ჩემთან. თუმცა ბათუმში გამოგვიყვეს ყველას ერთად მხოლოდ ორი ოთახი. ამიტომ იძულებული გავხდით ბინა გვეყიდა ჩემი შვილის სოსოს ცოლ-შვილისათვის. ამ მიზნით გავყიდეთ სოსოს მსუბუქი ავტომანქანა, ცოტაც დავუმატეთ და ბინა ვუყიდეთ ნიკეაზე. სხვათაშორის იმ დროს ქუთაისში ბინები საკმაოდ იაფი იყო.

მოგვიანებით ვალერის ოჯახსაც ბინა ვუყიდეთ იმავე ნიკეას ქუჩაზე.

სამწუხაროდ ვალერის ოჯახი რუსეთში (ტულაში) აიძულა

რუსეთის მთავრობამ დაეტოვებინა ტულაში ბინა, სავაჭრო ცენტრი და დეპორტირებული იქნა საქართველოში. ამდენად, მათაც ცხოვრება განაგრძეს ქუთაისში. თუმცა დიდად სამწუხაროდ ვალერის ბინა გავყიდეთ დავალიანების გამო.

ერთი სიტყვით მოხდა ისე, რომ დავრჩით საერთო საცხოვრებელში, სადაც ამჯერად ვცხოვრობ ჩემს შვილიშვილთან და მის ოჯახთან ერთად.

VII. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) მუშაობის პერიოდი

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში მიწვეული ვიყავი ჯერ კიდევ 1948 წლის სექტემბერში მუშაობას ვაგრძელებდი ოჩამჩირის რაიონის კოჩარის კოლმეურნეობაში მთავარ ეკონომისტად.

აღნიშნულ ინსტიტუტში მუშაობა მაშინაც არ შემიწყვეტია როცა აფხაზეთიდან დევნილობაში აღმოვჩნდი ქ. ბათუმში. ცოტა რომ „დავმშვიდდით“, ბათუმიდან ქუთაისში ჩავდიოდი, კვირაში ერთხელ და ვაგრძელებდი აღნიშნულ ინსტიტუტში ლექციების კითხვას. ორიოდე წლის შემდეგ ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ვახტანგ ფრუიძემ შემომთავაზა სუბტროპიკულ ინსტიტუტში (ამჯერად ქუთაისში დევნილობაში) გადავსულიყავი სამუშაოდ და შეთავსებით დამეწყო მუშაობა ინსტიტუტის ეკონომიკისა და მართვის კათედრის გამგედ და იმავე სახელწოდების ფაკულტეტის დეკანად მუშაობა.

დიდი ყოყმანის შემდეგ დავთანხმდი და დავიწყე მუშაობა აღნიშნულ ინსტიტუტში.

ცხადია ამ მოვლენამ გამოიწვია ცოტა ხნის შემდეგ ჩემი ოჯახის გადმოსვლა ქ. ქუთაისში.

პარალელურად ვაგრძელებდი ამჯერად საპარლამენტო საქმიანობას (როგორც აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იმერეთის რეგიონის მაშტაბით).

სხვათაშორის უნივერსიტეტში მუშაობა საშუალებას მაძლევდა ახლო კავშირი მქონოდა დევნილ მოსახლეობასთან იმ სტუდენტი დევნილების მეშვეობით, რომლებიც ინსტიტუტში სწავლობდნენ, მით უფრო მათი თითქმის 70-80% სწორედ ჩვენს ფაკულტეტზე სწავლობდნენ.

მე როგორც დეპუტატი ყურადღების ცენტრში ვიყავი მთელი ინსტიტუტის მეშვეობით იმ მშობლების (მათ შორის დევნილი მშობლების), რომლებიც მათი შვილების სწავლის პროცესთან გარკვეულ კავშირში იმყოფებოდნენ ჩვენთან (მათ შორის ჩემთან როგორც დეპუტატთან).

როგორც წესი ინსტიტუტის მისაღები კომისიების და შემდგომში ე.წ.

გამოსაშვები გამოცდების კომისიებს, როგორც წესი ხელმძღვანელობდა სხვა ინსტიტუტიდან მოწვეული სპეციალისტები (პროფესორ-მასწავლებლები).

ცხადია ინსტიტუტში და ცალკეულ ფაკულტეტებზე იყო პატიოსნებით გამორჩეული პედაგოგ-თანამშრომლები, ისინი ქმნიდნენ ერთიან მებრძოლ გუნდს.

კიდევ ვიმეორებ, არ მინდა დეტალებზე საუბარი, რომელიც ძალიან შორს წაგვიყვანს.

სწორედ ჩემეული პოზიცია გახდა მიზეზი იმისა, რომ როცა დაისვა საკითხი უმაღლეს სასწავლებლებში ე.წ. ასაკობრივი ცენტრის განსაზღვრის თაობაზე, ანუ დღის წესრიგში დადგა ასაკოვანი პედაგოგებით შეზღუდვის საკითხი პირველ რიგში მე დავწერე განცხადება და შევწყვიტე ინსტიტუტში მუშაობა.

მოკლედ მაინც გავიხსენებ იმ საქმიანობის ზოგიერთ დეტალს, რომელსაც მე ვცდილობდი განმეხორციელებინა ინსტიტუტის, კერძოდ ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტზე სწავლის პროცესის სრულყოფის მიმართულებით.

ეს ის პერიოდია როდესაც ფეხს იკიდებს ახალი ეკონომიკური სისტემა.

მახსოვს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოსკოვში ვიმყოფებოდი და რომელიღაც პარკში დიდ დაფაზე გაკრული იყო გაზეთი „პრავდა“, რომლის გვერდებზე ვრცელი სტატია, როგორც იტყვიან დაუნდობლად აკრიტიკებდა პრაქტიკაში დამკვიდრებულ ხუთწლიანი გეგმების პრაქტიკას. ხუთწლედები მაშინ ცნობილი იყო როგორც ეპოქალური რეფორმების განხორციელების ცალკეული პერიოდები. დიახ, ეს პროცესი სასტიკად იყო აღნიშნული გაზეთის მთელ გვერდებზე - ერთიანი წერილის სახით. გაზეთი მიესალმებოდა ხუთწლიანი დირექტიული გეგმების ნაცვლად ე.წ. „საკონტროლო“ ციფრების და ა.შ. ცვლილებების შემოღებას.

წლების განმავლობაში პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემა,

თანდათანობით გზას უთმობდა მრავალფორმიან ეკონომიკურ სისტემას, რომლის კოორდინირება ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება.

დღის წესრიგში დგება ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საკმაოდ რთული პროცესი. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება შეუძლებელია საკუთრებითი ურთიერთობის გარდაქმნის გარეშე. საკუთრებითი ურთიერთობის გარდაქმნა ერთის მხრივ პრივატიზაციის (განკერძოების) ანუ სახელმწიფო საკუთრების ობიექტების არასახელმწიფოებრივ ობიექტებად გადაქცევას ითვალისწინებს, ხოლო მეორეს მხრივ, კერძო საკუთრების შეზღუდვის მოხსნასა და მისი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას გულისხმობს.

ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები წარმოადგენს ეკონომიკური რეფორმის მიზანმიმართული პროცესის შემადგენელ ნაწილს. იგი გულისხმობს მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გარდაქმნას და მოიცავს საბაზო დარგებში სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირებას. აღნიშნული პროცესი ითვალისწინებს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელებას რაც საფუძველს უქმნის თავისუფალი კონკურენციის განვითარებას. ურთიერთ ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ქვეყნის შიგნით და გარესამყაროსთან და ა.შ.

როგორც ცნობილია ცხოვრება უაღრესად რთულ პირობებში მიმდინარეობს. ერთის მხრივ, ადამიანის მოთხოვნილებები განუსაზღვრელი, სისტემატურად მზარდი ან ცვალებადია, ხოლო მეორეს მხრივ, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის საჭირო რესურსები მკაცრად განსაზღვრული და შეზღუდულია, იგი გამოლევადია.

ასეთ ვითარებაში ადამიანმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ როგორ იპოვოს გამოსავალი რათა უმცირესი დანახარჯების პირობებში მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგებს. ამ ამოცანის გადაჭრისათვის კი საჭიროა ეკონომიკური აზროვნება, რომლის ფორმირებისათვის საჭიროა ეკონომიკური თეორიის საფუძვლების საფუძვლიანი ცოდნა.

ეკონომიკური აზროვნება აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობაში, ბიზნესის პრაქტიკაში და ა.შ. ერთი სიტყვით დღის წესრიგში იდგა ახალი ეკონომოკური აზროვნების განვითარება.

სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აფხაზეთიდან განდევნის შემდეგ დაუბრუნდა თავის ასე ვთქვათ „დაბადების ადგილს“ ქუთაისს. თუმცა მას აქ არ დაუბრუნეს თავისი შენობა, რომელსაც იგი აფხაზეთში გადასვლამდე ფლობდა. პრაქტიკულად ინსტიტუტს ნულოვანი საწყისიდან მოუხდა მუშაობის დაწყება. ჯერ იყო და ინსტიტუტს სკოლაში დაუთმეს სასწავლო აუდიტორია შემდეგ მოხდა ისე, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე გადასცეს, რომელიღაც უწყების შენობა. თუმცა აღნიშნული შენობა სრულიად არ შეესაბამებოდა ინსტიტუტის პროფილს ამ პერიოდში ინსტიტუტის კოლექტივს შეიძლება ითქვას მხსნელად მოევლინა იმერეთის მხარის გუბერნატორი თეიმურაზ შაშიაშვილი, რომელმაც ბევრი შრომა გასწია იმისათვის, რომ ინსტიტუტს შექმნოდა მუშაობის ელემენტარული პირობები.

თავადაც ინსტიტუტის კოლექტივმა ჩვეული ენთუზიაზმით დაიწყო საქმიანობა ინსტიტუტის ქუთაისში დამკვიდრებისათვის. შაშიაშვილის მხარდაჭერით ინსტიტუტს გამოეყო არა მხოლოდ სასწავლო შენობა, არამედ გადაეცა მიწის ფართობი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების მიზნით, რომელიც განკუთვნილი იყო სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის ჩატარებისათვის.

ფართოდ გაიშალა მუშაობა ინსტიტუტისათვის სამეცნიერო ბიბლიოთეკის შექმნის მიზნით. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა მოზიდული იქნა ქალაქისა და მის შემოგარენში. ფუნქციონირებადი ტექნიკუმებისა და სკოლების ბიბლიოთეკებიდან სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა. ამ მხრივ დიდი ამაგი დაგვდო სამტრედიის ნ. ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, რომელიც დიდ ჯიხაიშში ფუნციონირებდა.

ერთი სიტყვით ინსტიტუტის კოლექტივმა ფეხი აიდგა და დაიწყო აღორძინება ახალ გარემოში.

დიახ, ამ პერიოდში ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა ვახტანგ

ფრუიძემ მიმიწვია ინსტიტუტში, სადაც დანიშნული ვიქენი და შემდგომ არჩეული ვიქენი ეკონომიკისა და მართვის (მენეჯმენტის) კათედრის გამგედ და ამავე სახელწოდების ფაკულტეტის დეკანადაც ამირჩიეს ასე, რომ სრულიად ახალ გარემოში უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ეკონომიკის ფაკკულტეტის სასწავლო გეგმის ახლებურ მსტილში შედგენა, კადრების მოძიება და ახალი ეკონომიკური სისტემის შესაბამისად მთელი სასწავლო პროცესის წარმართვა. ცხადია ამისათვის ადგილობრივი კადრები არ აღმოჩნდა საკმარისი. სამწუხაროდ სპეციალისტთა ნაწილი განთესილი იქნა აფხაზეთში საომარი მოქმედების შემდგომ პერიოდში, ნაწილი მათი დაიღუპა საომარი მოქმედებების დროს ნაწილი თბილისში დაბრუნდა და ა.შ. გამოსავალი ვიპოვეთ იმით, რომ თბილისიდან მოვიწვიეთ ცნობილი ეკონომისტები, რომლებიც მუშაობდნენ თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში. კერძოდ მოვიწვიეთ პროფესორები რეზო გოგოხია, მიხეილ ჯიბუტი და მათი დონის ადამიანები, რომელთა უმეტესობა სრულიად უანგაროდ ჩამოდიოდნენ და კითხულობდნენ ლექციებს ჩვენთან. ზოგიც მოვიწვიეთ საათობრივად ანაზღაურების წესით. მოვიძიეთ კადრები ადგილობრივი უმაღლესი სასწავლებლიდან, კერძოდ ქუთაისის წერეთლის სახელობის უნივერსიტეტიდან და პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან კერძოდ კოსტავა და სხვები.

ცხადია დავიწყეთ მუშაობა ჩვენივე ინსტიტუტის ფარგლებში მომუშავე კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ა.შ.

ცხადია ადვილი არ იყო სასწავლო პროცესის გაძლიერება სუსტი სასწავლო ბაზის დონეზე.

ამასობაში განათლების სამინისტრომ შემოიღო აკრედიტაციის პროცესი. ჩვენი ინსტიტუტი ცხადია არ აღმოჩნდა მზად ამ პროცესისათვის რის გამოც მოგვცეს გარკვეული დრო (ერთი წელი) და შედეგად ინსტიტუტში განხორციელდა კომპიუტერიზაცია და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების სამუშაოები. ერთი სიტყვით მეტ-ნაკლებად დავძლიეთ მძიმე ვითარება და ინსტიტუტი ნელ-ნელა ჩადგა მოწინავე ინსტიტუტების რიგში. ინსტიტუტის შიდა რესურსებისა და თბილისიდან მოწვეული მაღალი კვალიფიკაციის

მქონე სპეციალისტების მოწვევის მეშვეობით მივაღწიეთ სრულიად ახალი საგნების სწავლების შემოღებას.

განსაკუთრებით გაძლიერდა ფაკულტეტზე ისეთი საგნების სწავლება, როგორიცაა: ეკონომიკური ინფორმატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ.

ფაკულტეტზე გავაძლიერეთ ისეთი დისციპლინების სწავლება როგორიცაა: ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირება, ფერმერული მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია. ფაკულტეტზე ასევე საჭიროდ ჩავთვალეთ მათემატიკური საგნების გაძლიერება გაძლიერება და ა.შ.

ეკონომიკის ფაკულტეტზე სასწავლო გეგმაში შევიტანეთ გარდა თეორიული სწავლების კურსისა პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოები. გარდა ამისა სტუდენტები გადიოდნენ საწარმოო პრაქტიკას, როგორც იმერეთის რეგიონის ასევე, საქართველოს სუბტროპიკული ზონის რაიონებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში.

ყველა სტუდენტებისათვის სავალდებულო გავხადეთ სადიპლომო შრომების დამუშავება და დაცვა. გავახშირეთ კონფერენციების ჩატარება არა მხოლოდ ინსტიტუტში, არამედ ვაწყობდით ე.წ. გასვლით კონფერენციებს რეგიონებში.

ეკონომიკის კათედრა ფაქტიურად მთლიანად საბაზრო ეკონომიკის უფრო ღრმად ათვისებაში ჩაერთო პედაგოგებისათვის სავალდებულო გავხადეთ სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება და მეცნიერული შრომების შექმნა ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა ბაზრის ფუნქცია და როლი არა მხოლოდ ზოგადად არამედ სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით.

ახლებურად განიხილებოდა სახელმწიფოს როლი და ფუნქცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა და ფინანსური სისტემა, აგრარული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კოოპერირება აგრარულ სფეროში, მონოპოლიზაციისა და კონკურენციის გავლენა წარმოების განვითარებაზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო

საქმიანობა სოფლის მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის წარმოების ადაპტირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოფლის მეურნეობის წარმოების ეკოლოგიური და სოციალური დასაბუთება და ა.შ.

ყველა ჩამოთვლილი საკითხების შესწავლისა და დასაბუთების საკითხებზე პედაგოგებთან ერთად ჩაბმულნი იყვნენ სტუდენტები.

ცნობილია, რომ ნორმალური ეკონომიკური გარემოს გარეშე შეუძლებელია ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და საზოგადოების სოციალურ-ყოფითი პირობების გაუმჯობესება და სრულყოფა. თავის მხრივ ჯანსაღი ბუნებრივი გარემო განაპირობებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მამოძრავებელი ძალის - ადამიანის ჯანმრთელობას და ჰარმონიულ განვითარებას. საბოლოო ჯამში მიიღწევა შრომითი და ზოგადად ადამიანური რესურსების, წარმოების ბუნებრივი და სხვა მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სოციალურ გარემოზე.

ამრიგად, სამეურნეო გადაწყვეტილებების განხორციელების დროს ყოველი ქმედების შეფასება უნდა დაექვემდებაროს კომპლექსურ დასაბუთებას. ამ პროცესში უნდა აისახოს სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებლები.

ეკოლოგიურ სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემა აგებული უნდა იქნას არა მხოლოდ ფულადი ჯარიმების და საერთოდ ფინანსური სანქციების შემოღებით, არამედ უნდა დამკვიდრდეს საბაზრო ეკონომიკის სისტემისადმი დამახასიათებელი, სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ტექნიკური და სხვა აუცილებელი პირობების კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელშემწყობი, მწყობრი ერთიანი სისტემა.

ასეთი პირობები სოფლის მეურნეობაში შეიქმნება თვით სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის ექვივალენტური გაცვლითი ურთიერთობის დამყარების პირობებში. როგორც ცნობილია ზოგადად ბუნებრივ პირობებში, თავისთავად მყარდება საერთო წონასწორობა, ხოლო ადამიანის ჩარევის შედეგად აუცილებელია შეიქმნას

მატერიალური რესურსების გამოყენებისათვის ჯანსაღი გარემო.

საბაზრო ეკონომიკა თავის მხრივ მოითხოვს ჰარმონიული კვლავწარმოების და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებისათვის საჭირო პირობების შექმნას. სხვა შემთხვევაში თავს იჩენს ეკოლოგიური კრიზისის წარმოქმნის წინაპირობების წარმოქმნის პროცესი, რაც თავის მხრივ განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის განვითარებას, ბუნებრივი რესურსების მტაცებლურ გამოყენებას.

ცხადია ბუნებრივი გარემოს გაუარესების ნებისმიერი ფორმა უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

დღესდღეობით მსოფლიოს მაშტაბით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, ქიმიური სასუქების, დიახ, დიახ, ქიმიური სასუქებისა და სხვადასხვა სახის პესტიციდების, სხვა ქიმიური დანამატების გამოყენების მინიმუმამდე შემცირებას და საბოლოო ჯამში მათი გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდაზე უარის თქმას.

ცხადია, რომ ქიმიზაცია, როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ერთ-ერთი ფაქტორის მომენტალურად შემცირებას შესაძლოა უარყოფითი შედეგი მოჰყვეს პროდუქციის წარმოების მაშტაბების მკვეთრი შემცირების მიმართულებით. რომ არ მოხდეს პროდუქციის წარმოების ერთბაშად მკვეთრი შემცირება, ამისათვის საჭიროა განხორციელდეს ერთგვარი ჩანაცვლება ე.წ ბიოლოგიური მიწათმოქმედების დამკვიდრებით.

ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ მცირე დროში გარემოს დაცვის ხელშესახები გაუმჯობესება საკმაოდ რთულია, თუმცა ეკონომიკური რეგულირების მეშვეობით შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება. ასეთი სახის რეგულირების მექანიზმები ითვალისწინებს უპირველეს ყოვლისა მატერიალურ სტიმულირებას. ასეთი სტიმულირების მეთოდი არ გამორიცხავს გარემოს გაჭუჭყიანებისადმი ფულადი საჯარიმო სანქციების გამოყენებას. ამ გზით ამოღებული თანხები გამოიყენება

ბუნების დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნებისათვის შეღავათიანი კრედიტების სისტემის შემოღება და სხვა ფინანსური ბერკეტების გამოყენება ეფექტურ შედეგს იძლევა. ასევე მნიშვნელოვანია მიწის ნაყოფიერების მდგრადობისა და საერთოდ მიწთსარგებლობის კანონმდებლობის სრულყოფა და დაწესებული წარმატების დაცვისათვის სახელმწიფოებრივი ქმედითი სისტემის შემოღება. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე მიწების რეკულტივაციის ღონისძიებების განხორციელება.

აგროღონისძიებების მიზანმიმართული ეფექტიანობა თავის გამოხატულებას უნდა პოულობდეს მოსავლიანობაში, მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებაში და ასევე რაც მთავარია, ნიადაგის (მიწის) ნაყოფიერების დონეში. ამ ჯაჭვში - აგროღონისძიება, ნიადაგი - მოსავალი, არ უნდა ამოვარდეს ნიადაგი.

აგროღონისძიებების გამოყენება, არც თუ იშვიათად დაკავშირებულია ე.წ. ირიბ შედეგებთანაც, კერძოდ, იგი აისახება წყლის, ფლორის, ფაუნის და ჰაერის მდგომარეობაზე. ეს შედეგი არა იშვიათად ნეგატიურია და საბოლოო ჯამში გავლენას ახდენს ადამიანზე, ცხოველზე და საერთოდ ყველა ცოცხალ ორგანიზმზე სრულიად სამყაროზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოფლის მეურნეობისათვის და საყოველთაოდ ყველა დარგისათვის ბიზნესის ფორმირება და განვითარება უნდა წარიმართოს მრავალფაქტორული ანალიზისა და შესაბამისი კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებასა და პრაქტიკაში განხორციელების საფუძველზე.

მსოფლიოს მაშტაბის გლობალიზაციის პირობებშიც სოფლის მეურნეობისათვის, ასევე სხვა დარგებისათვის, ბიზნესის ფორმირება და განვითარება გულისხმობს სხვადასხვა ღონისძიებების ურთიერთ გაცვლასა და ურთიერთ შეღწევას. არც თუ იშვიათად ქვეყანაში შემოდის სხვადასხვა ქვეყნებიდან ახალი ჯიშები, შესაბამისად ახალი სათესლე მასალა, პირუტყვის ახალი ჯიშები და ა.შ.

ასეთ ვითარებაში საჭიროა ქვეყანაში არსებული ბუნებრივ-

ეკოლოგიური პირობების შესაბამისი დარგების, მცენარეებისა და ცხოველების შერჩევის ეფექტური ღონისძიებების შემუშავება, საცდელი საქმიანობის ფართო მაშტაბით გაშლის მაშტაბით მუშაობა. ცხადია არ უნდა გამოირიცხოს ის ფაქტი, რომ ხშირად ასეთ ვითარებაში მიმდინარეობს ცალკეული ქვეყნებიდან გარკვეული ზეწოლის ღონისძიებები. ცხადია ამ მოვლენის გამორიცხვა არ შეიძლება.

როდესაც საუბარია აგრარული სფეროს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანაზე და დარგების ადაპტირებაზე, საჭიროა აღნიშნული პრობლემა განხილული იქნას ქვეყნის მაშტაბით რეფორმების ერთდროულად ყველა დარგში და ყველა სფეროში რეფორმების აუცილებლობის პირობებში.

გათვალისწინებულია ისიც, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, უპირველესად ყოვლისა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები გამოირჩეოდა რიგი თავისებურებებით. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო ცალკეული ქვეყნების ბუნებრივ-ეკონომიკური, ისტორიული სოციალურ-ეკონომიკური პირობების, აგრეთვე ეროვნული ტრადიციების განსახვავებულობით.

მიუხედავად ასეთი „სიჭრელეებისა“ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები გამოირჩეოდა რიგი თავისებურებებით. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ცალკეული ქვეყნების ბუნებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-ისტორიული პირობების და ეროვნული ტრადიციების განსხვავებულობით, როგორც ეს ზემოთ ავღნიშნეთ, თუმცა ეს პროცესი ზოგადად, ძირითადად სამი მიმართულებით მიმდინარეობდა: ეს მიმართულებები იყო: 1. ეკონომიკური რეაბილიტაცია; ასევე 2. კერძო საკუთრების საყოველთაოდ დამკვიდრებისა და 3. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მიმართულებით.

ცხადია ეს პროცესი ყველა ქვეყანაში ერთნაირი მიდგომითა და მეთოდით არ უნდა განხორციელებულიყო. თუმცა ეს პრინციპი ყოველთვის როდის იყო დაცული.

ცნობილია, რომ რუსეთის ფედერაციამ თავისი ქვეყნის ეკონომიკური რეფორმა მონეტარული მოდელის პრინციპების შესაბამისად განხორციელება დაიწყო, ანუ დაიწყო ფინანსური სტაბილიზაცია, ფასების ლიბერალიზაციისა და საბიუჯეტო დეფიციტის შემცირებისა და შედარებით მკაცრი საკრედიტო სისტემის, სახელმწიფო ხარჯების შემცირებით და ა.შ. დაიწყო.

ამდაგვარი მიდგომა ანუ, შოკური თერაპიის გამოყენება არც თუ საკმარისად შედეგიანი აღმოჩნდა, იმ უბრალო მიზეზთა გამო, რომ საწყის ეტაპზე ჩვენს ქვეყანას არ გააჩნდა დამოუკიდებელი (ავტონომიური) მაკროეკონომიკა არც საკმარისი ფინანსები არ არსებობდა ქვეყანაში. და რაც მთავარია ეკონომიკური რეფორმა ჩვენში ნაკლებად შეეხო უშუალოდ წარმოების სფეროს. საწარმოებმა პრაქტიკულად მინიმუმამდე შეამცირეს პროდუქციის წარმოება და ამ მხრივ შემცირებული შემოსავლის გადაფარვა ფასების გაზრდით დაიწყეს ანუ ფასების ნებაზე მიშვებით დაიწყეს, რაც სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა.

ყველაზე მძიმე სურათი შეიქმნა იმ მხრივ, რომ გამოჩნდა ახალი კომერსანტების ფენა. ანუ ძირითადად ადამიანებმა ყიდვა-გაყიდვის ხარჯზე მიღებული მოგების წარმოებაზე იწყეს გადასვლა, მაშინ როცა წარმოება სისტემატიურად დაბლა ეცემოდა.

ყიდვა-გაყიდვაზე დამყარებული ბიზნესი ცხადია შესაძლებელია, თუმცა ქვეყნის მაშტაბით ამ გზით სვლა ქვეყნის ეკონომიკის ზრდას ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივი პერიოდისათვის.

ცნობილია ისიც, რომ იმ პერიოდში ეკონომიკური გარდაქმნის პროცესს უპირველესად ყოვლისა მეტ-ნაკლებად განაპირობებდა 1992 წელს ჩატარებული მიწის რეფორმა, როცა განხორციელდა ე.წ. საკარმიდამო მიწების შევსების გზით გადიდება.

ამ გზით წასვლაზე ხელისუფლებას კარნახობდა ის მდგომარეობა, რომ საკარმიდამო მიწების ფართობის ერთეულზე მიღებული მოსავალი 4-5 ჯერ აღემატებოდა საზოგადოებრივ საწარმოებში მიღებულ აღნიშნულ მაჩვენებელს.

მიუხედავად გარკვეული შედეგებისა, მიწის რეფორმაც წარუმატებელი აღმოჩნდა როგორც სუბიექტური ისე ობიექტური მიზეზების გამო.

კერძოდ, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო მიწების სრული პასპორტიზაცია, ზუსტი აღრიცხვა. ასევე არ იყო დადგენილი მიწის ფასი, დიფერენცირებული მიწის ნაყოფიერებისა, რელიეფისა და სხვა მახასიათებლების შესაბამისად.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ქვეყანაში არსებული განუკითხაობის ფონზე მატერიალური წარმოების დარგების ნგრევამ გამოიწვია ბიზნესის დამკვიდრება არა წარმოების სფეროში, არამედ ყიდვა-გაყიდვის, ანუ ვაჭრობის სფეროში. შესაბამისად ფართო გასაქანი მიეცა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას. სახელმწიფო ბიუროკრატიამ ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი მთელ ქვეყანაში.

პრივატიზაციის პროცესი ძირითადად წარიმართა ზოგიერთი სახელმწიფო მოხელეების სასარგებლოდ მათი ქვეყანაში დაკავებული თანამდებობრივი დონეების შესაბამისად.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროისათვის მიუღებელი იყო მიწების გაყიდვა საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამოც, რამაც განაპირობა ჩვენი ქვეყნის მიწების გასხვისება სხვა ქვეყნების მოქალაქეებზე.

თუმცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების იმ ნაწილმა რომლებიც ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს წარმოადგენდა, მათმა გარკვეულმა ნაწილმა ე.წ. სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) ხელში ჩაიგდო მიწების გარკვეული ნაწილი, მათ შორის ვენახებისა და სხვა მრავალწლიანი ნარგავების სახით.

და რაც მთავარია, ზოგიერთმა ჩინოვნიკებმა ხელში ჩაიგდეს მუქთად არა მხოლოდ მიწისა და პლანტაციების გარკვეული ნაწილი არამედ, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოწყობილობებისა, სასაწყობო მეურნეობებისა და სხვა დაზგა-დანადგარების ნაწილი, რომელიც როგორც იტყვიან „ჩალის ფასად“ იქნა გატანილი ჯართის სახით სხვა ქვეყნებში მათ, შორის უმეტესი ნაწილი გატანილი იქნა თურქეთში, როგორც ტერიტორიულად ახლოს მყოფ ე.წ. კაპიტალისტურ ქვეყანაში.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ისიც, რომ ეკონომიკის რეგულირების პროცესი, განსაკუთრებით გარდამავალ პერიდოში არ შეიძლება სრულად მივანდოთ ბაზარს, რადგან ამ ვითარებაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჩავარდნებს საბაზრო ეკონომიკური კონკურენციის პირობებში. ანუ საჭირო იყო დროებით შენარჩუნებული ყოფილიყო სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობები თუნდაც მოკლე დროით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უაღრესად სრულყოფილი უნდა იყოს აღრიცხვა - ანგარიშგების სისტემა ქვეყნის მაშტაბით, ასევე სტატისტიკური და ბუღალტრული აღრიცხვა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიოში აპრობირებულ სტანდარტებსა და ერთიანი აღრიცხვის სისტემას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სტატისტიკური აღრიცხვა უნდა მოიცავდეს როგორც საწარმო სფეროს ასევე სოციალურ სფეროს და მთელ ინფრასტრუქტურას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარების ტენდენციების დადგენა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მარკეტინგისა და სოციალური კონიუნქტურის განსაზღვრას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია აუდიტის-ფირმის საფინანსო ეკონომიკური მონიტორინგის განხორციელება.

აუდიტორული სამსახურები ხელს უწყობს სწორი ანალიზისა და აღრიცხვის სიზუსტის უზრუნველყოფას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუდიტორული სამსახური მიჩნეულია სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმად.

ასეთია მკვეთრად შემოკლებულად იმ საკითხების ჩამონათვალი, რომელიც ჩვენი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და მოწვეული გამოცდილი კადრების მეშვეობით ხორციელდებოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტის

(შემდგომში) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის (მენეჯმენტის) ფაკულტეტზე.

ზემოთ ჩამოთვლილ და ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, ეკონომიკისა და მართვის ფაკკულტეტზე მიმდინარეობდა ლექციების კითხვა და პრაქტიკულ-სემინარული სამუშაოების ჩატარება. ახალ საბაზრო ეკონომიკის სისტემისათვის დამახასიათებელ საკითხებზე მთელი სასწავლო პროგრამის გადართვა ცხადია, იოლი საქმე არ იყო, შესაბამისად პედაგოგიური კოლექტივი მთლიანად გადაეწყო ამ მიმართულებით. შედგენილი იქნა ახალი სასწავლო გეგმები და ა.შ.

ვფიქრობ მთავარი ისიც იყო, რომ ჩვენი პედაგოგიური კოლექტივი ჩართული იყო იმერეთის ზონის საწარმოების ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის მიზნით კონსულტაციების ჩატარებაში. ხშირად ეწყობოდა ჩვენი შეხვედრები იმერეთის რეგიონის და წყალტუბოს საწარმოებში ახალი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრების მიმართულებით.

იმერეთის გუბერნატორმა თეიმურაზ შაშიაშვილმა თავის კაბინეტთან შექმნა სპეციალური ჯგუფი იმერეთის რეგიონში ახალი ეკონომიკური სისტემის წარმატებული ფუნქციონირების მიზნით. ამ ჯგუფში ვიყავით ჩართული სუბტროპიკული ინსტიტუტის ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის წამყვანი სპეციალისტები. ვატარებდით კონფერენციებს ეკონომიკურ პრობლემებზე სადაც ვიწვევდით კვალიფიციურ კადრებს თბილისიდან.

ასევე ვატარებდით გასვლით მეცადინეობებს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და უშუალოდ ვმუშაობდით ახლად ჩამოყალიბებულ ფერმერული ტიპის მეურნეობებში.

VII. აფხაზეთში საქმიანობის თაობაზე (მხოლოდ ზოგი რამ)

ჩემი შეგნებული ცხოვრების ძირითადი ნაწილი აფხაზეთში გავატარე. 9-10 წლის ასაკიდან დაწყებული დავამთავრე 7 კლასი და სწავლა გავაგრძელე სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში, რომელიც დავამთავრე წარჩინებით. ეს ის პერიოდია როცა მეორე მსოფლიო ომი ის-ის იყო დამთავრდა და 1965-1967 წლებში სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმში სწავლის პერიოდი საკმაოდ მძიმე გახლდათ, თუნდაც იმის გამო, რომ არ არსებობდა სატრანსპორტო საშუალებები, სოფლად და ქალაქად გამეფებული იყო სირარიბე. სოფელი ცაგერა ის-ის იყო ფეხს იდგამდა. განახლდა სოფლის მშენებლობა 250-მდე სახლის (ე.წ. ბერიას სახლები) მშენებლობა თითქმის დასრულდა. ყველა ოჯახი ცდილობდა მეტ-ნაკლებად მოეწესრიგებინა თავისი კარმიდამო. ვენახებმა უკვე დაიწყო ყურძნის შემოსავლის მიღება. ყველა ოჯახში მრავლად გააშენეს ხეხილი. რაც მთავარია დაიწყო ციტრუსების პლანტაციების, ჩაისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილი ბაღების მშენებლობა არა მხოლოდ საკარმიდამო მეურნეობებში, არამედ საკოლმეურნეო მიწის ფართობებზე.

ახალგაზრდობა აქტიურად ჩაება სოფლის აღმშენებლობის საქმეში. იმ დროისათვის, როგორც წესი მოქმედებდა საკმაოდ მკაცრი კანონები, რომელიც მოსახლეობას აიძულებდა საკოლმეურნეო საქმიანობაში მასიურად ჩაბმას.

მახსოვს ისიც, რომ მოსახლეობისათვის არ იყო ნებადართული რაიონის (ოჩამჩირის) ფარგლებშიაც კი სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა. როგორც წესი ოჩამჩირის საკოლმეურნეო ბაზარზე, უფრო სწორად კოლმეურნეობის თავმჯდომარის წერილობითი ნებართვის გარეშე არავის შეეძლო ბაზარზე გასვლა. ნებართვას კი, როგორც წესი არავინ იძლეოდა.

დიქტატორული რეჟიმი მეტ-ნაკლებად გარკვეულ შედეგს იძლეოდა, თუმცა სამუშაოთა შესრულების ხარისხი მეტად დაბალი იყო და შედეგად

საკოლმეურნეო ნათეს-ნარგავების მოსავლიანობა თითქმის 4-5 ჯერ დაბალი იყო საკარმიდამო მიწებზე მიღებულ მოსავლიანობასთან შედარებით. გლეხობა მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, ახერხებდა თავისი კარმიდამოს კეთილმოწყობას.

მასიურად დაიწყეს ახალმოსახლეობამ ოჯახებში ფრინველისა და, როგორც წვრილფეხა ასევე მსხვილფეხა პირუტყვის მომრავლება.

ასე და ამგვარად მასიურად დაიწყო ადგილობრივი ექსტენსიური მიწათმოქმედების ინტენსიურ გზაზე გადასვლა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასაწყისში კოლმეურნე გლეხობას საკარმიდამო ფართობები გამოუყვეს მხოლოდ 0,25ჰა თითოეულ კომლს. როგორც ჩანს ახალმოსახლეთა მიმართ გამოყენებული იქნა იმ დროისათვის არსებული საკმაოდ მკაცრი კანონი მიწათსარგებლობის შესახებ, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ახალ დასახლებულ კომლს, როგორც წესი მხოლოდ 0,25ჰა საკარმიდამო უნდა მიეღო მხოლოდ. აღნიშნული კანონის დამრღვევი სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც კი ისჯებოდა. კოლმეურნეების ოჯახები, რომელთაც შვილები წამოეზარდათ ცდილობდნენ გაყოფილიყვნენ და ამ გზით მიეღოთ დამატებითი მიწის ნაკვეთი თუმცა, ამ მხრივაც ცდილობდა კოლმეურნეობა, შეეზღუდათ ან შეეკავებინათ ეს პროცესი. არც თუ იშვიათად სოფლის საჭო თავისი დადგენილებით გაყოფილად აფორმებდა მრავალშვილიან ოჯახებს, თუმცა კოლმეურნეობის გამგეობა მაინც და მაინც დიდი ენთუზიაზმით არ ცდილობდა გაყოფილ ოჯახებზე დამატებითი მიწის ნაკვეთის გამოყოფას. ერთი სიტყვით იქმნებოდა გარკვეული დაძაბულობა ამ მიმართულებითაც.

მახსოვს, მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო როცა სოფელ ცაგერას ესტუმრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი. იგი წარმოშობით ლეჩხუმელი გახლდათ და ცაგერაში ჩამოსახლებულ გლეხობას როცა ესტუმრა ძალიან გაუკვირდა როცა გაიგო, რომ ამ პატარა ქალაქური ტიპის სოფელში გლეხობა მიჯრით ცხოვრობდნენ და მხოლოდ 0,25 ჰექტარში იყვნენ „ჩამჯდარნი“.

მთელი სოფლის მოსახლეობა, როგორც იტყვიან „დიდი და პატარა“ შეგროვდა სოფლის შუაგულში ე.წ. „ევკალიპტებში“ , ასე ეძახდნენ ცენტრალურ ადგილს, სადაც ის-ის იყო ევკალიიპტის ახალ წამოზრდილი ნარგავები იყო.

მახსოვს ისიც, რომ მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მასობრივად ტარდებოდა ჭაობების ამოშრობა და ამ ღონისძიების ერთ-ერთი ნაწილი იყო ევკალიპტის მასიური გაშენება. ევკალიპტი წყლის მოყვარული მცენარეა და გარდა იმისა, რომ იგი წყლის ამოშრობის და გარემოს გაჯანსაღების ერთ-ერთი კარგი საშუალება იყო. ევკალიპტს, როგორც ფიტონციდურ მცენარეს კოღოებისა და სხვა მიკროორგანიზმების ზრდის შემაფერხებელი თვისება გააჩნდა.

ევკალიპტის მასობრივად გაშენების ინიციატორი მაშნ სწორედ ლავრენტი ბერია გახლდათ. მთელი აფხაზეთის მაშტაბით მაგისტრალური გზების გასწვრივ, ასევე ქალაქებსა და სოფლებში ევკალიპტის გაშენებას სახელმწიფოებრივ საქმიანობად მიიჩნევდნენ იმ დროისათვის.

მივუბრუნდეთ კვლავ ცაგერას საკითხს ცკ-ას მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა დავალება მისცა აფხაზეთის ხელმძღვანელობას რათა ახლად ჩასახლებული სოფლებისათვის, მათ შორის ცაგერას მოსახლეობისათვის დამატებით გამოეყოთ მიწის ნაკვეთები საკარმიდამო მეურნეობებისათვის 0,25 ჰა ანუ თითოეულ კომლს განუსაზღვრეს 0,5 ჰა მიწის ფართობი.

როდესაც ახლად ჩასახლებულ მოსახლეობაზე ვსაუბრობთ, ცხადია ბუნებრივად ჩნდება გარკვეული წინააღმდეგობა ადგილობრივ და ახლად ჩასახლებულთა შორის. ბუნებრივია როცა ერთი კომლია და იგი თავისუფლად გრძნობს თავს ანუ იმდენს ფლობს მიწის ნაკვეთს რამდენიც სურს (დიახ, ფლობს თუმცა არ ამუშავებს მას, არამედ მხოლოდ ფლობს და როგორც იტყვიან „ჩიტსაც“ არ შეუძლია იქ თავისუფლად იფრინოს „ჰაი-ჰაი“ გასძახებს „ფეოდალი“, რომელსაც საკმაოდ ვრცელი სამფლობელო გააჩნია და ბუნებრივ-კლიმატური ხელსაყრელი პირობების წყალობით საკმაოდ მიუწვდება ხელი ტყის

ნობათზე და რაღა საჭიროა, რომ „წელი“ გაიწყვიტოს მოსავლის მოვლა-მოყვანისათვის). დიახ, ასე ყალიბდება „თავისუფალი შრომის მოყვარეობა“ და არა შრომის მოყვარეობა საერთოდ.

მიწას და შრომას დანატრებული, ეხლახან მთის მკაცრი ბუნების პირობებში ნამყოფი ადამიანები, დახარბებულად შეესიენ ამ ბუნებრივი ნაყოფიერებით მდიდარ მიწებს და მართალია არანაირი ტექნიკა არ არსებობდა იმ დროს, მაგრამ ბარისა და თოხის იმედად გლეხობა საკმაოდ წარმატებულად გრძნობდა თავს.

ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფომაც ახალი მიწების ათვისებისათვის მანქანა-ტრაქტორების სადგურები შექმნა და უკვე ამჯერად მასობრივად დაიწყო ტყე-ბუჩქნარებისა და ჭაობების მასიურად ათვისება მთელი აფხაზეთის მაშტაბით.

სრულიად ბუნებრივია ადგილობრივი მოსახლეობა შეაშფოთა ამ ვითარებამ და თანდათან გაჩნდა უკმაყოფილების საბაბი ადგილობრივ მოსახლეობაში. ეს პროცესი ცაგერას მაგალითზე თუ განვიხილავთ, ცხადია გაჩნდა გარკვეული წინააღმდეგობები. ამ სოფლის მოსახლეობის საკარმიდამო მიწების დამატება 0,25 ჰექტარიდან 0,5 ჰექტარამდე თავად სოფლის შიგნით ტერიტორიაზე შეუძლებელი აღმოჩნდა, ამდენად საჭირო გახდა ახალი ფართობების მოძიება. ცხადია საკარმიდამო მიწების გადიდებასთან ერთად მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა ახლად ჩამოყალიბებული კოლმეურნეობისათვის დამატებით გამოეყოთ მიწის ნაკვეთი. ცაგერას კოლმეურნეობას ნაწილი მიწებისა გადაეცა „ცხენისწყლისა“ და „ტამიშის“ მიწის ტერიტორიიდან. დიახ, ყველაფერი კოლმეურნეობას გადმოეცა.

ცხადია ცაგერას მოსახლეობამ თავისი ძალებით აითვისა მიწის ფართობები შავი ზღვისპირა ზოლში ე.წ. „ბრონის ყანების“ სახით, რომელიც ომის პერიოდში გამოყოფილი იქნა მთავრობის მიერ, სადაც ათვისების პროცესს ახორციელებდა ცაგერას მოსახლეობის ის ნაწილი (მამაკაცები) , რომელნიც 50 წლის ასაკს გადაცილებულნი იყვნენ, რომლებიც მოსავლის ნაწილს გამოსაკვებადაც იყენებდნენ.

ცაგერას შემდგომ ეტაპზე გადაეცა მიწის ფართობები მეზობლად

არსებული ტუნგოს მეურნეობის ტერიტორიის ნაწილი. ასე, რომ ცაგერამ ტყე-ბუჩქნარების ათვისებასთან ერთად მიწის ნაწილი მიიღო მთავრობის გადაწყვეტილებით სადაც, ვაზის, ციტრუსებისა და ჩაის პლანტაციების მასობრივად გაშენება განხორციელდა.

სწორედ ამ პერიოდში - 1947 წელს მე უკვე დავამთავრე სოხუმის სუბტროპიკული ტექნიკუმი წარჩინებით და იმდროინდელი სასწავლო სისტემის პირობებში სავალდებულოდ ითვლებოდა წარჩინებით კურსდამთავრებულს სწავლა უნდა გაეგრძელებინა შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში.

მოხდა ისე, რომ ტექნიკუმში გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდები აგვისტოს ბოლომდე გრძელდებოდა რის გამო, ორგანიზაციულად ვერ მოესწრო ჩემს მიერ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ქ. თბილისში. ამიტომ ტექნიკუმის დირექციამ მე მიმავლინა ჩემს სოფელში (ცაგერაში) მთავარი აგრონომის თანამდებობაზე. ორი კვირის შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლმეურნეობის საერთო კრებაზე წარადგინა ჩემი კანდიდატურა კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. ასე, რომ მე უკვე ჯერ კიდევ 17-18 წლის ასაკში იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდურ თანამდებობაზე ვმუშაობდი.

გავიხსენებ ზოგიერთ მომენტს, რომელიც ჩემი აზრით გამოადგება ახალ დამწყებ სპეციალისტებს მუშაობაში.

ცხადია გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ იმ დროს როცა მე, როგორც სპეციალისტმა (საშუალო სპეციალური განათლების რანგში) მუშაობა დავიწყე ისეთ გარემოში, როცა არსებული ვითარების შესაბამისად თითქმის ყველა პრობლემური საკითხების დროს გადაწყვეტილებას, ასე ვთქვათ „ზემოთ“ ღებულობდნენ და საჭირო იყო ზემოდან მომდინარე, ვთქვათ ასე, დირექტიული წესით ვღებულობდით და ცხადია მთავარი იყო ამ დირექტივის სრულად და, ასე ვთქვათ, ხარისხიანად შესრულება. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ თანდათანობით ფეხს იკიდებდა ე.წ. რაოდენობრივი მაჩვენებლები: ვთქვათ რამდენი დავთესეთ, რამდენი დავაგროვეთ და ა.შ. ამ ვითარებაში

პრიორიტეტული ხდებოდა რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულება და ნაკლებად საყურადღებო ხდება ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ასეთი მიდგომა, როგორც უკვე ავღნიშნეთ თავს იჩენდა შედეგობრივ მაჩვენებლებში. იმ დროს არც თუ ისე იშვიათი იყო ე.წ. მიწერები და ფაქტების ანუ მაჩვენებლების შეფასების დროს მანიპულირება - მე როგორც ახლად „გამოჩეკილი“ წარჩინებული სპეციალისტი საკმაოდ „მკაცრად“ ვუდგებოდი თუნდაც იმ საკითხების შეფასებას, რომელიც ასე თუ ისე, ჩემს კომპეტენციაში შედიოდა. ასეთი, ვთქვათ ახლებური ანუ, სამართლიანი მიდგომა საქმეში არც ისე იოლი გამოდგა.

მინდა ისიც გავიხსენო, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელთანაც მე მუშაობის დაწყება მომიხდა საკმაოდ თავისუფლებას მანიჭებდა ჩემი სპეციალობის მიხედვით მოქმედებაში ანუ არ მზღუდავდა ჩემი მოვალეობის შესრულებაში. მე ნამდვილად კეთილად მახსენდება კოლმეურნეობის მაშინდელი თავმჯდომარე ვლადიმერ მეშველიანი, რომელიც ცნობილი იყო საკმაოდ მკაცრ, მეტად მომთხოვნ ადმინისტრატორად იგი ე.წ. კლასიკურ განათლებას მოკლებული იყო, თუმცა კარგი პრაქტიკული - სამეურნეოს გამოცდილებით გარკვეულ წარმატებებს აღწევდა.

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვი, რომ პირველი სამეურნეო-პრაქტიკა მე ამ პერიოდში მივიღე და შემდგომშიაც ამ გამოცდილებით ბევრ წარმატებასაც ვაღწევდი.

გავიხსენებ ასეთ მომენტს 1950-იან წლებში და შემდგომშიაც გავრცელებული იყო ე.წ. „სტახანოვური“ მეთოდი. კერძოდ სასოფლო-სამეურნეო კულტურები გამოეყოფოდა საკოლმეურნეო „სტახანოვური“ ნაკვეთის სახით და აღნიშნულ ნაკვეთზე განესაზღვრებოდა მოსავლიანობის და მოსავლის მიღების ე.წ. გეგმა, რომლის შესაბამისად, უფრო სწორედ დაგეგმილი მოსავლის გადაჭარბების შესაბამისად განსაზღვრული იყო შრომის ანაზღაურება. არა მხოლოდ მატერიალური წახალისება, არამედ, ასე ვთქვათ მორალური წახალისება: ვთქვათ კომუნისტური პარტიის რიგებში ან კიდევ ახალგაზრდების კომკავშირში მიღება, დეპუტატად არჩევა ადგილობრივ არჩევნებში და ა.შ.

ერთ-ერთ კოლმეურნე გლეხს (გვარ-სახელის ხსენებას საერთოდ ვერიდები ეს ერთის მხრივ განზოგადოებასაც გულისხმობს მოვლენებისა). დიახ, 0,25 ჰა მსხმოიარე ცოლიკაურის ვენახი ჰქონდა გაპიროვნებული (ასეთი ტერმინიც იყო მაშინ).

ის იყო ვაზის გასხვლის პერიოდი იყო სწორედ ე.წ. სტახანოვურ ნაკვეთს მივადექი და გასხვლის პროცესის შემოწმება მსურდა. როგორც კი გასხლული მწკრივი შევათვალიერე, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ვაზის სანაყოფე ტოტი საკმაოდ გრძლად მომეჩვენა და გადავთვალე კვირტების რაოდენობა. სამამულე ტოტი კი ნორმალურია 2-3 კვირტზეა დაყენებული. ამ დროს მეორე მწკრივის ბოლოს მდგომმა „სტახანოველმა“ ჩემსკენ გამოოიხედა და სასხლავი მაკრატლით ხელი მაღლა ასწია და მომაძახა: აბა აქეთ გამოიარე. წარჩინებული სპეციალისტის რჩევა ნამდვილად დროული იქნება-თქვა. არ იყო ცუდი პიროვნება, იგი საკმაოდ გამოცდილი მევენახე გახლდათ. თუმცა უფრო დღევანდელობით - მეტი მოსავლის მიღებით იყო განწყობილი, ხოლო ვაზისადმი მიდგომა - მომეჩვენა, რომ უფრო მომხმარებლური იყო და შემდგომ წლებში, სტრატეგიულად როგორ განვითარდებოდა ვაზი ეს ასაკოვან მევენახეს ნაკლებად აინტერესებდა.

ერთი სიტყვით, როგორც ახლოს მივედი მასთან ახალი გასასხლავი რიგი კი არ ავირჩიე, არამედ გასხლულ მწკრივს მივყევი და საკმაოდ ზრდილობიანად თითოეულ სანაყოფე ტოტს 2-3 კვირტით შემცირება დავუწყე. ცოტა თავდახრილად ბატონმა ნ-მ თვქა: აი ეს ნამდვილად გრიგოლ ხეცურიანის შვილი დავინახეო. ცოტა ამოიხვნეშა და ეხლანდელი სპეციალისტები თეორიულად თუ იცნობენ საკითხებს, პრაქტიკულად კი ბევრი არაფერი იციანო-თქვა.

დიახ, მამაჩემს განსაკუთრებულად მოვლილი ვაზი ჰქონდა თავის კარმიდამოში და მე სწორედ იქ მივიღე გამოცდილება.

მამაჩემიც საკმაოდ დიდ დატვირთვას აძლევდა ვაზს. სამაგიეროდ ნაკელით უზრუნველყოფდა ბლომად.

აქ კი, საკოლმეურნეო ნაკვეთში ვაზის „დატვირთვა“ მოგეცათ წყალობა - უყვარდათ მაგრამ „საკვების“ ბლომად მიწოდებაზე თავს

არ იწუხებდნენ. შედეგიც სახეზე იყო ვაზი კნინდებობდა და მალე იფიტებოდა, „ჩაჩანაკდებოდა“.

მახსოვს კიდევ ერთი რამ:

ჩაის პლანტაციების გაშენებას მიჰყო ხელი კოლმეურნეობამ. დავალება იყო ზემოდან ასეთი. მეც ამ საქმეში მომიწია ჩართვა. ყველაზე რთულად პლანტაციის დაგეგმვა - მწკრივთა შორისების განსაზღვრა, მწკრივის სიგრძე და გზების, ქარსაფარების და ა.შ. დაგეგმარება იყო საჭირო. სუბტროპიკულ ტექნიკუმში ვისწავლეთ ეს საკითხები, თუმცა პრაქტიკულად არც თუ ისე იოლი მიდგომა იყო. მწკრივი არ უნდა გაიქცეს, არც გაიშალოს და არც შევიწროვდეს და ა.შ.

ცოტა ფრთხილად შევუდექი ამ საქმეს, მაგრამ რაც მთავარია გამოცდილ ბრიგადირს კლიმენტი ნემსიწვერიძეს დავეყრდენი მუშაობაში, მას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა ვითომ მე ვასწავლიდი, მე კი პირიქით მისგან ვისწავლე. იგი პრაქტიკულად გეგმავდა მე კი ცოტა თეორია შევიტანე ამ საქმეში, როცა მართკუთხა სამკუთხედი ავაგე, როგორც ტექნიკუმში ვისწავლეთ და აი, რას ნიშნავს სპეციალისტი - თქვა გამოცდილმა ბეიგადირმა და მორჩა, მე უკვე მოვიპოვე აღიარება.

დიახ, თეორია პრაქტიკის გარეშე არ ვარგა პირიქითაც ნაკლებშედეგიანია საქმე. ასე, რომ იმ წელს 35 ჰა ჩაის პლანტაცია გავაშენეთ.

ერთი წელი მალე გავიდა.

ერთ დღეს კომეურნეობის თავმჯდომარემ მასთან მიმიხმო და მეუბნება: შენ ბიძი (ასეთი მიმართვა იცოდა) - შენ რა სწავლის გაგრძელება გინდა? - მეკითხება. თანაც დასძინა შენ უკვე კარგი სპეციალისტი ხარ, იყავი ჩვენთან. თანაც მითხრა, რომ რაიკომში გეძახიან და კარგად დაფიქრდიო - დასძინა.

გვილავა გახლდათ ოჩამჩირის რაიკომის მდივანი. რაიკომის მდივანს კაბინეტში ვეებერთელა მსოფლიოს რუკა ჰქონდა გაკრული. გეოგრაფიის მასწავლებელივით რომელიღაც ქვეყანა დამისახელა და შემოხაზეო საზღვრები მითხრა. არ მინდა ვიტრაბახო, გეოგრაფია ჩემი საყვარელი საგანი იყო და ცხადია გავაკვირვე მდივანი და მან კაბინეტში

მჯდომ საორგანიზაციო განყოფილების უფროსს ბატონ გრიშას (გვარი არ მახსოვს) დაავალა. ამ ახალგაზრდას რაიკომის ლიმიტიდან თბილისამდე მატარებლის ბილეთი აუღე და გააცილე თბილისში. თუმცა თვალი მიადევნე უკან არ დაბრუნდესო. არ მინდოდა მართლაც სწავლის გაგრძელება უჭირდა მამაჩემს, მეუღლე მძიმე ავადმყოფი ჰყავდა. დედაჩემი საქმიანი ქალი იყო და ოჯახს დედაბოძივით ედგა. სამწუხაროდ იგი პირველ კურსზე, რომ ვსწავლობდი ისე გარდაიცვალა. სწავლა მივატოვე, მაგრამ დეკანმა - კოლია ლაჭყეპიანმა თბილისიდან 3 სტუდენტი მოავლინა ჩემთან და მაინც წამიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად. წარჩინებით დავამთავრე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი.

მინდა გავიხსენო ის მომენტი, როცა პირველად მოვხვდი თბილისში მისაღებ გამოცდებზე საბუთების შეტანის დროს ცაგერას სოფლის სკოლის მასწავლებელი შემხვდა და მკითხა სად მიდიხარო მასწავლებელმა - ლადო სილაგაძემ. მან ჯიბეზე ხელი „გაიკრა“ და ფული არ აღმოაჩნდა, მაგრამ მითხრა ერთ მანეთს მაინც ჩაგიგდებდი ჯიბეშიო, თუმცა არაფერი აღმოაჩნდა. ეს ფაქტი დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ამით იმის თქმა მინდა, რომ მთავარია სიკეთის კეთების სურვილი გააჩნდეს ადამიანს - ეს არის მთავარი დადებითი თვისება.

ინსტიტუტში სწავლის პერიოდში უაღრესად აქტიური ვიყავი არა მხოლოდ სწავლის მხრივ არამედ სპორტისა და სხვა მიმართულებით. სამხედრო გაკვეთილების დროს და ა.შ.

ყველაზე პატარა ვიყავი თითქმის მთელ ჯგუფში და ინსტიტუტშიაც კი მაგრამ, არავის ვუდებდი ტოლს არაფერში.

მახსოვს სალექციო დარბაზში ლექციების დროს ინსტიტუტის რექტორი სარიშვილი შემოვიდა რაღაც შფოთიანად გურული კაცი ხომ თავისებურად მკვირცხლია. მას ჩვენი საყვარელი დეკანი, წარმოშობით იმერელი კოლია ლაჭყეპიანი მოყვებოდა. რექტორმა პროფესორს მიმართა ხეცურიანი სად არის თვალი მოავლო მთელ დარბაზს. მე ამ დროს სულ წინა მაგიდაზე ვიყავი და რაღაცას ვინიშნავდი რვეულში. დეკანმა ანიშნა აი აქ არის ჩვენი მოჭიდავე სტუდენტიო - უთხრა.

ამ დროს მე არასოდეს მიჭიდავებია და წამოვდექი სხარტად, მაგრამ გონს ვერ მოვედი რა ჭიდაობაზეა საუბარი. ისე კი მახსოვს სოფელში პირუტყვს ვმწყემსავდით ბავშვები და ვეჭიდავებოდით ბავშვურად. ჩემი გვარის „მობიძაშვილე“ ბიჭი ასაკითაც და ფიზიკურადაც ჩემზე დიდი იყო და როგორც კი დამეჭიდა, ქვეშ მომიქცია და ტრაბახიც დაიწყო, აბა რა გეგონა, რომ დამეჭიდეო - მითხრა. მე ამ დროს წაქცეულმა ქვემოდან ყურზე ვუკბინე და მანაც ღრიალი მორთო. ამ დროს საიდან სადაო და მამამისი (მირო ხეცურიანი) მოვარდა ჩვენთან და გრძელი სახრე გადაარტყა ზურგზე მის შვილს. შე გლახაკო ამ ციცქნა ბალღმა როგორ აგატირაო - უყვირა.

ანუ ეს ეპიზოდი გამახსენდა და გავყვი დეკანსა და რექტორს.

როგორც გავედით კორიდორში მაშინ, ხელი დამადო მხარზე რექტორმა და მეუბნება არ შეგეშინდეს თუ წაგაქცევს მოწინააღმდეგე მთავარია შენი მონაწილეობა რადგან, შენი წონის 50 კილოგრამიანი სხვა არავინ გვყავს ინსტიტუტში და გუნდს არ უშვებენ მონაწილეობის მისაღებადო. თურმე აზერბაიჯანის სტუდენტები ყოფილან ჩამოსულნი შეჯიბრებაზე.

როგორც კი საჭიდაო ფორმით (გზადაგზა ჩამაცვეს) გავედი ხალიჩაზე პატარა ბიჭი, შავგრემანი მეგონა რკინის მკლავები ჰქონდა ხელი რომ მოვკიდე. ისღა მოვასწარი მეთქვა, რომ მე ჭიდაობა არ ვიცი და არაფერი მომტეხო მეთქი და ის იყო გულაღმა ვარ გართხმული ხალიჩაზე და მთელი დარბაზი ტაშის გრიალით დაინგრა, ლამის ჭერი ჩამოიშალა, სიცილ-ხარხარი და ერთი „ვაი-უშველებელი“ იყო.

ეს ეპიზოდი იმიტომ გავისხენე, რომ ადამიანი ყველა სიტუაციაში უშიშრად უნდა მოქმედებდეს, აქტიური უნდა იყოს და არა მშიშარა და ლაჩარი.

კიდევ ერთ მაგალითს გავიხსენებ ჩემი „ვაჟკაცობის“ თაობაზე.

ზარი დაირეკა და სტუდენტები აუდიტორიისკენ გავრბივართ და კართან, რომ მივედი შიგნით ერთი ხარხარი იყო და გოგო-ბიჭები ყირაზე გადადიოდნენ. თურმე კარის უკან უჩინრად ერთ-ერთი „მუტრუკი“ სტუდენტი რაჭველი მაისურაძე იდგა და მოულოდნელად სტუდენტებს

ფეხს უდებდა და ყირაზე გადადიოდა ყველა მათგანი.

მე ამ დროს „არც ვაციე და არც ვაცხელე“ და მოულოდნელად ცვირპირში სილა გავარტყი აბეზარ მაისურაძეს. იმ წამსვე მას სისხლი წასკდა ცხვირიდან და ის იყო ამ დროს პროფესორმა იკითხა რა ხდება, ვინ დაარტყა ამ ბიჭსო? - მიანიშნა მაისურაძეზე. ერთმა „დაზარალებულმა“ გოგონამ (მდივანი იყო გვარად) ხეცურიანმა დაარტყა ხელი პატივცემულო - მიუყრანტალა ლექტორს. ვაიმე, გამაგდებს ახლა ლექციიდანთქო ვიფიქრე, ხელი რომ მომკიდა ლექტორმა მკლავში.

აუდიტორიის შუა ადგილზე დამაყენა და მიუბრუნდა მაისურაძეს - ფუი, შენ ტყუილად ყოფილხარ ფუყე ხე - ამ პატარა ბიჭმა რომ გაგისილავა სახეზე, წადი, ეხლავე საექიმო პუნქტში და სახე ჩამოიბანეო - დაუყვირა.

მე კი მართლაც შემეშინდა, რომ მობრუნდება მცემს მეთქი ის ბიჭი და შესვენების დროს ჩემს გვერდით სვანის ბიჭი - სტუდენტი ჯოკია მეშველიანი დადგა დასაცავად.

მოვიდა შესვენების დროს ჩემი „მტერი“ და გადამეხვია და მეუბნება - ყოჩაღ შენ, ლობიოებმა ვერაფერი გამიბედეს, მიმართა იქ მდგომ სტუდენტებს.

დიახ, სიმხდალეს სიმამაცე ჯობია მგონი. მთავარია აქტიურობა ყველა სფეროში. ბევრი სხვა სტუდენტებიდან განსახვავებით ხშირად ვაკითხავდი არა მხოლოდ საინსტიტუტო ბიბლიოთეკას. ასევე ხშირად ვაკითხავდი კათედრებს კონსულტაციისათვის. ასეთი აქტიურობა შეუმჩნეველი არ რჩება. სტუდენტები ამორჩეულად ერთ რომელიმე კათდერაზე იყვნენ მიმაგრებულნი, მე კი ორმა კათედრამ დამავალა საცდელი ნაკვეთების შექმნა ჩემსავე სოფელში სუბტროპიკულ ზონაში (ცაგერაში).

დეტალებზე არ ვისაუბრებ, ავღნიშნავ მხოლოდ იმას, რომ ეს ის პერიოდია, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი დიდ ყურადღებას უთმობდა სიმინდის კულტურის გავრცელებას ლამის მთელი საბჭოთა მაშტაბითაც კი.

ცხადია სუბტროპიკულ ზონაში სიმინდი და სხვა მარცვლეული

კულტურები, მათ შორის პირუტყვის საკვები კულტურები ფართო მაშტაბით იყო გავრცელებული, თუმცა იმის გამო, რომ ჩაისა და სხვა მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანას არა ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა საქართველოს მთავრობა. ასეთ ვითარებაში დღის წესრიგში იდგა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა შეთანწყობა და პრიორიტეტად წარმოჩინდა არა უპირველესად ფართობების ზრდა, არამედ დღის წესრიგში იდგა ფართობის ერთეულზე მეტი მოსავლის მიღება.

ასეთ ვითარებაში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემცენარეობის კათედრას, რომელსაც სათავეში ედგა გამოცდილი, ერუდირებული პროფესორი გიორგი რცხილაძე. ხოლო მიწათმოქმედების კათედრას სათავეში ედგა, ასევე ძლიერი პროფესორი გიორგი ქეშელაშვილი. ორთავე კათედრაზე აქტიურად ვიყავი ჩართული ჯერ კიდევ სტუდენტურ წრეების ფორმით, ხოლო მეორე კურსზე აღნიშნულმა კათედრებმა გადაწყვიტეს მინდვრის ცდების ჩატარება აფხაზეთში სუბტროპიკული ზონის სოფლის მეურნეობის წარმოების პირობებში.

ჩემი სოფლის კოლმეურნეობის (ოჩამჩირის რაიონის სოფელი ცაგერა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულები განლაგებული იყო ტიპიური კოლხიდის ეწერი და მდინარეების სანაპიროებზე, ასევე ზღვისპირა ზოლში ალუვიური ნიადაგები.

ეწერი ტიპის შედარებით მჟავე PH-ის პირობებში ძირითადად გავრცელებულია ჩაი, ციტრუსები, ტუნგი და სხვა სუბტროპიკული მრავალწლიანი კულტურები.

კათედრების დავალების შესაბამისად ერთწლიანი მარცვლოვანი და პირუტყვის საკვები კულტურების გამოცდისათვის მიწები გამოყოფილი იქნა ტიპიურ ალუვიური ტიპის სავარგულებზე. სადაც კულტურებიდან შერჩეული იქნა სიმინდი, როგორც სამარცვლედ, ასევე სასილოსედ და საძოვარ-საკვებ კულტურის ფორმით. სიმინდი ამ შემთხვევაში მიჩნეული იყო, ასე ვთქვათ, საბაზო კულტურად, ხოლო ცდაში ჩართული იქნა აგრეთვე მარცვლეული კულტურა, სორგო-სუდანურა,

ასევე მრავალწლიანი ბალახებიდან ჩართული იქნა იონჯა.

როგორც მოსალოდნელი იყო საუკეთესო შედეგებით გამოირჩეოდა სიმინდი (აჯამეთის თეთრი), რომელიც წლის განმავლობაში ასწრებდა სამი მოსავლის მიღებას.

კერძოდ სიმინდის დამუხლების პერიოდში იჭრებოდა 15-20 სმ-ის სიმაღლეზე, მიღებული მწვანე მასა იგი გამოიყენებოდა მეწველი ფურებისათვის. მისი გამოყენება შეიძლებოდა სასილოსედაც, შემდგომში ამონაყარი კულტურა ასწრებდა მარცვლის მიღებას ე.წ. რძისებრ-ცვილისებრი ფორმით და შემდეგ შეიძლებოდა მისი მწვანე მასის მიღება ამჯერად უკვე სასილოსედ.

კარგ შედეგს იძლეოდა სუბტროპიკულ ზონაში მრავალწლიანი ბალახები (იონჯა) და ა.შ. რომელიც წელიწადში ორ მოსავალს იძლეოდა 3-4 წლის განმავლობაში.

ასე, რომ ამ ცდების საფუძველზე ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (როცა უკვე საქართველოს მიწათმოქმედების აკადემიაში - მიწათმოქმედების კვლევით ინსტიტუტში (საგურამოში) ეკონომიკის ფაკულტეტზე სადისერტაციო თემად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხები - ავირჩიე.

ეს თემა, რომელიც დავასრულე და დავიცავი დისერტაცია ეკონომიკის განხრით წარმოადგენდა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების უაღრესად აქტუალურ თემას, სხვათაშორის მის დამუშავებაში ჩართული იყო სუბტროპიკული ინსტიტუტის რუსული სექტორის (დაუსწრებელი სწავლების) სტუდენტები, ოჩამჩირელი პ. კორტავა და ე. ჩაგავა. ამ სტუდენტებმა თავისი სადიპლომო შრომები დაამუშავეს ჩემი სადისერტაციო თემის შემადგენელი ნაწილის ფორმით. მათ სადიპლომო თემები დაიცვეს უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში საჯარო ფორმით.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ინტენსიური გზით ანუ ფართობის ერთეულზე მეტი მოსავლის მიღებით უნდა განვითარდეს, ცხადია, რაც იმავდროულად ერთეული პროდუქციის წარმოების დანახარჯების შემცირებასაც გულისხმობს,

რაც განპირობებულია იმით, რომ აფხაზეთი მთლიანად საკურორტო ზონაა და საჭიროა ადგილობრივად მეტი და იაფი პროდუქციის წარმოება ადგილობრივი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკამყოფილებისათვის, არამედ მნიშვნელოვნად გაზრდილი (პერსპექტივაში) ტურისტული კონტიგენტის რიცხვი მოითხოვს მეტი და მეტი რაოდენობის ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია პროდუქციის მრავალი ასორტიმენტი და ა.შ.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ისტორიულად ვითარდებოდა ექსტენსიური გზით ანუ ფართობის ერთეულზე შედარებით ნაკლები მოსავლის მიღებით და დაბალი მოსავლიანობით იყო დამახასიათებელი და ა.შ.

მეტიც ადგილობრივი მოსახლეობა მეტადრე მთის წინეთში და მთიან ზონაში ძირითადად ტყის ნობათით კმაყოფილდებოდა. არც პირუტყვისათვის ხარჯავდა დიდ დროს ბუნებრივი ტყე-ბუჩქნარები და ალაგ-ალაგ ბუნებრივი საძოვარ-მინდვრებით კმაყოფილდებოდა. აქ მეტადრე ადგილობრივი, უფრო ზუსტად უჯიშო საქონელი იყო გავრცელებული.

ასეთი ვთქვათ იოლი გზით კმაყოფილდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა.

შემდგომში თანდათანობით ფეხი მოიკიდა სამეგრელოდან, იმერეთიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან მიგრირებულმა მოსახლეობას. ადგილობრივ მოსახლეობას ქართველები, სომხები და სხვა ეროვნების ადამიანები წარმოადგენდნენ. მთის სიღრმეებში, ხევებში კი უმეტეს წილად სვანური მოსახლეობა ეტანებოდა.

ქლეხორის მიდამოებში თითქმის მხოლოდ სვანები სახლობდნენ, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად თანდათან შეავიწროვა რუსეთის, მეტწილად კავკასიის მთის გადაღმა მხარიდან აფსუური წარმოშობის აფხაზი მოსახლეობის მოწოლამ.

1939-1940-1950-იან წლებში რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები თანდათანობით ეძალებიან აფხაზეთის ტერიტორიას - შავი ზღვისპირის

მიდამოებში. ამ წლებში ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების არეალის გაფართოებას თან მოჰყვა საქართველოს მთიანი მოსახლეობის ჩასახლება აფხაზეთში. ამ მოვლენამ ფართო არეალი მისცა აფხაზეთში სუბტროპიკული კულტურების ფართო გაშენების და მოვლა - მოყვანის ღონისძიებებმა.

როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის შესახებ ხდება მსჯელობა არსებობს ასეთი ცნებები, შეიძლება მას ფორმულაც დავარქვათ. ეს არის ინტენსიფიკაციის აუცილებლობა და შესაძლებლობა. ამ ჭრილში თუ განვიხილავთ აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობაში სწორედ, რომ არსებობს მისი ინტენსიფიკაციის აუცილებლობაც და შესაბამისად არსებობს მისი შესაძლებლობა.

აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის აუცილებლობა იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთი თავისი კლიმატით და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მრავალფეროვნებით დღის წესრიგში დგება ამ მცირე მიწიან საკურორტო ზონაში ყოველი მიწის მტკაველი გამოყენებულ იქნას მაქსიმალურად ეფექტურად. არ არსებობს ამ რეგიონში სოფლის მეურნეობის დარგის რაღაც მეორე ხარისხოვნად წარმოსახვა არამედ საჭიროა ყოველი ისეთი კულტურებისა და დარგების შეთანწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ფართობის ერთეულზე მაქსიმალური მოსავლის მიღებას და ეფექტურ წარმოებას ანუ უზრუნველყოფს ფართობის ერთეულზე მაქსიმალური ღირებულების შექმნის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ინტენსიფიკაციის შესაძლებლობას ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ამჯერად უკვე უზრუნველყოფილია მუშა ხელით, მათ შორის კვალიფიციური მუშახელით უკვე საკმაოდ მომრავლდა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მათ შორის სამელიორაციო ღონისძიების განსახირციელებლად საჭირო სპეციფიკური ტექნიკა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფართო მაშტაბით განვითარებისათვის, განსხვავებით აფხაზეთის იმ ტერიტორიებისა, სადაც ძირითადად საკურორტო ზონა იყო მეტადრე განვითარებული - გაგრის (პიცუნდა) და სხვა საკურორტო სოფლებისა.

და კიდევ ერთი, რამ ოჩამჩირის რეგიონში კერძოდ სოფელ ოხურეის, არადუს, ცაგერასა და მათ მიმდებარე სოფლებში უხვად მოიპოვება თერმიული (ცხელი) წყლები, რომლის ათვისება ის-ის იყო დაწყებული იქნა 1990-იანი წლების ბოლოს. იმ ხანად მხოლოდ ოხურეის თბილი წყლების ბაზაზე მოწყობილი იქნა სასათბურე მეურნეობა, ხოლო პარალელურად დიდი რაოდენობის ჭაბურღილები მოეწყო არადუსა და ცაგერას ტერიტორიაზე.

დიდად სამწუხაროდ აღნიშნული სამუშაოები შეწყვეტილი იქნა საომარი მოქმედებების გამო. ეს სამუშაოები დღემდე შეჩერებულია.

VIII. კიდევ მეტი ცოდნაა საჭირო ცხოვრებისათვის

ქ. თბილისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი წარჩინებით დავამთავრე 1953 წლის მარტის თვეში. ეს ის დროა როცა კადრებს - ინსტიტუტდამთავრებულებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ანაწილებდა პრაქტიკულად.

ინსტიტუტში წარჩინებულ სტუდენტებს როგორც წესი ასპირანტურისათვის ამზადებდა ფაკულტეტები. ჩემი თანაკურსელი გოგოთურ აღლაძე და მე ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები ვიყავით და ამდენად ფაკულტეტის ხელმძღვანელობის წარდგინებით გადაწყდა, რომ ჩვენ ორთავეს სწავლა უნდა გაგვეგრძელებინა ასპირანტურაში. იმის გამო, რომ მთელი ფაკულტეტისათვის ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ლიმიტირებული იყო ჩვენს ფაკულტეტს ერთი ადგილი გამოეყო თბილისში ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ასევე ერთი ადგილი გამოყოფილი იქნა ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში - ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

რატომღაც გოგოთურ აღლაძემ უარი განაცხადა მოსკოვში (ასპირანტურაში) სწავლის გაგრძელების მიზნით და გადაწყვიტა სწავლა (ასპირანტურაში) გაეგრძელებინა ადგილზე - თბილისში.

მე კი შემომთავაზეს მოსკოვში სწავლის გაგრძელება. თუმცა მამაჩემმა კატეგორიული უარი განაცხადა ოჯახური სიდუხჭირის გამო. ასე, რომ იძლებული გავხდი სწავლის გაგრძელებაზე უარი მეთქვა.

ამდენად განაწილებაში მოვხვდი აფხაზეთში. ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებთან ერთად, 19 კურსდამთავრებულები მიგვავლინეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განკარგულებაში.

როდესაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოამდგენლებთან მოგვიწყვეს შეხვედრა.

ამ შეხვედრაზე აღმოჩნდა მოწვეული ოჩამჩირის რაიონის

ხელმძღვანელობის წარმომადგენლები. მათ შორის იყო ოჩამჩირის (ტამიშის) II მტს-ის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის იმჟამინდელი (1953 წელს) დირექტორი ბატონი აქვსენტი მარხულია. ეს ის პიროვნებაა, რომელიც სოხუმში სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე გახლდათ მაშინ, როცა მე ამ ტექნიკუმში ვსწავლობდი 1944-1947 წლებში.

ცხადია ბატონი აქვსენტი მარხულია სიხარულით შეხვდა ჩემს დამთავრებას (ინსტიტუტიც წარჩინებით დავამტავრე ისევე, როგორც ტექნიკუმი) ცხადია მან, როგორც იტყვიან, ხელი ჩამავლო და იმ დღესვე წამიყვანა სამუსაოდ მასთან (ტამიშის II მტს-ში, სადაც ის იმ ხანად დირექტორად მუშაობდა). იმ დღესვე, გვიან საღამოს ჩავედით უბნის ხელმძღვანელად ოჩამჩირის რაიონის ერთ-ერთ ზონაში.

აღნიშნული (IX) ქვეთავი „კიდევ მეტი ცოდნაა საჭირო“ გამოვყავი იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლება ჩემთვის არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან დროთა განმავლობაში შეიცვალა სისტემა და ნაცვლად ადმინისტრაციულ მბრძანებლური სისტემისა დღის წესრიგში დადგა საბაზრო ეკონომიკური სისტემის მიმართულებით სვლა.

მესწავლისპერიოდშიაცდიდისწრაფვამქონდაეკონომიკისსაკითხების შესწავლისაკენ. ჩემი სადისერტაციო თემაც ამ მიმართულებით იყო. როცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის საკითხების კვლევა ავირჩიე აფხაზეთის სუბტროპიკული ზონის თავისებურებების გათვალისწინებით, სწორედ ამან განაპირობა ჩემი სწრაფვა კიდევ უფრო მეტი წვდომისა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის თავისებურებების ღრმად შესწავლის მიმართულებით.

დიახ, კიდევ უფრო ცოდნაა საჭირო ახალი ეკონომიკური სისტემის - საბაზრო ეკონომიკის ყველა ნიუანსით ღრმად წვდომის მიმართულებით.

ამ მიმართულებით არა მხოლოდ, ასე ვთქვათ თეორიულად მხოლოდ არამედ, პრაქტიკულად წვდომის მიზნით სადისერტაციო თემადაც მე ავირჩიე აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. შესაბამისად პირველი ბეჭვდითი ნამუშევარიც გამოვაქვეყნე 1999 წელს. თუმცა

ეს ნაშრომი მხოლოდ კომპიუტერული ბეჭდვის გზით შევქმენი და ვერ მოხერხდა მისი ტირაჟირება ბეჭდვითი ფორმით. ამ ნაშრომის დასათაურებაც, ვფიქრობ აქტუალურია - „ეკონომიკისა და ბიზნესის საკითხები“ - ასე დასათაურდა იგი ჩემს მიერ.

„ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასთან ერთად საჭიროა ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირება, რასაც გარკვეული დრო და ძალისხმევა ესაჭიროება“ - აღნიშნულია ამ შრომის შესავალ ნაწილში (გვ. 5).

ამ შრომის გამოქვეყნება უმეტეს წილად დაკავშირებული იყო იმ პერიოდთან როცა მე ვმუშაობდი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკისა და მართვის (მენეჯმენტის) ფაკულტეტის დეკანად და ამავე სახელწოდების კათედრის გამგედ.

ამ ნაშრომში წარმოდგენილია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: ეკონომიკური თეორიის ზოგიერთი საკითხი; მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში; საკუთრება და მეწარმეობის ფორმები; ეკონომიკური მექანიზმები ბიზნესის სფეროში; ბიზნესის მაკრო და მიკრო გარემო. წარმოების ხარჯები და კონკურენტული მიწოდება; მოხმარებისა და დაგროვების გავლენა ეროვნულ წარმოებაზე; აგრარული ურთიერთობა და აგრობიზნესი; ბიზნესის მართვის საფუძვლები; მართვისა და დაგეგმვის თავისებურებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში; საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობა და ბიზნესი და სხვა.

ამ შრომის მომზადებას წინ უძღოდა ის მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც ვატარებდი აფხაზეთში არა მხოლოდ სადისერტაციო შრომის ჩატარებასთან დაკავშირებით მხოლოდ, არამედ აფხაზეთში ფუნქციონირებად ერთ-ერთ უმსხვილეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოში აგრონომის თანამდებობიდან დისერტაციის დაცვის შემდეგ, ამავე საწარმოში მთავარ ეკონომისტის თანამდებობაზე გადაყვანის შემდგომ. ეს ის პერიოდი იყო 1960-1970-იანი წლების პერიოდში საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე დაწყებისა და გადასვლის

პერიოდში.

ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში მიწვეული ვიქენი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე, სადაც 1968 წლიდან მუშაობა დავიწყე ჯერ საათობრივ ანაზღაურებაზე, შემდეგ კი კათედრის ასისტენტის თანამდებობიდან, როგორც იტყვიან ნაბიჯ-ნაბიჯ მივედი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ეკონომიკის დოქტორისა და საპატიო პროფესორის თანამდებობამდე.

დიახ, მე აღვისრულე ჩემი სურვილი იმით, რომ მაინტერესებდა ეკონომიკის საკითხები და მქონდა დიდი სურვილი ამ მიმართულებით მესწავლა შესაბამის სპეციალობაზე მაგრამ იმის გამო, რომ რაიკომიდან გამგზავნეს აგრონომიულ ფაკულტეტზე დავაგვიანე ეკონომიკის საკითხების ღრმად შესწავლა. თუმცა ბოლოს ასპირანტურაში ჩავირიცხე ეკონომიკური პროფილით.

ეკონომიკის საკითხებზე ბევრი შრომები გამოვაქვეყნე თუმცა, შრომების გამოცემას ფულიც სჭირდება და ამის გამო რამდენიმე შრომა მხოლოდ თანაავტორობით გამოვეცი.

სამწუხაროდ, მბრძანებლური მმართველობის სისტემიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პროცესი დიდი დატვირთვებით განხორციელდა, რომლის უარყოფითი „ფესვები“ დღემდე უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე.

ეკონომიკა თავისთავად ურთულესი მოვლენაა, მას თავისი მკაცრი კანონები გააჩნია. ეკონომიკა ვერ იტანს „გაუმაძღრობას“, ფუფუნებისაკენ სწრაფვას, მფლანგველობას. ქართველებს საუკუნოვანი ტრადიციები აქვს, რომლის შენარჩუნება მარტო არ არის საკმარისი, იგი ადაპტირებას მოითხოვს არსებული ვითარებისადმი. რადგან არსებობს ზღვარი ამ ზღვარიდან გასვლა დიდ დაფიქრებას მოითხოვს. ვთქვათ სტუმართმოყვარეობა გარკვეული ზომიერების ფარგლებში დიდებული რამ არის, მაგრამ იგი უშუალოდ შრომის შედეგის მართლზომიერად გამოყენებასაც ხომ გულისხმობს? ხელგაშლილობას ზღვარი უნდა დაედოს. მაშინ, როცა ბევრი ადამიანი, მათ შორის ბავშვი შიმშილობს.

დააპურე ასეთი ადამიანები - ცხადია სიზარმაცეს არ უნდა მიაჩვიო ადამიანი, იგი შრომის ფასად უნდა ცხოვრობდეს და არა მამაძაღლობისა და თაღლითობის ფასად.

კაპიტალიზმი ადამიანის უნარებზე და შრომის მოყვარეობაზეა დაფუძნებული თუმცა, როგორც ჩანს ადამიანის ფანტაზიას ზღვარი არ აქვს. ხომ გაგიგონიათ უძღები შვილის ამბავი? დიახ, მსოფლიოს მაშტაბით თანდთანობით ილევა რესურსები, მოთხოვნილება კი მუდმივად მზარდია აი ეს არის გასათვალისწინებლი გავიხსენოთ თუნდაც ე.წ. პრივატიზაცია, რომელსაც რუსული „პრიხვატიზაცია“ ჩაენაცვლა. მოდით გავარჩიოთ ზერელედ მაინც, როგორ განხორციელდა პრივატიზაცია ქვეყანაში.

ვინ ჩაიგდო ხელში ქვეყნის ქონება და სხვადასხვა სახის სიმდიდრეები? ვინ და იმდროინდელმა, თავისთავად კორუმპირებულმა კლანებმა. სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად) რომ „დაითრიეს“ უზარმაზარი ქონება, მათ შორის მიწები, ტექნიკა, ფაბრიკა-ქარხნის ტექნოლოგია-დანადგარები და ა.შ. ბევრი რამ ჯართად აქციეს დაჭრეს, დახერხეს და ქვეყნის გარეთ გაზიდეს და ა.შ. და ა.შ.

სათიბ-საძოვრები სანადირო და სანადიმო ე.წ. „საქეიფო“ ადგილებადაც რომ აქციეს, მარაზმი რომ დაამკვიდრეს საკურორტო ზოლებსა და ტყე-პარკებში.

ქვეყნის შიგნით რომ ვერ „დაეტიენ“ ოფშორულ ზონებში გაიტანეს, „გააფორმეს“ და ა.შ.

ყველაფერი ხომ შრომის ფასად უნდა მიიღოს ადამიანმა და არა „მუქთად“ ვის როგორ შეეძლო ისე „დაითრია“ ხალხის შრომით შექმნილი ფასეულობები.

გავიხსენოთ თუნდაც საკურორტო ზონებში როგორ დაიტაცეს დგამ-ავეჯი და სხვა ქონებანი.

აფხაზეთის ამბებს თუ გავიხსენებთ მახსოვს კარგად, როცა მთიდან ჩაგვასახლეს მაშინ კომუნისტი ემისრები მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ აფხაზეთში ბევრია თავისუფალი მიწები და შრომაა საჭირო მხოლოდ და, მალე ძლიერ ოჯახს შექმნითო. თუმცა მხოლოდ 0,25 ჰა

გამოუყვეს თითოეულ ოჯახს მიუხედავად სულადობისა. მაშინ, როცა ადგილობრივ მოსახლეობას გაუზომავად ჰქონდათ შემოფარგლული ტყე და მინდორი. შემორაგულ ეზოში „ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა“, ეჰეი - შეუყვირებდა „მიწის პატრონი“.

მთიდან ჩამოსახლებული ფაქტიურად უმიწოდ დარჩენილი გლეხობა გინდა არ გინდა მიექირავა მიწიან ოჯახებს და „მუქთად“, მხოლოდ ჩალის ფასად ამუშავებდა, ზამთრის მარაგს კი თავად მოიხმარდა „მიწის მესაკუთრე“. ტრადიციულად ვინ გაუბედავდა ფეოდალს „ხელით შეხებას“?

დიახ, საიდანღაც მოვიდნენ „გადამთიელები“ და მოედვნენ ადგილლობრივ ტყეებსა და ჭაობებს. მალარია კი დაამარცხეს, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა ხომ „შეავიწროვეს“? კოლმეურნეობებმა მასიურად დაიწყეს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების დაჩქარებული ტემპით გაშენება-მოვლა პატრონობა. ცხადია ამ ეტაპზე პატრონი სახელმწიფო ხდებოდა, მაგრამ ბრალი ადგილობრივისათვის მხოლოდ იმას ედებოდა, ვინც მიწას ამუშავებდა მეურნეობები შეიქმნა, კოლმეურნეობებიც მომრავლდა და ა.შ.

დიახ, დიახ, ამდაგვარად „შეავიწროვეს“ ადგილობრივები. ვინ? სახელმწიფომ რა თქმა უნდა მაგრამ, სახელმწიფო ამ შემთხვევაში ავალდებულებდა ახალბედას აეთვისებინა ჯერ „თავისუფალი“ მიწები, შემდეგ კი „შემორაგულ“ - დიდი ტერიტორიის ათვისება გახდა საჭირო.

ასე ამგვარად, ადგილობრივთა მიწების ხარჯზე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიერ „ფრთების გაშლა“ გაჩნდა ბევრი საბჭოთა მეურნეობები, ასევე სამეურნეობათაშორისო თუ საკოლმეურნეობათაშორისო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

შეიქმნა სამელიორაციო და სხვა სახის მიწის ათვისებისათვის საჭირო ორგანიზაციები. „შეუტიეს“ და აითვისეს ყველა თავისუფალი მიწები.

მახსოვს, თბილისიდან ჩამოვიდნენ ცეკას ემისრები და რომ ნახეს ჩამოსახლებულთა მცირე მიწიანობა, მათ გაუდიდეს საკარმიდამოები და რაც მთავარია გადასცეს მიწები ახალ-ახალი პლანტაციების, ბაღ-

ვენახების გასაშენებლად.

მახსოვს ჩასახლებულ სოფელ ცაგერას კოლმეურნეობას სომხური სოფლის (ლაბრის) კოლმეურნეობის ნაწილი მიწები გადასცეს. დიახ, კოლმეურნეობების მიწათსარგებლობას აწესრიგებდა მტავრობა.

დიახ, ეს ყველაფერი გახდა საფუძველი ჩასახლებული და ადგილობრივი მოსახლეობის დავის საგანი.

რამდენიც არ უნდა იდავოს ადამინმა, განვითარება თავისი გზით მიდის ისე, რომ დედამიწის ტერიტორია არ იზრდება თუ არ მცირდება, ადამიანის მოდგმა იზრდება და იზრდება, გაცილებით მაღალი ტემპით იზრდება ადამიანთა მოთხოვნილებები. სად ვეძებოთ გამოსავალი?!

ლოკალურად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო და საერთოდ ყველა სახის წარმოების ინტენსიფიკაცია. გლობალურად კი ადამიანთა მოდგმისათვის, ალბათ ერთ დროს, სჭირო გახდება სადღაც სხვა პლანეტის მოძიებაც კი. ეს თეორიულად, თუმცა პრაქტიკულად ჩნდება პრობლემა, რომლის გადაჭრა ცივილიზაციამ უნდა მოახერხოს და ა.შ. და ა.შ.

გავიხსენებ ასეთ მომენტსაც: აფხაზეთში ვითარება დაიძაბა. მე ვცდილობდი რაღაც მეღონა, რომ „ცაგერას“ და „ცხენისწყალს“, ქართული და აფხაზური მოსახლეობა არ დაპირისპირებოდა ერთმანეთს, მაგრამ ვაი, რომ ვერაფერი გამომივიდა.

„ცხენისწყლის“ სკოლასთან შევხვდი აფხაზ მოსახლეობას. აქ დგას ოჩამჩირიდან მოვლენილი სპეციალისტი და, როგორც დაველაპრაკე ხელი გაიშვირა ცაგერას სიმინდის ყანებისაკენ. ის მიწები ერთ დროს ადგილობრივი მოსახლეობის იყო და უნდა დაუბრუნდეს ადგილობრივებსო - აღნიშნა მან.

როცა დავა შეიქმნა ჩვენს შორის იქვე მდგომი აფხაზი ქალი მოვიდა და ამბობს, უფრო სწორად ეუბნება აფხაზი ეროვნების მოდავე სპეციალისტს:“უყუწ ვარა უყუწ, ხაშაროპ, ხაშაროპ“-ო. მე აფხაზური ცოტა კი ვიცი, მაგრამ უფრო კარგად რომ გამეგო მათი საუბარი - მეგრულად დაიწყო ამ ქალმა:“აქ ეს ჩვენი სიმინდის ყანები ვერ დაგვიცავს ღორებისა და პირუტყვისაგან და ცაგერლების ყანები

ნახე როგორი მოვლილი არის და იცავენ კიდეც!“-თქვა ადგილობრივმა ქალბატონმა.

დიახ, ეს მაგალითი ნამდვილად გაკვეთილია. ხალხური ნათქვამისა არ იყოს „ძაღლი თივაზე იწვა და ძროხას არ ანებებდა თივის ჭამასო“ - აი ასეთია ადამიანის ბუნება.

რა არის საჭირო?

წარმოების ინტენსიფიკაცია, უხვი მოსავლის წარმოება, ორჯერ წლის განმავლობაში და მეტჯერად უნდა მოგვყავდეს მოსავალი და ა.შ.

დიახ, ასე გაჩნდა მაშინ ჩემი იდეა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წამორების ინტენსიფიკაციის შესახებ. თუმცა ამ პრობლემის ბოლომდე მოგვარება არავის დაგვცალდა.

აგვიჯანყდნენ თუ აგვიჯანყეს აფხაზები და უაღრესად კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩვენი დაირღვა იმ დონეზე, რომ ერთმანეთს სისხლი ვადინეთ და ბოლოს გამოგვდევნეს კიდეც და დაგვატოვებინეს ჩვენი ნალოლიავები საცხოვრისი.

გამახსენდა კიდევ ერთი რამ და არ შემიძლია არ ვთქვა:

კარგად ცნობილი პიროვნება, რომელიც განაგებდა არა მხოლოდ ოჩამჩირის ტერიტორიას, უფრო მეტსაც, წვდებოდა აფხაზეთში.

თუმცა აირია ქვეყანა და, ამ კაცმა დაკარგა თავისი სამფლობელო. ომი მძვინვარებდა აფხაზეთში. ჯერ სადა ვართ არ ვიცით რა მოხდება. აი ის ტიპი, რომელიც ერთ დროს აზანზარებდა ყველაფერს, ბრდღვნიდა ყველაფერს, ღრიალებდა კიდეც, დიქტატორობდა და ა.შ. და, ამას რას ვხედავ - აგერ შემხვდა პირისპირ ველოსიპედით მიდიოდა, ხელში ვედრო ეჭირა, რომელშიაც კარტოფილი ეყარა, საკმაოდ წვრილი ნაყოფები - ალბათ ნარჩენი რაღაც, ნახევარი ვედრო კარტოფილით. სად მიდიხარ - ვეუბნები - ეუხერხულა ძალიან, მაგრამ მაინც იკადრა და ჩამოდგა ველოსიპედით ჩემს წინ. ვიცნობდი და მიცნობდა და მაინც ვკითხე: საით გაგიწევია-მეთქი. ახლოს - ღალიძგის გაღმით პატარა მიწის ნაკვეთი მაქვს, კარტოფილი უნდა დავრგოო - ბრძანა, ილორშიც გამოუყენებლი მიწები ბევრი არისო - თქვა.

იცით რა?! ნამდვილად ცუდად გავხდი, გული მეტკინა - წარმოვიდგინე,

რომ არავინ იცის ვის რა მოელის ამ დუნიაზე. ვერ გეტყვით მოასწრო თუ არა კარტოფილის დარგვა - მალე დავტოვეთ მთელი აფხაზეთი, მათ შორის ოჩამჩირე. გალიც გამოვიარეთ და სრულიად დავშორდით აფხაზებს.

მეტ-ნაკლებად ბოლოს მაინც ყველა ქმედება, გინდ საუბარი, ეკონომიკამდე მიდის. ამჯერად საკმაოდ ვრცელი ამონარიდი მინდა მოვიტანო წიგნიდან (ბროშურიდან) „მიწა - ეროვნული სიმდიდრე“ ეს პატარა, მაგრამ საკმაოდ ტევადი ბროშურა - არ დავაკნინებ იგი მართლაც, რომ წიგნია - სახელმძღვანელო.

მისი ავტორია აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი, ჩემი ყოფილი თანაკურსელი, მამა მისი კი ერთ-ერთი ძლიერი (სიძლიერეში)ამჯერად ცოდნა იგულისხმება

პროფესორი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

აი რას წერს ეკონომიკაზე მისი ავტორი აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი (გვ.8):

„ეკონომიკა ძალზე რთული სისტემაა. ბევრს ჰგონია, რომ კარგად იცის და კარგადაც არის დაუფლებული მის ნიუანსებში, მაგრამ ამაში ბევრი ტყუვდება. ეკონომიკა მაცდურიცაა, ბევრი ლაბირინთი გააჩნია და მას ბევრისთვის თავ-გზაც აუბნევია. ზოგჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ პიროვნებას, გარკვეულ ბიზნესურ გარემოში და მისთვის ბოლომდე ამოუხსნელ ხელშემწყობ სიტუაციაში, ბევრი ფული დაუგროვებია და აღტაცებას მისცემია - კარგად გავუგე, ვიცი ეკონომიკა და ასეთ შედეგებს მივაღწიე. ამ აღტაცებამ, ასეთ კაცს ისიც შეიძლება ათქმევინოს: ეკონომისტმა მეცნიერებმა რა იციან, აი, მე ვიცი ეკონომიკა, მე მომისმინეთ და ჩემი ნათქვამი შეასრულეთო. მაგრამ, ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ დიდ სიხარულს ხშირად ცრემლები მოჰყვება ხოლმე, მათაც, თავყელყელა და თავის თავზე შეყვარებულ მილიონერებსაც დასტყდომიათ თავზე განგაში და სხვისი ხელის შემყურენი გამხდარან. ანდა, თვითმკვლელობით დაუსრულებიათ სიცოცხლე. მორალი - ფულის შოვნა სულაც არ ნიშნავს ეკონომიკის ცოდნას“.

დიახ, ასეა სწორედ.

და საჭიროა მეტი დაფიქრება, ყველა დრო თავისებურ ადაპტირებას მოითხოვს.

ასეა ეს...

IX. წარმოების ადაპტირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გარდა ობიექტური ეკონომიკური კანონების გათვალისწინებისა, დღის წესრიგში დგება ეკოლოგიური მოთხოვნების აუცილებლობა როგორც წესი, ბუნების კანონების დარღვევის ნეგატიური გავლენა შედარებით უფრო გვიან იჩენს თავს და რაც მთავარია ბუნების მხრიდან ასეთი დარღვევისათვის „შურისძიება“ ხშირად შეუქცევადია.

წარმოების პროცესში ეკონომიკური ეფექტების გამოვლენა შედარებით სწრაფად ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეწარმე ამ სფეროში არ დააბანდებს საკუთარ სახსრებს. მაშინ როცა ბევრი მეწარმე, თვლის რა თავის ძირითად ამოცანად მაქსიმალური მოგების მიღებას, „თვალს ხუჭავს “ ეკონომიკური, სოციალური და რიგ სხვა მოთხოვნილებების შესრულებაზე.

ზოგიერთი ნეგატიური პროცესი ბუნების სფეროში საუკუნეების, ზოგჯერაც ათასწლეულების განმავლობაში გრძელდება. საკმარისია გავიხსენოთ აფრიკის კონტინენტისათვის გაუდაბნოების პროცესი.

ტექნიკური პროცესის სირთულეების გამო, ნეგატიური მოვლენები, თანამედროვე პირობებში ჩქარი ტემპით ვითარდება და ადამიანის საქმიანობასა და მის შედეგებს შორის დროის ანაბეჭდი ეკონომიკასა და ეკოლოგიაში სრულიად განსხვავებულად და სხვადასხვა მაშტაბით გამოიხატება. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები გულდასმით გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული უნდა იყოს.

განსაკუთრებული ვითარებაა ქვეყნის ეკონომიკის ისეთ დარგში როგორიცაა აგრარული ეკონომიკა - სოფლის მეურნეობა უპირველეს ყოვლისა. ამიტომ ამ დარგის განვითარება მეტ გონივრულობას მოითხოვს ანუ ადაპტური ეკონომიკა, არა წუთიერ სარგებლიანობას გულისხმობს, არამედ იგი უნდა განვითარდეს ეკოლოგიური ფაქტორების პრიორიტეტული დაცვის პირობებში.

ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებში.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების საწყის ეტაპზე (როგორც ჩვენს ქვეყანაშია), მაღალი ფინანსური შედეგების მიღება ხშირად (უმეტესწილად) ბუნებრივი გარემოს გაუარესების ხარჯზე ხდება. სამწუხაროდ ასეთი მაგალითები არც თუ ისე მცირეა ჩვენი ქვეყნის პირობებშიაც.

განონასწორებული ბაზრის პირობებში ასეთი გადახრები შესაძლოა აცილებულ იქნას თავიდან.

უკანასკნელ ათწლეულში, იქნებ ოცწლეულშიაც კი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადგილი აქვს ქიმიური ინდუსტრიის განვითარებას, რამაც განაპირობა ნეგატიური მოვლენების განვითარება. კერძოდ დაზიანდა ნიადაგის სტრუქტურა და ტრადიციული ლანდშაფტები, გლობალური ხასიათი მიიღო კვების პროდუქტების ხარისხის გაუარესებამ. არანაკლები სიფრთხილე არის საჭირო ინტენსიური მეცხოველეობის განვითარების დროსაც, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გარემოს გაჭუჭყიანებას და აქედან გამომდინარე ნეგატიური მოვლენების განვითარებას.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, თავს უფლებას მივცემ და ამჯერადაც წარმოვაჩენ ჩემს მოსაზრებებს საბაზრო ეკონომიკის პირობებისადმი ადაპტირების მიზნით აფხაზეთის აგრარული სფეროს განვითარების, კონცეპტუალურ მიმართულების ძირითად მომენტებზე. მინდა ისიც ავღნიშნო, რომ ამდაგვარ საკითხებზე ბევრი საგაზეთო სტატიები მქონდა გამოქვეყნებული (100-ზე მეტი ვრცელი სტატიები) გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, რომელიც შესაბამისად ითარგმნებოდა და ქვეყნდებოდა გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ და „აფსნი-ყოფშის“ გვერდებზე ე.წ. „სარდაფის“ გვერდის სახით.

სამწუხაროდ ამ სტატიებიდან არც ერთი აღარ შემომრჩა იგი ჩემ პირად არქივთან და სხვა - წლების განმავლობაში ნაშენებ-ნალოლიავებ სიკეთეებთან ერთად დაიკარგა აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო მხოლოდ ერთი ქოლგის ამარა და ბინის გასაღებებით, გავედი

რის ვაი-ვაგლახით უკრაინული გემით ბათუმში და იქ დავიდეთ „ბინა“ სასტუმრო „მესხეთში“. ამის შესახებ უკვე ავღნიშნე წინა თავებში.

დიახ, ფაქტიურად აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გზით განვითარების მიზნით ძირითადად მოხაზული მქონდა დარგის, კერძოდ აგრარული ეკონომიკის რეორგანიზაციის საკითხი ახალ, საბაზრო ეკონომიკური გარემოსადმი ადაპტირების მიმართულებების თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ აგრარული ეკონომიკის რეორგანიზაცია მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რაც უნდა განხორციელდეს (ასეთი იყო მონახაზი) მეცნიერულ საფუძველზე, რაც თავიდან ააცილებს რეგიონის ფარგლებში შეცდომებისა და არაეფექტური ღონისძებების განხორციელებას რაც საკმაოდ იყო დაშვებული ერთიანი საბჭოური წყობილების პირობებში. ამ პერიოდში აფხაზეთის სუბტროპიკული ზონა ჩართული იყო საბჭოეთის მოთხოვნილებათა შესაბამისად ერთიანი შავი ზღვისპირეთის ზონის ამოცანების გათვალისწინების ფონზე. იგი გულისხმობდა სუბტროპიპკული და გნებავთ სამხრეთული პროდუქციის წარმოების მაშტაბების მისადაგებას საბჭოეთის მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილებაზე და ნაკლებად ითვალისწინებდა ადგილობრივი საკურორტო და მკვიდრი მოსახლეობის ინტერესებსა და ტრადიციებს. ამ ვითარების გათვალისწინებით ჩვენს მიერ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის ბაზაზე შემუშავებული იქნა აფხაზეთის აგრარული სფეროს რეორგანიზაციის კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებას შემდეგი მიმართულებით:

შენიშვნა-ვიდრე ამ კონცეფციაზე მივანიშნებდე, ავღნიშნავ იმასაც, რომ ფრაგმენტულად დავამუშავეთ ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც წარედგინა აფხაზეთის იმჟამინდელი ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელიც მოწონებული იქნა აფხაზეთის პარტიულ - სამეურნეო ხელმძღვანელობაში იმჟამინდელი პარტიული ხელმძღვანელობის პირველი პირის - ბორის ადლეიბას მიერ. სამწუხაროდ შექმნილი რთული ვითარების გამო, რომელიც

შეიქმნა მაშინ, ამ ღონისძიებას განხორციელება არ ეწერა და დარჩა „ქაღალდზე“ ჩემს სამუშაო მაგიდაზე სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრაზე. დიახ, ასე დასრულდა იგი. ამჯერად, გავაკეთებ შედარებით მოკლე (ძირითად) მონახაზს ამ კონცეფციის შესახებ.

კერძოდ კონცეფციას საფუძლად დაედო შემდეგი მიმართულებანი:

1. მატერიალური დოვლათის წარმოების;
2. სოციალური პრობლემის;
3. ეკონომიკისათვის ხელსაყრელი მაკრო და მიკრო გარემოს შექმნის;
4. ეკონომიკის რეორგანიზაციის მიმართულებით.

შესაბამისად, მატერიალური წარმოების პრობლემა უნდა მოიცავდეს ქვეყნის რეგიონების, ცალკეული ზონების (მთიანი, მთისწინეთის, შავი ზღვის ზოლის და ა.შ.) მიხედვით ისეთი საკითხების შესწავლა-ანალიზს და შესაბამისი ღონისძებების დასახვას, როგორიცაა:

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (მთლიანად მიწების) აღრიცხვა და კატეგორიების დადგენა-კადარტრი, ინვენტარიზაცია და ა.შ.

ბ) სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და დარგების განლაგების არეალის დაზუსტებას, თუ საჭიროა შეწორება-დაზუსტებას და ა.შ.

გ) ტრადიციული და ბაზრის მოთხოვნილებათა პროგნოზირების საფუძველზე, ახალი დარგების განვითარების პერსპექტივის განსაზღვრა;

დ) ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის განსაზღვრა. აღნიშნული და სხვა ღონისძიებების შესაბამისად უნდა შედგეს მიზნობრივი პროგრამები (ცალკეული საკითხების მიხედვით, ბიზნეს გეგმის დონეზე და ამ მონაცემების საფუძველზე უნდა შედგეს და შეჯერდეს მრავალი ვარიანტი, გ) ოპტიმალური ვარიანტის დასადგენად სოციალური პრობლემების კონცეფცია უნდა მოიცავდეს მოსახლეობის შრომითი დასაქმების აქტუალურ საკითხებს, შრომის ნაყოფიერების ზრდის პროგნოზირების კვალობაზე).

დ) ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის მაკრო და მიკროგარემოს შექმნის პრობლემა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ეკონომიკური გარემოს ცვალებადობის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკური გარემოს სრულყოფის ხელშემწყობი ფაქტორების გამოვლენას, შესაბამისად, საჭირო საკანონმდებლო ბაზრის შექმნის მიზნით საჭირო მექანიზმების შემუშავებას.

ე) და ბოლოს, ეკონომიკური რეორგანიზაციის პრობლემამ უნდა მოიცვას საკუთრებითი ფორმის - კერძო საკუთრების პრიორიტეტის პირობებში შესაბამისად ახალი საწარმოები (მცირე და საშუალო ბიზნესის ფორმის) ორგანიზაციული საფუძვლების ჩამოყალიბებას.

აგრარული სფეროს განვითარების პრიორიტეტული პრობლემა უნდა გახდეს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მოხმარება.

ქვეყნის პრიორიტეტი უნდა გახდეს იმპორტ-ესქპორტის ეფექტური შეთანწყობის პრობლემა. აქცენტი აღებული უნდა იქნას იმპორტის შემცირება და ექსპორტის უპირატესი განვითარება და ა.შ.

ქვეყნის ეკონომიკის, მისი რეგიონის მიხედვით საჭიროა სისტემური, კომპლექსური მიდგომა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად დარგების ადაპტირების ღონისძიებების შემუშავება.

მთლიანად ამ გზაზე მნიშვნელოვანია წარმოების - მრეწველობისა და აგრარული სფეროს დარგების რეაბილიტაცია, მოსახლეობის დასაქმების, სოციალური დაცვის, შემოსავლების სამართლიანი განაწილების, ეფექტური მეთოდებისა და სისტემების შემუშავება და რაც მთავარია პრაქტიკული რეალიზაციის გეგმის შედგენა.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების ფონზე მიკროეკონომიკური სტიმულირების, საინვესტიციო რესურსების გაფართოების, საკუთრების ურთიერთობის სრულყოფის ღონისძიებების განხორციელება საფუძველი უნდა გახდეს მეწარმეობის (მცირე და საშუალო ბიზნესის) ე.წ. „საშუალო ფენის“ ჩამოყალიბებისათვის. კატეგორიულად უნდა აღიკვეთოს ე.წ. საშუალოს აღკვეთა და ა.შ.

მთავარია სუვერენული ქვეყნების რიგში მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ღირსეული ადგილის დამკვიდრება და იმპორტ-ექსპორტის

ეფექტური ბალანსირება.

პრობლემა რა? როგორ? და ვისთვის? - წარმატებულად და კომპლექსურად გადაჭრა მხოლოდ ახლებური ეკონომიკური აზროვნებითაა შესაძლებელი. იგი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების კომპიუტერული გათვლების საფუძველზეა შესაძლებელი.

X. ზოგი რამ ჩემი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ (ძირითადი მომენტები)

ამ საკითხის ამ ადგილზე ჩართვა ცოტა ნაადრევია თუმცა ამჯერად მოვლენებს გავასწრებ და ამ საკითხის აქტუალობის გამო ამ კონტექსტში „ჩავტევ“.

თბილისში სასოფლო-სამეურნეო (აგრონომია) ფაკულტეტიდან წარჩინებით დავამთავრეთ მე და გოგოთურ აღლაძემ. აღლაძე შვილია აღნიშნული ინსტიტუტის ერთ-ერთი კათედრისა გამგისა და იგი საკმაოდ ცნობადი პიროვნება იყო იმ დროს.

მე კი გლეხის შვილი ტოლს არ ვუდებდი მის შვილს, თუმცა როცა სახელმწიფო კომისისამ გადაწყვეტილება მიიღო ორთავე გაგვამწესეს ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად: აღლაძე გოგოთური მოსკოვში მივლინებისათვის გაამწესეს მე კი - თბილისში.

თუმცა აღლაძემ უარი განაცხადა მოსკოვში სწავლის გაგრძელებაზე და მოითხოვა თბილისში დარჩენა. ცხადია მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და დარჩა კათედრაზე ასპირანტის რანგით. მან ცხადია დაამთავრა ასპირანტურა, ასპირანტი გახდა საბოლოო ჯამში პროფესორ-აკადემიკოსი. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ზოოვეტერინალურ ინსტიტუტს და ა.შ.

მე?! მე კი მიმავლინეს განაწილებით აფხაზეთში სადაც გამამწესეს ოჩამჩირის „მტს-ში“ და შემდეგ სხვადასხვა კოლმეურნეობებში სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სპეციალობის მიხედვით (აგრონომის თანამდებობით).

შევქმენი ოჯახი და სხვათაშორის მეუღლის დაჟინებული თხოვნით სწავლა გავაგრძელე ასპირანტურაში ქ. თბილისში სასოფლო-სამეურნეო აკდემიაში. აქაც დიდი კონკურსით გავიმარჯვე და გავხდი ასპირანტი.

თუმცა ეს პროცესი აღინიშნებოდა დიდი წინააღმდეგობით. კერძოდ კონკურსში ჩემთან ჩართული აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც ამჯერად მეორეჯერ გადიოდა გამოცდებზე და მას მხარს უჭერდა პარტიის ცკ-ს წარმოამდგენლობა.

საქმე ჩემი შანტაჟირებით აღინიშნა. მინდა გავიხსენო ასეთი რამ, როცა მაშანტაჟებდნენ შემთხვევით გამოცდების დროს შევხვდი ჩემს თანასოფლელს აფხაზეთიდან-ცაგერადან დიდიმ ნიკოლაძეს, რომელიც კვალიფიკაციის კურსებზე სწავლობდა იმ დროს და შევხვდი მას ვაკეში, სტუდქალაქში. როცა ვუთხარი მას, რომ ვაპირებდი გამოცდების მიტოვებას (შანტაჟის გამო) მან გამამხნევა და დაესწრო კიდეც გამოცდების პროცესს (ცხადია გარედან შემყურეს როლში).

ერთი სიტყვით გავიმარჯვე და გავხდი ასპირანტი საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომელიც მდებარეობდა საგურამოში, სადაც მცხეთიდან (მატარებლიდან) ფეხით გადავდიოდი, საგურამოში.

ერთი სიტყვით დავამთავრე ასპირანტურა და დავიცავი დისერტაცია თემაზე: აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემებზე.

თემის დამუშავების დროს როგორც იტყვიან დეტალურად შევისწავლე აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის პრობლემები.

თემის დამუშავების დროს დავდიოდი აფხაზეთის სოფლებში ზოგჯერ ფეხით, ცხენით, ველოსიპედით და ბოლოს ავტობუსით და ა.შ.

დისერტაციის დაცვის შემდეგ ვმუშაობდი ოჩამჩირის რაიონის დიდ კოლმეურნეობაში სოფელ კოჩარაში, ამჯერად უკვე მთავარ ეკონომისტად.

საბოლოოდ მიმიწვიეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ. სოხუმში) ასისტენტის, შემდგომ მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის და ა.შ. თანამიმდევრობით მივიწევდი წინ.

ამ პერიოდში გაჩნდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო კონკურსში საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდში.

მოკლედ ავღნიშნავ, რომ ზვიად გამსახურდია ამ არჩევნებში კოჩარის №24 საარჩევნო ოლქში რეკომენდაციას აძლევდა ჩემს კონკურენტს და განაცხადა კიდეც, რომ ხმა მიეცათ იმ კანდიდატურისათვის, რომელსაც

იგი ემხრობოდა. მე მაინც გავიმარჯვე არჩევნებში. თუმცა არჩევნების წინა დღეს ჩემთან ღამით ორი „მოსკვიჩის“ მარკის მანქანით მოვიდნენ შეიარაღებული ახალგაზრდები, რომლებმაც მაიძულეს ხმები დამეთმო კოსტავას საზოგადოების წევრისთვის. სხვათაშორის ჩემი კოლეგებისა და მეგობრების შვილისათვის. მოკლედ ვიტყვი, რომ მე იძულებული გავხდი დამეთმო და მოხდა ისე, რომ იმ ახალგაზრდამ რომელსაც მე დავუთმე (დეტალებს აღარ ვეხები) გახდა რა საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული არჩევნებით შექმნილი სადეპუტატო კოლექტივი მეტად მოკლე ხნით აღმოჩნდა არენაზე, ეს ჩემთვის დღემდე მოუშუშებელ ტკივილად დარჩა ჩემს ისტორიაში. აფსუს, რა ულმობელია ცხოვრება?!...

შემდგომში ჩემი სოფლის (ცაგერას) ახალგაზრდების დაჟინებული მოთხოვნით, მათ შორის აქტიურობდა იური ზარქუა, რომან ხეცურიანი და აბესალომ კოპალიანი, მე მივიღე მონაწილეობა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და გავხდი აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუატატი 1991 წლის 31 დეკემბერს.

აფხაზეთის ა/რ არჩევნები ჩატარდა წინასწარ დადგენილი კომპრომისული შეთანხმების მიხედვით ქვოტირების მიხედვით: 28-26-11 ანუ მიუხედავად ა/რ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა ქართველები მოსახლეობის ნახევარზე ცოტა მეტი იყო. 28 დეპუტატი აირჩეოდა აფხაზი მოსახლეობიდან, 26 - დეპუტატი ქართველი და დანარჩენი ეროვნებისანი - 11 დეპუტატი.

ანუ რაოდენობის მიხედვით ქართველი დეპუატატები უმცირესობას წარმოადგენდა და თუმცა მაღალი რანგის მოხელეთა შერჩევის დროს არსებობდა გარკვეული შეთანხმებების პირობები თუმცა, ასეთი შეთანხმება თავიდანვე იქნა დარღვეული. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვდასხვა ეროვნების დეპუტატისაგან (11) თითქმის ყველანი მალევე აღმოჩნდნენ აფხაზ დეპუტატთა მხარეს.

არჩეულ ქართველი დეპუატატების შემადგენლობაში იყვნენ

კომუნისტები, მათ შორის რაიკომის ყოფილი მდივნები, რაიაღმასკომის თავმჯდომარე, რიგითი კომუნისტები ასევე ზვიად გამსახურდიას მომხრეები (ე.წ. ზვიადისტები) და ა.შ. ანუ თავიდანვე არ არსებობდა მათ შორის პრინციპულ საკითხებზე ერთსულოვნება და ა.შ. რამაც თავი მწვავედ იჩინა ჩვენს საქმიანობაში.

შექმნილ ვითარებაში მე ავირჩიე ერთადერთი სწორი გზა (ჩემი აზრით) ანუ დავიწყე სადეპუტატო საქმიანობა დამოუკიდებელი დეპუტატის ფორმით.

პრაქტიკულად სადეპუტატო საქმიანობის დიდი გამოცდილება არ გამაჩნდა თუ, მხედველობაში არ მივიღებთ იმ მცირეოდენ გამოცდილებას, რომელიც გამაჩნდა ოჩამჩირის რაიონის არადუს სასოფლო საბჭოს დეპუტატობის დროს. ამ რანგის დეპუტატად ამირჩიეს თუმცა, ამ პერიოდში სასოფლო-საბჭოს დეპუტატების ფუნქცია პრაქტიკულად განისაზღვრებოდა გლეხობიდან სახელმწიფოს მიერ დადგენილი გადასახადების აკრეფით მათ შორის, გვავალებდნენ გლეხობიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სხაელმწიფოზე ჩაბარების გაწერილი მოცულობით აკრეფა-ჩაბარებას. ეს იყო და ეს ძირითადი სადეპუტატო საქმიანობა.

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოში დეპუტატად ამირჩია ოჩამჩირის რაიონის სამმა ქართულმა და ერთმა აფხაზურმა სოფელმა, ესენი იყო: არადუ, ცაგერა, კოჩარა და აფხაზური სოფელი - „ცხენისწყალი“ 80-მდე კომლი, 411 ამომრჩევლით, რომელთაგანაც მხოლოდ 11 ამომრჩეველმა მომცა ხმა, დანარჩენმა 400 ამომრჩეველმა ხმა მისცა ჩემს კონკურენტს კოჩარელ ქართველ ახალგაზრდას, მხოლოდ იმ საბაბით, რომ იგი პედაგოგი გახლდათ აფხაზური უნივერსიტეტისა, სადაც იგი ლექციებს უკითხავდა ახალგაზრდებს - აფხაზებს, მათ შორის „ცხენისწყალელ“ სტუდენტებს ტურავას, გოგონას და სხვებს. ასე, რომ ამაში უცნაური არაფერია ეს მკაცრი არჩევანი გახლდათ მიუხედავად იმისა, რომ მე წლების განმავლობაში ვმუშაობდი, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ცხენისწყლის კოლმეურნეობაში.

მაშ ასე, გავხდი რა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

პრაქტიკულად აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში რიგით მეორე სესიაზე (ფრაქციებისა და სხვა სადეპუტატო ერთეულების დაკომპლექტების (ფრაქციების და ა.შ.) შემდეგ წილად მხვდა, სხვათაშორის ჩვენი სადეპუტატო ლიდერის აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის (ვლადისლავ არძინბას) მოადგილის - დეპუტატ თამაზ ნადარეიშვილის მითითებით, სიტყვით გამოსვლა.

როგორც წესად იქნა დადგენილი, წინასწარ დაბეჭდილი გამოსვლის ტექსტის მოწოდებით წარვდექი სესიის წინაშე, როგორც იტყვიან 1,5 გვერდის მოცულობის სიტყვა რომ ჩავიკითხე, „შპარგალკა“ გვერდზე გადავდე და დავიწყე გამოსვლა ჩემი სურვილის შესაბამისად. ეს ქმედება, როგორც ჩანს აუდიტორიამ, ძირითადად აფხაზურმა დეპუტაციამ რაღაც რეგლამენტის დარღვევად მიიჩნია, თუ რა მოხდა ვერ გეტყვით ხმაურით, უფრო სწორად შეშმუშნებით - რაღაც გადალაპარაკებებით გამოხატეს თავიანთი პროტესტი. მე მაშინ ტაქტიკური სვლა განვავითარე და აფხაზურად წარმოვთქვი - „ხაშაროპ“ მეთქი. „ხაშაროპ!“, როდესაც უფროსი ასაკის პიროვნება საუბრობს აფხაზური ეთიკის მიხედვით, მოთმინებით უსმენენ მეთქი. ასე ვთქვი და ვლადისლავ არძინბა ფეხზე წამოდგა და აფხაზურად შეახსენა აფხაზ დეპუტატებს ტრადიციის დარღვევა და აღნიშნა, რომ ხეცურიანი ასაკით ყველა ჩვენთაგანზე უფროსია, შემდეგ კი ოზგანია რიგში ასაკით და უსმინეთ ასეთ დეპუატატებს - დაუყვავათ. ეს ისე, შეგონებისათვის.

ჩემს გამოსვლაში პირდაპირ მივმართე არძინბას, რომ თქვენ გრიგოლის ძე ხართ, მეც გრიგოლის ძე ვარ-მეთქი და ეს მომენტიც მინდა ჩვენი ურთიერთობის დადებით საწყისად მივიჩნიომეთქი და ა.შ. რაღაც დადებითი ეპითეტებით მივმართე: თქვენ ბატონო ვლადისლავ გსურთ აფხაზების გმირი გახდეთმეთქი, მე კი ვისურვებდი თქვენ ორგზის გმირი გამხდარიყავით, ანუ აფხაზების პრეზიდენტი კი არა, აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა იყოთ-მეთქი, რადგანაც მოსახლეობის ნახევარზე ცოტათი მეტი ქართველები ცხოვორბენ მეთქი. აფხაზური ტრადიციით ასაკოვანიქალბატონები მარჯვენა ხელის სპეციფიკური (ვთქვათ აფხაზური რიტუალით) „უხაცკისცაიტ“ მოგმართავენ, ხოლო

იგივე რიტუალის მსგავსად, ქართველი ასაკოვანი ქალბატონები კი „შენ შემოგევლე შვილო“ ასე მოგმართავენ-მეთქი და ა.შ. ერთგვარი მოფერებითი მიმართვა გამოვიყენე და გავაგრძელე საუბარი, რომ ვიღვაწოთ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენი თვალმარგალიტი აფხაზეთის აღორძინებისათვის-მეთქი და ა.შ.

ვთქვი ისიც, რომ ეს რა დემოკრატია არის, როცა სხდომის დარბაზში მარცხნივ მხოლოდ აფხაზი დეპუტატები და მათი გულშემატკივარნი ზიან, ხოლო მარჯვნივ კი ქართველი დეპუტატები მეთქი, ისიც მისანიშნებელია, რომ აფხაზთა მხარეს ავსებენ ის 11 დეპუტატი (რუსი და სომეხი ეროვნებისანი), რომლებიც უკვე თავიდანვე თქვენ (აფხაზების) რიგებს ავსებენ-მეთქი ისედაც, რომ მეტი რაოდენობით არიან წარმოდგენილნი ვიდრე აფხაზეთის მოსახლეობის ერივნულ შემადგენლობას არ შეესაბამება-მეთქი და ა.შ. განა არ არის წინასწარი განწყობა იმისათვის, რომ ამ თავითვე დეპუტათა ერთიანობას კი არა დაპირისპირების საბაბის მაჩვენებელია-მეთქი. სხვათაშორის შემდგომ სესიაზე ჩემი ეს შენიშვნა მიიღეს და ნათელა აკაბა დიახ, (ნათელა - ხომ წმინდა ქართული სახელია ხომ?!) გაითვალისწინეს და ჩვენი - ქართველი დეპუტატების რიგებში გადმოჯდნენ, თუმცა ამჯერად უკვე, როგორც იტყვიან კრიტიკის პირდაპირ ყურში ჩაძახების ნიშნით და დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავების მცდელობით იყვნენ განწყობილნი. სამწუხაროდ ასეთი ნიშნის მოგებით დაიწყეს მათ ქართველი დეპუტატებისადმი არც თუ იშვიათად შეურცხმყოფელი (სეპარატისტული) გამოხდომები.

მინდა ისიც ვთქვა, რომ სამწუხაროდ ჩვენი ქართველი დეპუტატები რატომღაც თავს იკავებდნენ, უფრო სწორად, არ რეაგირებდნენ აფხაზ დეპუტატთა ასეთ ქცევაზე (დეტალებზე აღარაფერს ვამბობ არაფერს).

სამწუხაროა ისიც, რომ ქართველი დეპუტატების ზოგიერთი წარმოამდგენელი, აშკარად თუ კულუალურად, მეტ ძალისხმევას თანამდებობის დაკავებაზე ხარჯავდნენ. განსაკუთრებით დავის საგანი გახდა აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და მინისტრების არჩევის საკითხი.

ამასობაში არძინბამ დრო იხელთა და აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატად წარმოაჩინა და კენჭიც უყარეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურად, სხვათაშორის მაცდურად, ქართველი კაცის, თუმცა ქართველი დეპუტატების უმრავლესობისათვის მიუღებელი კანდიდატურა. სწორედ ეს მომენტი გახდა ქართველ დეპუტატთა მიერ პროტესტის ნიშნად სესიის დატოვების საბაბი. ამდენად დემონსტრაციულად ქართველ დეპუტათა მიერ სესიის დატოვება გახდა საბაბი შემგომში ქართველ და აფხაზ დეპუტატთა დაპირისპირებისა და საბოლოო ჯამში, ჩვენ ქართველი დეპუტატები გავეცალეთ აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს შემადგენლობას და სამოქმედო ასპარეზი შემდგომი მუშაობისათვის გახდა სინოპის დასახლებაში სამთავრობო (ყოფილი) რეზიდენცია.

უნდა ავღნიშნო, რომ ჩემი, ვთქვათ ასე, მიდგომა არძინბასა და საერთოდ აფხაზ დეპუტათა მიმართ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ კოლეგებს (ქართველ დეპუტატებს), რომელთაგანაც გაისმა ხმა, რომ მე თითქოს არძინბას ველოლიავებოდი და ა.შ. არა ბატონებო! მე არძინბას არ ველოლიავებოდი, მე ველოლიავებოდი ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობას მეტიც, დღესაც მიმაჩნია, რომ აფხაზებისათვის ქართველებზე უფრო ახლობელი, გნებავთ დამთმობი და მეტიც - მოკეთე და კეთილის მსურველი არ არსებობს მსოფლიოში. მე ვფიქრობ არც არძინბაზე არ იყო მთლიანად დამოკიდებული მისი ქცევა, არამედ იგი გარე ძალების ზეწოლის გავლენითაც იყო განპირობებული. ასეთი აზრი მაშინ გამიჩნდა, როცა არძინბამ ერთ-ერთი საუბრის დროს განაცხადა, რომ ჩვენ ქართველების წინააღმდეგი სულაც არა ვართო, მაგრამ რატომ მაინდამაინც თბილისიდან გზავნიან აფხაზეთში მაღალ თანამდებობებზე პირებს, მაშინ როცა აფხაზეთშიაც მოიძებნება ღირსეული ქართველები, რომლებმაც შეიძლება იმუშაონ მაღალი რანგით თანამდებობაზე აფხაზეთის მთავრობაშიო და ა.შ.

დიახ! დამიჯერეთ ასე იყო რამდენჯერმე თუმცა, საერთო მდგომარეობა თავიდანვე დაძაბულად წარიმართა, რაც ვფიქრობ მეტწილად გარედან ზეწოლის მიზეზი იყო მეტადრე.

მე სწორედ ქართველთა და აფხაზთა კეთილმეზობლურ ურთიერთობის შენარცუნებას ველოლიავებოდი. თუმცა, სამწუხაროდ გარე ძალები წლების განმავლობაში ცდილობდნენ აფხაზეთში გავლენის მოპოვებას. ეს ხომ კარგად ცნობილი ამბავია.

მაშ ასე: სინოპის რეზიდენციაში ქართველ დეპუტატთა საქმიანობის პერიოდში, მე პირადად არაერთხელ მომიწია სიტყვით გამოსვლა და ყოველთვის ავღნიშნავდი, რომ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა არის იმდენად კეთილშობილური ურთიერთობა, რომ მისი შენარჩუნებისათვის ძალისხმევა აუციელბელია დღესაც და ასე იქნება მომავლშიაც. მე ასეთი მოწოდებით გამოვედი, როცა თბილისიდან ჩამოვიდნენ კორესპონდენტები, რომელთანაც თამაზ ნადარეიშვილის დავალებით მომიხდა სატელევიზიო საუბარი, მაშინაც მიუღებლად ჩავთვალე ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება მეტიც, ერთ-ერთ შეკრებაზე, როდესაც განიხილებოდა აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების სურვილი შეიარაღებული გვარდიის შემოსვლის თაობაზე, მე კატეგორიული წინააღმდეგი გამოვედი და საჭიროდ მივიჩნიე არა ტანკების, ქვემეხებისა და სხვა მძიმე კატეგორიის იარაღით აღჭურვილი ნაწილების შემოყვანა არამედ საჭიროდ ვთვლიდი და ავღნიშნე კიდეც ქართველ დეპუტატთა და სხვა მრავალ თანამდებობის პირთა შეკრებაზე, რომ შემოვიყვანოთ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების კონტიგენტი, რომლებიც შეძლებენ იმ ძალების განეიტრალებას, რომლებიც ძარცვავდნენ რკინიგზის შემადგენლობებს და აღკვეთდენ მარადიორებას.

მაგრამ ცხადია ჩემი მოსაზრება დარჩა „ღაღადებად შინა“. უფრო მეტიც, ასეთი საუბრის ხმამაღლად განცხადების შემდეგ, ჩემთან მოვიდა სინოპში ე.წ. „დაჩაზე“ სოლიდური პიროვნება ამერიკულ ფორმაში ჩაცმული, მან გამიხმო იქვე ეზოში მრავალ მეომართაგან გამიჯვნის მიზნით და ერთი - ერთთან (ეს მისი გამონათქვამია) მითხრა, რომ „ასეთი თქვენი საუბარი ცხადია, ადამიანურად მისაღებია, მაგრამ მიმოიხედე რამდენი შეიარაღებული ადამიანები არიან აქ წარმოდგენილი და ძნელია მათ ელაპარაკო მშვიდობიანობაზე - წინააღმდეგ შემთხვევაში,

თქვენ შეიძლება აღმოჩნდეთ მძიმე მდგომარეობაში“ და მირჩია, გვიან ღამით იმ ადგილიდან გაცლა.

მან გამანდო თავისი ვინაობა. იგი მაღალი რანგის წამორმადგენელი იყო საქართველოს უშიშროების სამსახურიდან.

მერწმუნეთ რასაც ვამბობბ ეს ჩემი გულწრფელი მიდგომის შედეგი იყო და, მეტი არაფერი.

დიახ! მე დღემდე ვრჩები იმ პოზიციაზე, რომ ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობა, როგორც იტყვიან, დღეს არა, ხვალ, ხვალ არა ზეგ, აუცილებლად აღდგება და, განვითარდება კეთილმეზობლური ურთიერთობა. დიახ! ეს მხოლოდ დროის ფაქტორია - მეთქი.

იმათ კი ვინც სკეპტიკურად უყურებს ამ საკითხს მათ გასაგონად ვიტყვი იმას, რომ ასე რომ ეფიქრათ ჩვენს წინაპრებს არც თბილისი და არც კახეთი (სხვა ტერიტორიებზე რომ არაფერი ვთქვათ), დღეს აღარ იქნებოდა საქართველოს შემადგენლობაში.

ამ მოსაზრებას მე იმათ მიმართ, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდების მიმართ ვამბობ, რომლებიც დიდად სამწუხაროდ ამ ბობენ იმასაც, რომ ორი ათეული და მეტი წელი გავიდა მას შემდეგ რაც აფხაზეთი იძლებით დატოვა ქართველებმა, უამრავი სისხლი დაიღვარა და ა.შ. რაღა დროს აფხაზეთში დაბრუნებაზე საუბარიაო?! ეხ! ასეთი საუბარი მისაღებია?!... ქართველებო?! ფიქრიც კი არ უნდა დავუშვათ ასეთი?!

გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი ისევე როგორც სამაჩაბლო, საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იგი კვლავ ასეთად გახდება მომავალშიაც.

დიახ, დიახ! ასეთია ისტორიის გაკვეთილი - ქართველთა და აფხაზთა კეთილმეზობლური ურთიერთობა მარადიული, ისტორიული ცნებაა ძვირფასო აფხაზეთელებო, ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!!!

რაც შეეხება ამ ბოლო დროს რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას ხელმოწერით გაფორმდა ეს, ჩემი აზრით, დროებითი მოვლენაა და ერთგვარი გათამაშებაა.

დავანებოთ ყველაფერს თავი და ვთქვათ ერთი წუთით, რომ

ყველაფერი ქართველებს დაბრალდეს, თუმცა ასე, რა თქმა უნდა, არ არის, ეს გარედან თავსმოხვეული დროებითი მოვლენაა, თუმცა ყველაფერია შესაძლებელი დრო და ისტორია, დროთა განმავლობაში ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს - მე ასე ვფიქრობ.

ერთი კი მაინც უნდა ითქვას კერძოდ, როგორ სძინავთ აფხაზებს, გნებავთ რუსებსა და ყველა იმათ ვინც ამჯერად ქართველთა სახლებსა და ეზო-კარში ნებივრობენ. ამბობენ ღმერთი მაღალ სივრცეებშიც სწვდება და არამგონია ნაარმი სხვისი ქონება, თუნდაც იგი თავსმოხვეული ომის მეშვეობით (სხვისი დახმარებით არის მოპოვებული, მარადიორული გზით) არამც და არამც გემრიელი არ იქნება. დიახ, დიახ! ასეა ეს!!!

ჩემი აზრით არ იქნება უადგილო თუ, აქ შევიტან იმ საინტერესო ლექსებს, რომელიც ეკუთვნის ჩემი მეუღლის ბიძაშვილს (აზანთიდან) ილვარდი გასვიანს, რომელიც ამჯერად, სამწუხაროდ გარდაცვლილია.

აღნიშნული ლექსები მან ექსპრომტად დაწერა ჩემი დაბადების 65 წლისთავზე, როცა ამ ღონისძიებაში მონაწილე იყვნენ ჩემი აჭარელი მეგობრები.

მაშ ასე:

ვუძღვნი 9 აპრილს,
აკაკისეულ მოტივებზე

აჭარა, ჩემო აჭარა

აჭარა, ჩემო აჭარა,
უსაყვარლესო მხარეო!
ჩემო ლამაზო ბათუმო,
იზარდე, გაიხარეო!
სიტყვა „ლტოლვილი“ არ გიყვარს,
აჭარა, ტკბილო მხარეო!
აფხაზეთიდან დევნილი,
შენ შვილად აღიარეო!
ლუკმა გაუყავ თანაბრად,

და შენთან აზიარეო!
საწოლ-საგები დაუთმე,
შენ ჭერქვეშ შეიფარეო!
ნურავის ჰქონია აჭარა!
უმტკივნეულო მხარეო,

რომ საქართველოს ბედისთვის,
შენა ხარ მგლოვიარეო!
დღესაც ბევრი გაქვს აჭარავ!
შენ შენეული მწარეო,
მაგრამ მშვიდობა ხომ გიყვარს,
სულ ამით გადაფარეო!
აჭარის კეთილმოსურნევ!
იცოცხლე გაიხარეო,
და საქართველოს კარიბჭე,
აშენე გაახარეო!
აჭარა, ჩემო აჭარა!
უსაყვარლესო მხარეო,
ჩემო ლამაზო ბათუმო,
იზარდე გაიხარეო!

09.04.95წ.

ვუძღვნი ომში დაღუპულ ცაგერლებს
ცაგერა, ჩემო ცაგერა

ცაგერა, ჩემო ცაგერა!
ერთ დროს ნაქებო ხვავითა,
დღეს გველნი შემოგხვევიან,
ტურა-მგელი და ყვავიცა!
ნაბრძოლი შენი შვილები,

შენგან დროებით წავიდა!
თუმცა სულ შენზე ფიქრობენ,
დილით საღამოს ღამითა!
ისინი დაბრუნდებიან!
და სასაფლაოს მორთავენ,
შვილთა მშობელთა საძვალეს,
თავისი ცრემლით მორწყავენ!
ნუ გგონია რომ სულ იტირებენ!
და, ამით თავის მტერს ახარებენ,
არ დაინდობენ ვინც უღირსია,
იცოდე მათ არ გაახარებენ!
არა მგონია უღირსი იყოს,
ყველა აფხაზი, სხვა მეზობელი!
თუმცა არიან ავის მზახველნი,
და ყველა ჯურით დაუნდობელნი!
დიახ, ვეცადოთ რომ აღარ შევცდეთ!
ზუსტად შევიტანოთ ჩვენ თავის მქნელნი,
ერთმანეთისაგან გამოვარჩიოთ
ავის მოსურნე და კარგის მქნელნი!
ცაგერა, ჩემო ცაგერა!
ერთ დროს ნაქებო ხვავითა,
დღეს გველნი შემოგხვევიან,
ტურა-მგელი და ყვავიცა!

09.04.95წ.

მინდა აქვე მივაწერო ჩემი კომენტარი: ეს ლექსი გენიალურია არა როგორც ლექსი მისი წყობით, არამედ შინაარსია ნამდვილად გენიალური. ასეთი „მასალა“ ცხადია შესანახია და თაობებს უნდა გადაეცეს აუცილებლად. ეს ჩემი აზრია, თუმცა სამწუხაროდ მე ვეღარ ვასწრებ ჩემივე აზრის რეალიზაციას. ვხედავ ამას დღეს - დიდად სამწუხაროდ.